

ბანსჯადობა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2020, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2020, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2020, №3

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2020, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

1. ადმინისტრაციული განსჯადობა

საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის განსჯადობა	4; 12
ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა	20

2. სამოქალაქო განსჯადობა

ბათილი ხელშეკრულების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა	30
ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი დავის განსჯადობა	37
სამენარმეო რეესტრში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით დავის განსჯადობა	46
კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დავის განსჯადობა	54; 67; 79; 91; 103
ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯადობა	120

3. ტერიტორიული განსჯადობა

განსჯადობა მოსარჩელის არჩევით	127
განსჯადობა ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით	137
განსჯადობა უძრავი ნივთისა და სადავო აქტის მიმღები ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით	145; 152
განსჯადობა სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით	156; 160; 174
განსჯადობა ძირითადი სადავო აქტის მიმღები ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით	166
განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით	182

1. ადმინისტრაციული განსჯადობა

საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის განსჯადობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1400(გ-18)

29 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 17 აგვისტოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ-მა სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...ოს“ მიმართ და მოითხოვა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და შპს „...ოს“ შორის 2011 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს 1 911 325 აშშ დოლარისა (ეკვივალენტი ლარებში) და 2 253 500 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება და ზიანის ანაზღაურების (მიუღებელი საბანკო გარანტიის სახით) 162 037 50 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარებში) ოდენობით დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 აგვისტოს განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი „...ოს“ მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და

იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და შპს „...ოს“ შორის 2011 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების შესრულებასთან ან/და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადად, თუ იგი ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.

სასამართლომ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. მხარეთა შორის 2011 წლის 25 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე კი, იგი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, მისი შესრულება არ არის დაკავშირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან. ამდენად, სადავო ურთიერთობა სამოქალაქო-სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება, რის გამოც სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 2 ნოემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასამართლომ მიუთითა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მი-

ერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. სასამართლომ მიუთითა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას, არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა – მხარეთა შორის 2011 წლის 22 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე – გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „...ოსათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 22 ნოემბრისა და 24 ნოემბრის განკარგულებების საფუძველზე. შესაბამისად, სახეზეა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №1046 განკარგულების თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება და საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პროგრამის უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ამდენად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრე-

ბით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ აღ-
ძრული დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონ-
მდებლობიდან და სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-
მინისტრაციული კოლეგიის განსჯადია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თა-
ობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედე-
გად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მი-
ნიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სა-
სამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ მო-
ცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებ-
აროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამო-
ქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო
საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი,
რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალა-
ქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო
განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლე-
ბის, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის
შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამუ-
ლო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის
ურთიერთობებიდან წარმომოპილ დავებს მოქალაქეებს, მოქალა-
ქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2
მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული
საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი
ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის სა-
განს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ)
ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შენ-
ყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზ-
დაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის
ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არა-
რად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-
არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ
ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქ-
მეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარ-
მოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურ-

თიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დანესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანების), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით და-

მოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

მოცემულ დავაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანია – მხარეთა შორის 2011 წლის 22 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს 1 911 325 აშშ დოლარისა (ეკვივალენტი ლარებში) და 2 253 500 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება და ზიანის ანაზღაურების (მიუღებელი საბანკო გარანტიის სახით) 162 037 50 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარებში) ოდენობით დაკისრება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მონესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მონანესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით; ხოლო ამავე კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამდენად, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მონესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა – მხარეთა შორის 2011 წლის ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს 1 911 325 აშშ დოლარისა (ეკვივალენტი ლარებში) და 2 253 500 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება და ზიანის ანაზღაურების (მიუღებელი საბანკო გარანტიის სახით) 162 037 50 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარებში) ოდენობით დაკისრების თაობაზე – გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „...ოსათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 22 ნოემბრისა და 24 ნოემბრის განკარგულებების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული საკითხი ეხება სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობას, საკუთრებაში კერძო პირისთვის გადაცემას და არა სარგებლობის უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე

მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო მოთხოვნა, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი შპს „...ოს“ მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან
წარმოშობილი დავის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-1511(გ-18)

19 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 31 იანვარს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...-ის“ მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის 2007 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული №47 და №48 იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სააგენტოს სასარგებლოდ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის გამო ფულადი ანაზღაურების ჯამში 11230.53 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 იანვრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი შპს „...-ის“ მიმართ, განსჯადობით გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და შპს „...-ს“ შორის 2007 წლის 30 ნოემბერს გაფორმებუ-

ლი №47 და №48 იჯარის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების შესრულებასთან ან/და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადად, თუ იგი ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.

სასამართლომ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სასამართლებრივი ხელშეკრულება.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსიდან გამომდინარე განისაზღვრება. არსებითა, თუ როგორია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან დადგენილი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება. ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსიდან და სადავო ვალდებულებიდან გამომდინარე იგი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, არამედ ამ ხელშეკრულებით მხარეები კერძო სამართლის სუბიექტებად გვევლინებიან და სადავო ურთიერთობა სამოქალაქო-სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება, რის გამოც იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 3 დეკემბრის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასამართლომ მიუთითა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს, გარდა იმისა, რომ დავის ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, წარ-

მოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან მხარეთა შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულება დაიდო 1997 წლის 30 მაისის „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონისა და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამართველოს 2007 წლის 30 ნოემბრის №47 და №48 ხელშეკრულებების საფუძველზე, ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის განსჯადია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული

საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მიითითებული საკუთარი უფლებების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანების), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

მოცემულ დეკლარაციაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანია – მხარეთა შორის 2007 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის გამო ფულადი ანაზღაურების ჯამში 11230.53 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს დაკისრება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მონესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მონესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით; ხოლო ამავ კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მი-

ერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამდენად, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მონესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის 30.11.2007 წელს №47 იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებით, შპს „...-ს“ იჯარა-გამოსყიდვის უფლებით, 25 100 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ტრაქტორი და 1 სხვა მონყობილობა. ასევე, 30.11.2007 წელს №48 იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებით, შპს „...-ს“ იჯარა-გამოსყიდვის უფლებით, 24 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ტრაქტორი და 1 სხვა მონყობილობა. აღნიშნული ხელშეკრულებებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ საპრივატიზებო ღირებულების გადახდა უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად, ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივია, რადგან მასში არ იკვეთება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი. საკასაციო პალატა არ იზიარებს მითითებულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას, შესაბამისად, უნდა შეფასდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა.

ბის ხასიათი. ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზება იყო ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ქონებაზე ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზაციის პროცესი სცილდება კერძოსამართლებრივ სფეროს, ამ ურთიერთობაში სახელმწიფო არ გამოდის ურთიერთობის თანასწორ მონაწილედ, კერძო პირად. იჯარა-გამოსყიდვა წარმოადგენს პრივატიზაციის ერთ-ერთ ფორმას. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 31.03.1999წ. №1-3/152 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების თანახმად, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების მიზანია იჯარით გაცემული ქონების გამოსყიდვამდე მოიჯარისთვის სამეურნეო და სხვა საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისათვის, ტერიტორიალური ფასეულობის ვადიანი და სასყიდლიანი მფლობელობისა და სარგებლობის უფლების მინიჭება (1-ლი მუხ.). ამასთანავე, იჯარა-გამოსყიდვა ეხება განსახელმწიფოებრიობას, სახელმწიფო ქონების კერძო პირის საკუთრებაში გადაცემას. აღნიშნული დებულების მე-5 მუხლით დადგენილია მოიჯარის ვალდებულება იჯარა-გამოსყიდვით აღებული სახელმწიფო ქონების გამოყენებისას დაიცვას საკონკურსო პირობებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ჯარიმდება დარჩენილი საიჯარო ქონების ღირებულების და/ან გადასახდელი ქირის 0,1%-ით. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების სანყისი ფასი და საკონკურსო პირობები ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე (საქართველოს პრეზიდენტის 17.11.1997წ. №671, 22.11.1998წ. №654, 19.08.2010წ. №659, 27.09.2012წ. №898 ბრძანებულებები) განისაზღვრებოდა. შესაბამისად, მოსარჩელის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნება საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს. მხარეთა შორის იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება დადებულია „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფ-

ლებით გადაცემის შესახებ“ 30.05.1997წ. კანონის, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 31.03.1999წ. №1-3/152 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების საფუძველზე, ამდენად, სახეზეა სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი დავა, ხოლო პრივატიზების ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო მოთხოვნა, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი შპს „...-ის“ მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების
განხორციელების დავალებასთან დაკავშირებული
დავის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-568(გ-19)

4 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 28 მარტს გ. ნ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე (<https://www.facebook.com/Ministry of Justice Georgia/>) მოსარჩელისათვის შეზღუდვის (ე.წ. ბლოკის) მოხსნის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 მარტის განჩინებით გ. ნ-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის

ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არა-რად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად უნდა ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს და განპირობებული იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სადავო ურთიერთობა მატერიალური თვალსაზრისით, შემომწებას ექვემდებარებოდა კერძო-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით, შესაბამისად, არ არსებობდა დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის წინაპირობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 აპრილის განჩინებით გ. ნ-ის სარჩელი მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის მიზნით გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საპროცესო ეკონომიის თვალსაზრისით, აგრეთვე, იმისათვის, რომ უკეთ ყოფილიყო უზრუნველყოფილი პირის უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე, რაც მოიცავდა ასევე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უფლებას, მიზანშეწონილი იყო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის (სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის საფუძ-

ველი, რომლის თანახმადაც საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის) განმარტებულიყო იმგვარად, რომ მისი შინაარსი არ გავრცელებულიყო საგნობრივ განსჯადობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი საქმეების განსჯად სასამართლოში გადაგზავნას, თუმცა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი კი ადგენს, რომ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

სასამართლოს მითითებით, საგულისხმო იყო, რომ საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის დაწყების საკითხსაც არ აწესრიგებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (ამ კოდექსის 24-ე მუხლის მეორე წინადადებაში ასახული განსჯადობის შესახებ დავის აკრძალვა ეხება 23-ე მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებს ტერიტორიული განსჯადობით საქმის გადაცემის თაობაზე). ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სასამართლოებს შორის დავა განსჯადობაზე დასაშვებია და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ მისთვის განსჯადობით გადაგზავნილი საქმე არ არის სამოქალაქო წესით განსახილველი, მას შეუძლია, დაიწყოს დავა განსჯადობაზე და საქმე გადაუგზავნოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად. დავის დაწყებისას სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის აღნიშვნით, იქიდან გამომდინარე, რომ კანონი უშვებს სასამართლოებს შორის დავას განსჯადობის თაობაზე, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან მიღების ეტაპის გადალახვის შემდეგ ამავე საფუძვლით სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, შესაძლებელია, ჯერ მხარემ გახადოს სადავოდ განსჯადობის საკითხი განჩინების გასაჩივრებით, შემდეგ კი ამისგან დამოუკიდებლად სასამართლოებს შორის დაიწყოს დავა განსჯადობაზე. ამგვარად, სასამართლომ მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ განსჯადობის საკითხზე დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, საქმის საგნობრივი განსჯადობის საკითხი ხდება არაერთგზის განხილვისა

და შეფასების საგანი, რაშიც მონაწილეობს არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს ორი სხვადასხვა კოლეგია, არამედ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაც. ამგვარად, მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მსგავსად, სამოქალაქო საქმის განმხილველმა სასამართლომაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, საგნობრივად არაგანსჯადი საქმეები თავად გადაუგზავნოს ადმინისტრაციული საქმის განმხილველ სასამართლოს, რითაც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი მხარის უფლება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების გზით დავის გადაწყვეტაზე და ასევე თავიდან იქნება აცილებული დამატებით კიდევ ერთი სასამართლო ინსტანციის – სააპელაციო სასამართლოს მონაწილეობა განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაში მაშინ, როდესაც კანონით დაშვებულია სასამართლოთა შორის დავის დაწყება განსჯადობის თაობაზე და დადგენილია ამ დავის გადაწყვეტაზე უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლზე, რომელიც ადგენს, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის; საქმეებს საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დავის შესახებ; უდავო წარმოების საქმეებს; რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებულ საქმეებს; შვილად აყვანის საქმეებს; ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირზე საქართველოს კანონმდებლო-

ბით დადგენილი სანქციების გავრცელების საქმეებს; შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვასთან დაკავშირებულ საქმეებს, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა ჩამონათვალს. დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისთვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ განსახილველი სამართალწარმოება მიმართული იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, სამართალწარმოების საგანს წარმოადგენდა მოქალაქის მიმართ იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან თავიანთი მოვალეობების შესრულების დროს, კერძოდ, საქმის წარმოების დროს განხორციელებული ქმედება, რომლითაც მოსარჩელეს შეეზღუდა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება. ამასთან, სარჩელში მითითებული იყო, რომ მოპასუხის მხრიდან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დროს, ადგილი ჰქონდა მოქალაქის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, კერძოდ, მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე „დაბლოკეს“, აუკრძალეს „რეაქციის“ გამოხატვის საშუ-

ალება, სოციალურ ქსელში კომენტარის დატოვება ან სხვაგვარი ფორმით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, რითაც მას შეეზღუდა გამოხატვის თავისუფლება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს, რომელიც საბოლოო ჯამში განიხილავდა წინამდებარე სარჩელს, მოუწევდა დავის გადაწყვეტისას ეხელმძღვანელა არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობითაც.

სასამართლომ მიუთითა, რომ დავა ეხებოდა მეტად მნიშვნელოვან – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილ ქმედებას. მოპასუხეს დავაში წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. დავის საგანი და შინაარსი კი ამ ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი ქმედება იყო. თავის მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს და ის ხელმძღვანელობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობით ადმინისტრაციული საქმის წარმოების დროს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა გამოიწვევდა საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებდა საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების მიღებას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპებსა და სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებს შორის არსებობდა მკვეთრი განსხვავება, კერძოდ, სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი ინკვიზიციურობა განაპირობებდა იმას, რომ ამ სამართალწარმოებაში, სამართალურთიერთობის „ძლიერი მხარე“ – მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო, ხშირ შემთხვევაში, ვალდებულია სრულად ზიდოს მტკიცების ტვირთი, რაც მოსარჩელეს, როგორც სამართალურთიერთობის „სუსტ“ მხარეს, უფრო კომფორტულ და მომგებიან ვითარებაში ამყოფებს. შესაბამისად, ისეთი სამართალურთიერთობის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გადაწყვეტა, რომელიც კანონის შესაბამისად შესაძლოა ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობად იქნეს მოაზრებული, არ იქნებოდა შესაბამისობაში სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დამდგენ იმ საერთაშორისო რეგულაციებთან, რომლებიც ზემოთ იქნა მითითებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ნის სარჩელი მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების შესახებ იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ გ. ნ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციისაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ორ სხვადასხვა კოლეგიას შორის დავა საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებით არის წარმოშობილი. ამდენად, დასადგენია, მოცემული საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული წესით სასამართლოთა განსჯად საქმეებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შე-

საბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საგნობრივი განსჯადობის დასადაგენად, კონკრეტული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის საქმისადმი კუთვნილების მაჩვენებელია სადავო ურთიერთობებში ერთ-ერთ მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს გამოსვლა და სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობა. ამასთან, არსებითა განისაზღვროს ის, თუ რამდენად არის დაკავშირებული სოციალური ქსელების მართვის დროს განხორციელებული ქმედებები სამინისტროს საჯარო საქმიანობასთან.

საკასაციო პალატა უპირველესად მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე (<https://www.facebook.com/Ministry of Justice Georgia/>) მოსარჩელისათვის შეზღუდვის (ე.წ. ბლოკის) მოხსნის დავალება. მოსარჩელე სარჩელში მიუთითებს, რომ მოპასუხის მხრიდან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დროს, ადგილი ჰქონდა მოქალაქის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე „დაბლოკვით“ მას აუკრძალეს „რეაქციის“ გამოხატვის საშუალება, სოციალურ ქსელში კომენტარის დატოვება ან სხვაგვარი ფორმით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, რითაც მას შეეზღუდა გამოხატვის თავისუფლება.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების“ პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის

უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამინისტროს გააჩნია სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთა მეშვეობითაც იგი კონკრეტული მიმართულებებით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებებს. კერძოდ, ზემოხსენებული დებულების მე-11 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთ ასეთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარმოადგენს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. მითითებული დებულების 23-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალურ ქსელებში სხვა ოფიციალური გვერდების მართვა.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 18 მარტის №72 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების“ მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტის ამოცანა და უფლებამოსილებაა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალურ ქსელებში სხვა ოფიციალური გვერდების მართვა. ამავე დებულების მე-7 მუხლის თანახმად, დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია: ა) პრესის სამმართველო; ბ) მარკეტინგის სამმართველო. ამავე დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მარკეტინგის სამმართველო უზრუნველყოფს სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალურ ქსელებში სხვა ოფიციალური გვერდების მართვას.

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სტრუქტურული ქვედანაყოფის – პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საქმიანობით უზრუნველყოფს სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდებისა და სოციალურ ქსელებში სხვა ოფიციალური გვერდების, მათ შორის, ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდის მეშვეობით საზოგადოების ინფორმირებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობასა თუ მასთან შემხებლობაში არსებულ სხვა სიახლეებთან დაკავშირებით, აგრეთვე, საზოგადოების წინაშე სახელმწიფო ორგანოს ანგარიშვალდებულებასა და საქმიანობის გამჭვირვალობის ხელშეწყობას. ამდენად, სოციალური ქსელების ოფიციალური გვერდების მართვა წარმოადგენს საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრულ სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. არსებითია ისიც, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდის სწორედ აღნიშნული საქმიანობის ფარ-

გლებში გარკვეული ქმედების (მისი „დაბლოკვის“) უკანონოდ განხორციელების ფაქტს, რომელმაც მოსარჩელის უფლებების შეზღუდვა განაპირობა.

ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოსათვის გარკვეული ქმედების განხორციელების დავალებისაკენ, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განეკუთვნება ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა კატეგორიას.

მოსარჩელის მითითებების გათვალისწინებით, არსებითია ისიც, რომ განსახილველ შემთხვევაში პოტენციურად სახეზეა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან მოსარჩელის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. ამდენად, დავა თავისი არსით შეეხება ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით მოსარჩელისათვის განმტკიცებული უფლების სახელმწიფო ორგანოების მხრიდან შეზღუდვას, რაც ზემოხსენებულ სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, დავის საჯარო ხასიათს უსვამს ხაზს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ნ-ის სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სამოქალაქო განსჯალოვა

ბათილი ხელშეკრულების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის განსჯალოვა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1590(გ-18)

12 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...-მ“ 2018 წლის 28 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხეთათვის შპს „...-ს“ სასარგებლოდ 1 390 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით აბაშისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 1147.9158 ჰა პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა შპს „ქ...ას“. შპს „ქე...ასა“ და შპს „...-ს“ შორის დადებული 2009 წლის 8 იანვრის უფლების დათმობის ხელშეკრულებისა და შპს „...-სათვის“ საკუთრების უფლების დადასტურების შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 27.01.09 წლის №1-1/111 ბრძანების საფუძველზე შპს „...-ს“ დაუდასტურდა საკუთრების უფლება აღნიშნულ ნაკვეთზე. პრივატიზების საფასური შეადგენდა 690 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, რომელიც მოსარჩელემ გადაიხადა. სახელმწიფომ მოსარჩელე თავიდანვე მოატყუა, ვინაიდან მიწის ნაკვეთის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით შეუძლებელი იყო. კომპანიამ საპრივატიზებო პირობების შესრულება მაინც დაიწყო და პირველივე წელს 700 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. 2011 წელს კომპანიის ხელმძღვანელ პირებზე განხორციელდა ზე-

წოლა, რის შედეგადაც მიწის ნაკვეთი დაბრუნდა სახელმწიფოს საკუთრებაში. ამდენად, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების სახით ითხოვს გადახდილი საპრივატიზებო საფასურის 690 000 აშშ დოლარისა და განხორციელებული ინვესტიციის – 700 000 აშშ დოლარის დაბრუნებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 სექტემბრის განჩინებით №2/9463-18 სამოქალაქო საქმე – შპს „...-ს“ სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ განსჯადობის წესის დაცვით, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ დავის გადანაცვებისათვის უნდა შეფასდეს პრივატიზების ხელშეკრულებიდან გასვლის მართლზომიერება, პრივატიზების საფასურის დაბრუნების საკითხი და უნდა დადგინდეს სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები, რა დროსაც ამოსავალი წერტილი არის ის გარემოება, რომ პრივატიზების ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება, დადებული საჯარო უფლება-მოსილების განხორციელების პროცესში და ხელშეკრულებიდან გასვლაც ამავე უფლებამოსილების ფარგლებში მოხდა. დავის სამართლებრივი შედეგი კი, სწორედ ხელშეკრულებიდან გასვლის მართლზომიერების შეფასებას უკავშირდება. მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს პრივატიზების ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მოთხოვნა თავისი შინაარსით გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას განეკუთვნება და განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებას და 2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით შპს „...-ს“ სარჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ მიწის ნაკვეთების შეძენისა და მოწესრიგებისათვის გაწეული ხარჯის – 1 390 000 აშშ დოლარის დაკისრება იმ საფუძველზე, რომ სახელმწიფოს მიერ მოსარჩელე კომპანიის ხელმძღვანელ პირებზე განხორციელდა ზენოლა, რის შედეგადაც ყო-

ველგვარი კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე სახელმწიფოსათვის იქნა დაბრუნებული შპს „...-ს“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ქონების დაბრუნების მიმართ მოსარჩელეს ინტერესი არ გააჩნია და ითხოვს ზიანის ანაზღაურებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 54-ე მუხლებზე მითითებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას უკავშირებს სახელმწიფოსათვის მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე დაბრუნების ფაქტს და მითითებული გარემოების მართლსაწინააღმდეგობას შესაბამის კერძოსამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით, სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯაროსამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მონესრიგებული ურთიერთობანი, რის გამოც ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით შპს „...-ს“ სარჩელი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინის-

ტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მიერ გადახდილი პრივატიზების საფასურისა და განხორციელებული ინვესტიციის, ჯამში 1 390 000 აშშ დოლარის ზიანის ანაზღაურება. სარჩელის საფუძვლად მითითებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 13 ოქტომბრის №662 განკარგულებით აბაშისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 1147.9158 ჰა პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა შპს „ქე...ას“ მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. 08.01.2009 წლის ხელშეკრულებით შპს „ქე...ას“ შპს „...-ს“ დაუთმო

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 27.01.09 წლის №1-1/111 ბრძანების საფუძველზე შპს „...-ს“ დაუდასტურდა საკუთრების უფლება აღნიშნულ ნაკვეთზე. მოსარჩელის მიმართვის საფუძველზე პრივატიზების ხელშეკრულება შეწყდა და მიწის ნაკვეთი დაუბრუნდა საკუთრებაში სახელმწიფოს. მოსარჩელე მხარე ითხოვს მის მიერ სახელმწიფოსათვის დაბრუნებულ ქონებაზე განხორციელებულ ინვესტიციისა და პრივატიზების საფასურის გადახდის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რომლის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 50-54-ე მუხლებზე. აღნიშნული მოთხოვნის განხილვა, ფაქტობრივად, დაკავშირებულია მხარეებს შორის სახელმწიფოსათვის ქონების დაბრუნების შედეგად (22.03.2011 წლის მიმართვის საფუძველზე) წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის შეფასებასთან, შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად დადგენას საჭიროებს პრივატიზების შედეგად შპს „...-სათვის“ გადაცემული ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების შესახებ ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის შეფასებას იმის თაობაზე, რომ დავაში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა განმსაზღვრელი არ არის დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას, რომ ადმინისტრა-

ციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ძირითადი, უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების დადებას. სხვაგვარად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება, არამედ კერძო სამართლის სუბიექტის მიერ მის საკუთრებაში რიცხული ქონების სახელმწიფოზე განკარგვის შედეგად წარმოშობილი კერძოსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურ-თიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მონესრიგებული ურთიერთობანი. კერძოდ, სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების ხელშეკრულებიდან, რომელიც კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს და რომლის დადების დროისთვისაც გამოყენებულ იქნა სამოქალაქო სამართლის ნორმები. წარმოდგენილი სარჩელით შპს „...“ ითხოვს სამოქალაქო კოდექსის 50-54-ე მუხლების თანახმად, ბათილი ხელშეკრულების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი კერძოსამართლებრივია.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო საქმეში მონაწილე მხარეთა სტატუსისა და მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძ-

ველზე განმარტავს, რომ მოცემულ საქმეში აღძრული სარჩელით გათვალისწინებული ურთიერთობა არ უკავშირდება მოპასუხის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას, რის გამოც, მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „...-ს“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი ღირსის განსჯადობა

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-906(გ-19)

16 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირ-
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქარ-
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3
ნაწილის საფუძველზე განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სსიპ „112-ის“ სასარჩელო განცხადების განსჯადო-
ბის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-
ულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის
წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-მა“ 2018
წლის 19 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე გ. ჭ-ის მი-
მართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ავტომანქანის სპეციალურ
დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშო-
ბილი საფასურის სრულად ანაზღაურების დავალება ავტომანქა-
ნის გაყვანის დღისთვის დარიცხული თანხის ოდენობით, რომელიც
შეადგენს 7942 ლარს. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სსიპ „112-ის“
სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობე-
ლობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის სსიპ „112-
ის“ სპეციალური სადგომიდან (მის.: ქ. თბილისი, დიღმის სასწავ-
ლო-საცდელი მეურნეობა) ავტომანქანის (სახ. ნომრით: ...) საკუ-
თარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გაყვანის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის მაისიდან ახორციელებს
ევაკუატორით მომსახურების სერვისს, რომლის ფარგლებშიც სა-
ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცი-
ასთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, უზრუნველყოფს
კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული სატრანსპორტო სა-

შუალელების გადაყვანას და მათ შენახვას სპეციალურ სადგომზე. 2015 წლის 24 ივლისს გ. ჭ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4² მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება. სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც განთავსებულია დღემდე. სარჩელის შეტანის მომენტიდან არსებული მდგომარეობით სატრანსპორტო საშუალებას სსიპ „112-ის“ მიმართ ერიცხება მომსახურების საფასური 7942 ლარი, რომელიც გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 27.12.20116. №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ დადგენილი განაკვეთების შესაბამისად. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხის სატრანსპორტო საშუალების მიმართ დასრულებულია ყველა საჭირო პროცედურა, რის გამოც არ არსებობს მისი სპეციალურ სადგომზე დატოვების საჭიროება. ამასთანავე, სპეციალური სადგომის ტერიტორია სსიპ „112-ს“ კანონიერ სარგებლობაში გადაცემული აქვს მესაკუთრე სახელმწიფოსაგან კონკრეტული მიზნით. საჭიროების გასვლის შემდეგ ავტომანქანის სადგომზე დგომა უარყოფითად აისახება სსიპ „112-ის“ სერვისზე, რადგან იზღუდება სადგომის ფაქტობრივი გამოყენების რესურსი. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 161-ე, 172-ე მუხლებიდან გამომდინარე სსიპ „112-ს“, როგორც სადგომის მართლობიერ მფლობელს, შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. რაც შეეხება, ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებას, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სკის 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან, განსახილველ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანისა და შენახვის ხარჯების მოპასუხის მიერ გადახდის ვალდებულება კანონისმიერია და წარმოიშობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნიდან, რომელიც განუვლი ხარჯის ანაზღაურებას დამრღვევს აკისრებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 მარტის განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხისათვის თანხის დაკის-

რება მოთხოვნილია საქართველოს მთავრობის 27.12.2011წ. №489 დადგენილებით დამტკიცებული „ნესის“ და არა კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დებულებების საფუძველზე. კერძოდ, გ. ჭ-ის კუთვნილი ავტომანქანის საჯარიმოს სადგომზე განთავსების საფუძველს წარმოადგენდა არა მხარეთა ნების ავტონომიის პირობებში დადებული კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, არამედ ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი, სანქციონების ფორმატში განხორციელებული მოქმედებები. ამგვარად, საჯარიმო სადგომზე ავტომანქანის გადაყვანა, როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვის ფორმა და ასევე, მოთხოვნილი ღირებულების მოცულობა ცალსახად საჯარო-სამართლებრივი მიზნებით იყო განპირობებული.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ 112-ის სარჩელის შეფასება ექვემდებარება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის სსიპ „112-ის“ სარჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია განსახილველი საქმის ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების დადგენა და აღნიშნა, რომ მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნაა ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის ავტოსადგომიდან სატრანსპორტო საშუალების გაყვანის დავალება. მართალია, სსიპ „112“ ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა დავაში მისი მონაწილეობა იმთავითვე არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციულ ხასიათს, განსჯადობის საკითხზე მსჯელობისას გადამწყვეტია სადავო სამართალურთიერთობის ხასიათი და დავის საგანი. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთაზე აღძრული სარჩელი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს, სამოქალაქო სამართლის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით აღძრული სარჩელი სამოქალაქო დავაა, რადგან სწორედ სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მფლობელობის და საკუთრების უფლების საკითხებს. სამოქალაქო კანონმდებლობაც განსჯადობის განსაზღვრის პრინციპად არა დავის სუბიექტებს, არამედ სამართლებრივ ურთიერთობას აღიარებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის არც ერთი ელემენტი, რის გამოც არ არსებოს მისი ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევის საფუძველი.

ლი. ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის მომსახურების ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა არ არის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა და იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც ხელშეშლის აღკვეთის თანმდევი შედეგი. დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას არ ადასტურებს მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ სსიპ „112-ის“ მომსახურების ტარიფი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ დავაში სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთ მხარედ გამოდის სსიპ „112“, ხოლო დავის საგანი არის სსიპ „112-სათვის“ სახელმწიფოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთა და აღნიშნული ავტოსადგომით სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა) არის ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთიერთობაში მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს გამოსვლა არის დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის ერთ-ერთი და ერთადერთი მაჩვენებელი.

ნებელი. ამასთანავე, საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნება. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის სადავო სამართალურთიერთობაში საჯარო სამართლის სუბიექტის მონაწილეობა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაშიც.

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს და ხელშეკრულების მიზანს, რომელიც მისი შინაარსიდან დგინდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსიპ „112-ის“ მომსახურების საფასურის ოდენობის დადგენა და მოთხოვნილი თანხის დაანგარიშების წესის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბერის №489 დადგენილებით მოწესრიგება, თავისთავად არ არის საკმარისი ამავე ურთიერთობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიისადმი კუთვნილების გადასაწყვეტად. თავის მხრივ, მხოლოდ ვალდებულებითი ურთიერთობის ფორმალურად სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა, საჯარო-სამართლებრივი მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმაზე დაფუძნება ასევე არ ადასტურებს სადავო სამართალურთიერთობის სამოქალაქო-სამართლებრივ ხასიათს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება წარმოიშობა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნაა ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის ავტოსადგომიდან სატრანსპორტო საშუალების გაყვანის დავალება, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობის მოწესრიგების სფეროს განეკუთვნება.

კერძოდ, სსიპ „112“, სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მითითებულია ის გარემოებები, რომ 2015 წლის 24 ივლისს გ. ჭ-ეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4² მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება და სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც დღემდეა განთავსებული, საჭიროების გასვლის მიუხედავად. სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა მოიცავს ევაკუატორის გამოძახების ღირებულებას (30 ლ.), სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორით გადაადგილების საფასურსა (12 ლ.) და საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულებას (6619 ლ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 28.12.2011წ. ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულებების“ მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით სსიპ „112-ის“ ფუნქციებს შორის მითითებული იყო სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურად დაცული სადგომის მოწყობა-ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების უზრუნველყოფის ფუნქცია (ასეთივე მონესრიგებას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 20.02.2018წ. №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების 2.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), რომელიც სსიპ-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ამდენად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე დამრღვევის ავტომანქანის ე.წ. „საჯარიმო“ სადგომზე გადაყვანა სწორედ სსიპ „112-მა“ განახორციელა.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სსიპ „112-ის“ კუთვნილ სპეციალურ დაცულ სადგომზე განთავსებული ავტომანქანის მიმართ დასრულებულია სამართალდარღვევაზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება, შესაბამისად, საჭიროების გასვლის გამო დასრულებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მართალია, სასარჩელო მოთხოვნები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯაროსამართლებრივი უფლება-

მოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ სამართალურ-თიერთობაში აღარ მონაწილეობს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ასევე დავის საგანს არ შეადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები, გამოირიცხება საჯარო ელემენტის არსებობა და დავის ადმინისტრაციული წესით განხილვის შესაძლებლობა. სადავო ურთიერთობა ეხება უკვე განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას და მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად, ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ეკისრება დამრღვევს, აღნიშნული ხარჯი ფაქტობრივად აღსრულების ღირებულებაა, რომლის მიღების უფლებაც სსიპ „112-ს“ აქვს გადაცემული, ხოლო ანაზღაურების განაკვეთები განსაზღვრულია ნორმატიულად – საქართველოს მთავრობის 27.12.2011წ. №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ (მე-4 მუხ.). ამდენად, შსს-ს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ფარგლებში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა და შენახვა შესაბამისი საჭიროების გასვლამდე წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას, რადგან ხორციელდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ხოლო სამართალდარღვევაზე რეაგირების დასრულების შემდეგ, სსიპ „112-ისა“ და დამრღვევი მძღოლის ურთიერთობის ბუნება კერძო-სამართლებრივია, ვინაიდან სსიპ „112-ის“ ავტოსადგომზე სატრანსპორტო საშუალების უნებართვოდ, სადგომზე დატოვებით და ავტომობილის მფლობელის აღნიშნულ ქმედებაზე სსიპ „112-ის“ უმოქმედობით მხარეთა შორის დაიდო სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება. საკითხის არსებითად განმხილველმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენებით უნდა განაწილოს დავა და განახორციელოს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 161-ე, 172-ე მუხლებიდან გამომდინარე სსიპ „112-ს“, როგორც სადგომის მართლობიერ მფლობელს, შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. რაც შეეხება, ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებას, აღნიშ-

ნული ვალდებულების შინაარსის შეფასება სწორედ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხორციელდეს, რადგან სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანისა და შენახვის ხარჯების მოპასუხის მიერ გადახდის ვალდებულება მხარეთა შორის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შედეგად წარმოიშვა, მას შემდეგ რაც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილმა პირმა დაასრულა მის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული კატეგორიის საქმეებზე სარჩელის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება გამოძახების, გადაყვანის და შენახვის ანაზღაურების მოთხოვნას საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო შენახვის საჭიროების შემდეგ სადგომის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა და უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის დავალება კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა და არ არსებობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა. (იხ. სუსგ 16.05.2019 წლის საქმე №ბს-431(გ-19 განჩინება).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. მოსარჩელე სსიპ „112“, არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანო, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვით ხელშეკრულება მხარეთა შორის „საჯარო-მო“, სადგომზე ავტომანქანის საჭიროების გასვლის მიუხედავად, მისი იქ დატოვებითა და სსიპ „112-ის“ მიერ სატრანსპორტო საშუალების მის სადგომზე დატოვებაზე კონკლუდენტურად, დუმილით დათანხმების საფუძველზე დაიდო. აღნიშნული ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას სსიპ „112-ის“ მხრიდან. სამართალდარღვევაზე რეაგირების გამო ავტომანქანის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების გამოც მხარეთა შორის მათი კონკლუდენტური მოქმედებით წარმოიშვა სადავო სამართალურთიერთობა, თავისთავად არ წარმოადგენს აღნიშნული დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, ამას-

თანავე დავის საგანს წარმოადგენს არა სამართალდარღვევაზე რეაგირების დროს განხორციელებული ქმედებები, არამედ მხარეთა შორის სამართალდარღვევის ამონურვის შემდგომ დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის თანხის დაკისრება და მის მფლობელობაში არსებული ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთა, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას მიეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის სამოქალაქო კატეგორიისადმი კუთვნილების შესახებ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ „112-ის“ სასარჩელო მოთხოვნა, მხარეთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სასამართლოწარმოების წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ „112-ის“ სარჩელი მოპასუხე გ. ჭ-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამენარჩეო რეესტრში ცვლილების შეტანასთან
დაკავშირებით დავის განსჯაღობა**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-867(გ-19)

26 სექტემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯაღობა

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 13 ივნისს შპს „...მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ 2019 წლის 15 მარტის №ბ... გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 2019 წლის 13 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის შპს „...ის“ რეგისტრირებულ მონაცემებში პარტნიორისა და წილის ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ივნისის განჩინებით შპს „...ის“ სარჩელი განსჯაღობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, სადაც განსაზღვრულია ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეები, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ად-

მინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნაა რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ 2019 წლის 15 მარტის №ბ... გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 2019 წლის 13 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, კერძოდ, შპს „...ის“ რეგისტრირებულ მონაცემებში პარტნიორისა და წილის ცვლილების რეგისტრაცია. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილება მატერიალური თვალსაზრისით შემონეშებას ექვემდებარება კერძოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით. მხოლოდ ის გარემოება, რომ განსახილველ დავაში მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, ვერ შეცვლის დავის კერძოსამართლებრივ ხასიათს და ვერ განაპირობებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოცემული დავის განხილვას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე, რომლის მიხედვითაც, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავოდ ქცე-

ული გადაწყვეტილებები ვერ მიიჩნევა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, ვინაიდან არ გამოიცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ მას საფუძველად უდევს კერძო სამართლის კანონმდებლობა, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, სასამართლოს მითითებით, საქმე გვაქვს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ამდენად, სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლზე მითითებით შპს „...ის“ სარჩელი განსჯადობის წესით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 ივნისის განჩინებით მოცემულ საქმესთან დაკავშირებით აღიძრა დავა განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით და განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე და აღნიშნა, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 და 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. შესაბამისად, კანონმდებელმა აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის ასევე აუცილებელი პირობაა, სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანო.

სასამართლოს მითითებით, დადგენილია ის გარემოება, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს საფუძველად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს შემდეგი შინაარსის მოტივაცია: საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად (რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 16 დეკემბერს), სასოფლო-სამეურნეო და-

ნიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რე-სურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. მითითებული ნორმით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევები ორგანული კანონით დადგენილი არ არის. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით, მოსარჩელის მიერ განცხადებით მოთხოვნილი უფლება არ ექვემდებარება რეგისტრაციას.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დანაწესის შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ უფლების უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობა, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობა არ ექვემდებარება რეგისტრაციას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: 2017 წლის 26 ივლისს შ. შ-ისა და დ. შ-ის წარმომადგენელმა ნ. ს-ემ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მენარმეთა და იურიდიულ პირთა რეგისტრაციის დეპარტამენტის ბიზნესის რეგისტრაციის სამსახურში წარადგინა №B... სარეგისტრაციო განცხადება და მოითხოვა წილის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულების და პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს „...ის“ რეგისტრირებულ მონაცემებში (პარტნიორის, წილის და დირექტორის) ცვლილების რეგისტრაცია; მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სარეგისტრაციო წარმოება შეჩერებულ იქნა რამდენჯერმე და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა 1 თვე (26.07.2017 №B.../3; 30.08.2017 №B.../5; 03.10.2017 №B.../7 და 05.12.2017 №B.../10 გადაწყვეტილებები); მოსარჩელის განმარტებით, 2018 წლის 12 დეკემბერს მის მიერ შესაბამისი საფასური იქნა გადახდილი დაჩქარებული მომსახურებისთვის, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების განხილვა გაგრძელდა სამი თვე.

მოსარჩელე სადავოდ ქვეული განჩინებების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველად უთითებს შემდეგ გარემოებებს:

მის მიერ 2018 წლის 12 დეკემბერს გადახდილი იქნა დაჩქარებული მომსახურების საფასური, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

კი, გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ იქნა 2019 წლის 15 მარტს. ამდენად დარღვეულია აქტის გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

არ არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების/ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები, ვინაიდან 2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ მიღებულ იქნა №3/10/1267 1268 განჩინება, რომლითაც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^პ პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს უცხოელის მიმართ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედების „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის ამოქმედებამდე შეჩერებას, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნება საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, მოსარჩელის მიერ მითითებული უფლების დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებულია მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. შესაბამისად, დავა მიჩნეულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივად.

სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე მითითებით აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული აქტები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია. სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, 22-ე მუხლის პირველ ნაწილსა და ამავე კოდექსის 26-ე მუხლზე მითითებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შპს „...მა“ 2019 წლის 22 აგვისტოს მომართა განცხადებით, სადაც აღნიშნულია, რომ ის აღარ აპირებს სასამართლოში საქმის წარმოების გაგრძელებას, რის გამოც საქმის მასალებისა და გადახდილი ბაჟის უკან დაბრუნებას ითხოვს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქ-

მის მასალებს, შეამონმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 15 მარტის №ბ... გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 13 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის შპს „...ის“ რეგისტრირებულ მონაცემებში პარტნი-

ორისა და წილის ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაცია, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განეკუთვნება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი მარეგისტრირებელი ორგანო. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა მხოლოდ სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობის ანუ იმის გამო, რომ მოთხოვნის ადრესატი არის ადმინისტრაციული ორგანო, არამედ აგრეთვე სადავო სამართალურთიერთობის საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან წარმოშობის, სადავო სამართალურთიერთობის ბუნების გამო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „...ის“ სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რამდენადაც სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანა რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმებით. სამეწარმეო საქმიანობა კი „მეწარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებული კერძო-სამართლებრივი საქმიანობის ფორმაა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებულ პრაქტიკას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.04.2013წ. განჩინება საქმეზე №ბს- 844-828(გ-12)).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის

მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას ამახვილებს შპს „...ის“ მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ მოსარჩელე აღარ აპირებს სასამართლოში საქმის წარმოების გაგრძელებას, რის გამოც საქმის მასალებისა და გადახდილი ბაჟის უკან დაბრუნებას ითხოვს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემული საქმე შპს „...ის“ განცხადებასთან ერთად განსახილველად უნდა გადაგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „...ის“ სარჩელი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, წარმოდგენილ განცხადებასთან ერთად, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო
ურთიერთობიდან გამომდინარე ღპვის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-719-715(გ-17)

17 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 22.07.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სს „...ის“ მიმართ მოპასუხისათვის 10 000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 02.03.2016წ. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სს „...ას“ შორის დაიდო სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირებზე არსებული ინფორმაციის სს „...ისთვის“ მიწოდების შესახებ №16/02-045 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაკისრებას. მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით სააგენტოში 21.07.2016წ. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. 26.07.2016წ. სააგენტომ მონიტორინგის მიზნებისათვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეარჩია 2016 წლის 11 მაისიდან 10 ივლისის ჩათვლით სააგენტოში გადაზღვნილი 20 მოთხოვნა. 26.07.2016წ. სააგენტომ სადაზღვევო კომპანიას წერილობით მოსთხოვა შერჩეული 20 მოთხოვნის პასუხად გაცემული პერსო-

ნალური მონაცემების დამუშავების საფუძვლებზე ინფორმაცია, თუმცა სადაზღვევო კომპანიამ ვერ დაასაბუთა მონაცემების ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით დამუშავება. სააგენტოს მხრიდან არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად სს „...ამ“ ვერ უზრუნველყო ინფორმაციის დამუშავების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების არსებობის დასაბუთება, რის გამოც 21.12.2016წ. სააგენტოში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა გამოსცა დასკვნა სს „...ისათვის“ პირგასამტეხლოს – 10000 ლარის დაკისრების შესახებ, რადგან სს „...ამ“ დაარღვია ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება – შესაბამისი საფუძვლის არარსებობის პირობებში დაამუშავა პერსონალური მონაცემები. პირგასამტეხლოზე დათქმას შეიცავდა ხელშეკრულების 13.4 პუნქტი, რომლის თანახმად, ხელშეკრულების 8.3 პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ორგანიზაციას სააგენტოს სასარგებლოდ ეკისრებოდა პირგასამტეხლო თითოეულ შემთხვევაზე 500 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების მიხედვით, ორგანიზაციას ინფორმაციის დამუშავების უფლება ჰქონდა მხოლოდ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის 6.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად – კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, როდესაც გარიგების (ოპერაციის) თანხა აღემატება 3000 ლარს, კანონის 6.10 მუხლის შესაბამისად, ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციის მიზნით და ორგანიზაციის მიერ წერილობით მოპოვებული თანხმობის საფუძველზე. ხელშეკრულებების გადამონმებისას აღმოჩნდა, რომ ზოგ შემთხვევაში არ ირკვეოდა ხელშეკრულების გაფორმებისა და მოქმედების პერიოდი, ზოგ შემთხვევაში არ დასტურდებოდა გარიგების საფასურის ოდენობა, სხვა შემთხვევაში პრემიის ოდენობის გათვალისწინებით არ დასტურდებოდა დამუშავების საფუძველი, მონაცემები დამუშავებული იყო კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების მოქმედების პერიოდში. „პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის, მონაცემი შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. ამასთანავე, მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც ხდება დამუშავება. სააგენტოსა და სს „...ას“ შორის დადებული ხელშეკრულებით მკაფიოდ იყო განსაზღვრული ურთიერთობის ფორმა, ხასიათი, მონაცემთა დამუშავების ფარგლები და წესები. მიუხედავად იმისა, რომ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი განსაზ-

ღვრავდა მონაცემთა დამუშავების სხვადასხვა შემთხვევებს, ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ 3 კონკრეტული მიზნისთვის. ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა იმ საფუძვლებით მონაცემთა დამუშავებას, რომლებითაც ორგანიზაციამ იხელმძღვანელა. ორგანიზაციამ წერილობით დაადასტურა, რომ შერჩეულ 20 პირთან მიმართებით მონაცემები დამუშავა ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად ორგანიზაცია უფლებამოსილია სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან კლიენტის იდენტიფიცირება მოახდინოს, თუ გარიგების (ოპერაციის) თანხა აღემატება 3000 ლარს. ამდენად, ორგანიზაციამ მონიტორინგის დაწყებისთანავე განსაზღვრა ის ფარგლები, რის შესაბამისადაც, შემდგომში სააგენტო მოითხოვდა მტკიცებულებებს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მონაცემთა არაკანონიერად დამუშავებასთან დაკავშირებული რისკი, ორგანიზაციას ვებსერვისის მეშვეობით წვდომა აქვს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა საიდენტიფიკაციო მონაცემებზე, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 5 მილიონ ჩანაწერს შეიძლება უდრიდეს. ამდენად, სააგენტოს მიერ ამ მონაცემთა არაკანონიერად დამუშავების რისკის თავიდან ასარიდებლად მიღებულია ზომები, რაც გულისხმობს: ორგანიზაციის მოთხოვნის შესწავლას, მისი საფუძვლიანობის შემოწმებას და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით განსაზღვრული პრინციპების დაცვის უზრუნველყოფას; ორგანიზაციასთან ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომელიც მკაფიოდ და ამომწურავად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და მოცულობას; ორგანიზაციის მიერ მონაცემთა დამუშავების პერიოდულ მონიტორინგს. აღნიშნული ღონისძიებები სრულიად ადეკვატურია იმ რისკის, რაც სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული მონაცემების დამუშავებას ეხება.

„მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ 1981 წ. კონვენციის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები იცავენ ადამიანის უფლებას კონფიდენციალობის შესახებ. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება ძირითადი უფლებების ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების მე-14 მუხლი და მისი პირველი დანართი ეხება სწორედ პერსონალურ მონაცემთა დაცვას. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის უზრუნველყოფა. სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზანს ემსახურება სანქცია – პირგასამტეხლო, რომელიც მხარეთა შორის გაფორმებული ხელ-

შეკრულებით არის გათვალისწინებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 27.02.2017წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია მოსარჩელესა და სს „...ს“ შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, რადგან სამოქალაქო წესით არ განიხილება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაევები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებებზე მითითებით (სუსგ №ბს-1082-1034(გ-07), №ბს-31-27(კ-13), №ბს-17-13(2კ-13)) კოლეგიამ აღნიშნა, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ არის სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის, მხარეები არ არიან სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მატარებლები. ხელშეკრულების მიხედვით, სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის ორგანიზაციისათვის მიწოდების მიზანია: „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის 6.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კლიენტის იდენტიფიკაცია, როდესაც გარიგების თანხა 3000 ლარს აღემატება; ასევე კანონის 6.10 მუხლის შესაბამისად, ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კლიენტის იდენტიფიკაცია. ამდენად, ვინაიდან ხელშეკრულება დადებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, დგინდება, რომ სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.08.2017წ. განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სარჩელი მოპასუხე სს „...ს“ მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით, განსჯადობის შესახებ დავის გა-

დასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები, არამედ დავის საგანი. დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნის დაფუძნება საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის ნორმებზე. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნაა – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სს „...ას“ შორის დადებული სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება. ამდენად, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. აღნიშნული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილი წესით მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე ორგანიზაციის რეალურ დროში დაშვება მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის მეშვეობით. ხელშეკრულებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ იკისრა ვალდებულება ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვისას უზრუნველყოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის მონაცემთა გაცვლის სააგენტოსათვის მიწოდება, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ მიწოდებული პასუხის ორგანიზაციისათვის გაგზავნას, ხოლო სს „...ამ“ იკისრა ვალდებულება ხელშეკრულების 2.1.1 და 2.1.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლით, შესაბამისი ფიზიკური პირის თანხმობის საფუძველზე, ხელშეკრულებითვე გათვალისწინებული წესით სააგენტოსგან გამოეთხოვა ფიზიკური პირის შესახებ მონაცემები და სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, წარედგინა ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისათვის შესაბამისი ინფორმაცია. ამდენად, ხელშეკრულების შინაარსისა და მხარეთა მიერ ნაკისრი უფლებამოვალეობების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არის ინფორმაციის მიწოდების მიზნით მომსახურებისა და შუამავლობის შერეული ტიპის სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება, შესაბამისად, ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ანალოგიური ხასიათის დავა უკვე იქნა განხილული თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ და კანონიერ ძალაშია შესული (სუსგ №ას-369-343-2017).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის მიხედვით მოსარჩელე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მოპასუხე სს „...ისაგან“ ითხოვს 02.03.2016წ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს – 10 000 ლარის ანაზღაურების დაკისრებას. პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნის ვალდებულებით-სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალება, რომელსაც მოვალე იხდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას. შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების წარმოშობის წინაპირობაა ვალდებულების დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება სამოქალაქო კოდექსით წესრიგდება (სკ-ის 405-ე მუხ.), აღნიშნული არ გამოორიცხავს პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე დავის განხილვას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს იმ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, რომლიდანაც გამომდინარეობს პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება. მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ პირგასამტეხლოსთან დაკავშირებული საკითხების ზოგადად სამოქალაქო, კერძო სამართლის მონესრიგების სფეროსადმი კუთვნილება, არ ქმნის განსჯადობით საქმის იმთავითვე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის დაქვემდებარების საფუძველს. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის საგნობრივ განსჯადობას განაპირობებს ხელშეკრულების საგანი, მისი დადების საფუძველები, მიზანი და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითად უფლება-მოვალეობათა შინაარსი. ხელშეკრულების ხასიათი (ადმინისტრაციული, სამოქალაქო) განსაზღვრავს პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებული დავის განსჯადობის საკითხის გა-

დანყვეტას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ადმინისტრაციული ორგანოა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25¹ მუხ, სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხ.). საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს (იხ. სუს 26.12.2013წ. განჩინება საქმეზე №ბს-31-27(კ-13)). ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად.

განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის 02.03.2016წ. №16/02-045 ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სს „...ისათვის“ მიწოდების მიზნით.

ხელშეკრულება დაიდო ორგანიზაციის 12.02.2016წ. №01-6169 ნე-რილის შესაბამისად, „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ კანონის 4.3 მუხლის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის 20.4 მუხლის, „სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-10 და მე-12 პუნქტების, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 18.01.2012წ. №3 ბრძანებით დამტკიცებული „სადაზღვევო ორგანიზაციებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მე-6 და მე-12 პუნქტების საფუძველზე. ხელშეკრულების მიხედვით, სათანადო საფასურის გადახდის სანაცვლოდ სს „...ამ“ მოიპოვა სააგენტოს ელექტრონულ ბაზაზე რეალურ დროში დაშვებისა და მონაცემების მიღების უფლება ხელშეკრულებითვე განსაზღვრულ შემთხვევებში და მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების დადების მიზანია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთა, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის 6.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 6.10 მუხლის შესაბამისად კლიენტის იდენტიფიკაცია, ამდენად ხელშეკრულება დადებულია საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსაზრებას ხელშეკრულების საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადების შესახებ და აღნიშნავს, რომ საჯარო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტი არის ადმინისტრაციული ორგანო (სზაკ-ის 2.1 მუხ. „ა“ ქვ.პ.), სააქციო საზოგადოება არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაარსებულია მოგების მიღების მიზნით („მენარმეთა შესახებ“ კანონის 1.2, 2.3 მუხ.), სს „...ა“ არის სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირი. სადაზღვევო საქმიანობა თავის მხრივ გულისხმობს დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით მზღვეველის (ორგანიზაციის) მიერ განხორციელებულ საქმიანობას, დაზღვევა არის ურთიერთობა, რომელიც

მყარდება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და არაქონებრივი ინტერესების დასაცავად („დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „ა“, „ბ“ ქვ.პ.), ამდენად, სს „...ა“ თავისი ბუნებით კერძო-სამართლებრივ საქმიანობას ეწევა, იგი არ არის ადმინისტრაციული ორგანო არა მარტო ორგანიზაციული, არამედ ფუნქციონალური გაგებითაც, მას არ აქვს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებები. მართალია, ხელშეკრულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი წინაპირობა არ არის ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დადება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულება დადებული იყოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში. განსახილველ შემთხვევაში 02.03.2016წ. ხელშეკრულება დაიდო არა ორგანოს ინიციატივით, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო-სამართლებრივი საქმიანობის ერთ-ერთი გამოვლინება, არამედ სააქციო საზოგადოების მიმართვის, მისი ოფერტის საფუძველზე. ხელშეკრულების ტექსტით დასტურდება, რომ სწორედ ორგანიზაციის 12.02.2016წ. №01-6169 წერილი იყო 02.03.2016წ. ხელშეკრულების დადების საფუძველი. ამდენად, ვინაიდან სს „...ას“ არ აქვს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებები, მისი ინიციატივით ასეთი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით ხელშეკრულება ვერ დაიდებოდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ერთმანეთისაგან გამიჯვნას საჭიროებს 02.03.2016წ. ხელშეკრულების დადების მიზანი და იმ ნორმატიული მოწესრიგების შემოღების მიზანი, რომლის შესასრულებლადაც დაიდო ხელშეკრულება. მართებულია მოსაზრება, რომ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის ის დებულებები, რომლებიც სადაზღვევო კომპანიებს ავალდებულებს გარკვეულ შემთხვევებში მოახდინონ თავის კლიენტთა იდენტიფიცირება (მე-6 მუხ.), საჯარო-სამართლებრივ მიზანს ატარებს და ემსახურება საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნას, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას (1.1 მუხ.), თუმცა კლიენტთა იდენტიფიცირების კანონისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით სააქციო საზოგადოების მიერ ხელშეკრულების დადებას განსხვავებული მიზანი აქვს. ხელშეკრულების დადებისას სააქციო საზოგადოების მიზანს არ შეადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობა, სს ხელშეკრულებას დებს მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული იმ ვალდებულების შესრულების მიზნით, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს სანქციას („დაზღვევის შესახებ“ კანონის 21¹

მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები). სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ იმ სახის საქმიანობას, რასაც თან ახლავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზების რისკი, რის გამოც სადაზღვევო კომპანიები ჩართული არიან გარიგებათა მონიტორინგში, ახდენენ პირთა იდენტიფიცირებას, თუმცა ეს სააქციო საზოგადოებას არ აღჭურავს საჯარო უფლებამოსილებებით. მართალია, 02.03.2016წ. ხელშეკრულება არაპირდაპირ საჯარო მიზანს – უკანონო ლეგალიზების აღკვეთის ხელშეწყობას ემსახურება, თუმცა აღნიშნული არ ადასტურებს ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხასიათს. ინფორმაციულ სფეროში დარგობრივი მრავალსახეობა იძლევა კერძო-სამართლებრივი და საჯარო-სამართლებრივი სანციების ურთიერთშეხამების შესაძლებლობას, რის გამოც კონკრეტული სამართალურთიერთობის განხილვისას, ზოგჯერ ძალზედ რთულია მისი ბუნების მკვეთრი გამიჯვნა, შესაბამისად ყურადღება მახვილდება მის სტრუქტურაში ამა თუ იმ სანციის დომინირებაზე, ნახევარტონალობებზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების გადაცემა სხვა პირისათვის დასაშვებია მხოლოდ იმ პირის წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია. ამდენად, მონაცემთა დაცვის ვალდებულება არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ აგრეთვე კერძო პირების ვალდებულებასაც შეადგენს. პერსონალური მონაცემებისა და პირადი საიდუმლოების ცალკეული საკითხების მარეგულირებელი ნორმები ფრაგმენტულად მიმოფანტულია სხვადასხვა დარგობრივ საკანონმდებლო აქტებში (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი, შრომის კოდექსი, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონი და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციულ სფეროში დარგობრივი მრავალსახეობა იძლევა კერძო-სამართლებრივი და საჯარო-სამართლებრივი სანციების ურთიერთშეთანხმების და შესაბამისად, დისპოზიციური და იმპერატიული რეგულირების შეხამების შესაძლებლობას. ზოგადად, ინფორმაციული ობიექტი, კერძოდ კი პერსონალური მონაცემი, არის კომპლექსური სამართლებრივი რეგულირების საგანი, იგი დაცულია როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის ნორმებით. ვინაიდან პერსონალური მონაცემების დაცვა გათვალისწინებულია არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო სამართლით (მაგ. სკ-ის 18¹ მუხ.), მონაცემთა დაცვის თაობაზე სასამართლო დავების განსჯადობის, საჯარო თუ კერძო სამართალწარმოების საფუძველზე კონკრეტული დავის გადაწყვეტის საკითხი სინთეზის საფუძველზე უნდა მოხდეს. მოცემულ შემთხვევაში უმთავრესად ხელშეკრულების დადების მიზანი კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ მისთვის ნორმატიულად და-

ნესებული ვალდებულების შესრულებაა. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონს ერთმნიშვნელოვნად აქვს საჯარო-სამართლებრივი მიზანი, რომლის მისაღწევადაც სადაზღვევო კომპანიებს გარკვეულ შემთხვევებში ევალებათ კლიენტთა იდენტიფიცირება, თუმცა ამ იდენტიფიცირების მიზნით კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ მონაცემებზე წვდომის უფლების მოპოვებისათვის მესამე პირთან დადებული ხელშეკრულება, ვერ იქნება მიჩნეული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებად. ის, რომ ხელშეკრულების დადების საჭიროება საჯარო-სამართლებრივი ხასიათის ნორმატიული აქტიდან წარმოიშობა, არ ადასტურებს ამ ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხასიათს. კლიენტთა იდენტიფიცირების საჭიროების დამდგენ ნორმას სპეციალური სუბიექტები ჰყავს, რომელთა შორის სახელდება სადაზღვევო კომპანიები („უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხ. „გ“ ქვ.პ.). როდესაც იურიდიული პირი ირჩევს კონკრეტულ სფეროში საქმიანობას, მას წარმოეშობა სათანადო უფლება-მოვალეობები, ერთ-ერთი ასეთი მოვალეობაა კლიენტის იდენტიფიცირების საჭიროება. ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებების შესრულების მიზნით გარიგებების დადება, იმთავითვე არ გულისხმობს მათ ადმინისტრაციულ ხასიათს. 02.03.2016წ. ხელშეკრულებით სააქციო საზოგადოებამ თავის კანონისმიერ ვალდებულებათა შესრულების მიზნით ფაქტობრივად შეიძინა მომსახურება. ამდენად, ხელშეკრულების დადების საჯარო-სამართლებრივი მიზანი არ იკვეთება. ამასთანავე, განსახილველი დავის საგანია არა ხელშეკრულების დადების ნორმატიული ვალდებულების დარღვევა, არამედ უკვე გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ ხელშეკრულება იდება არა სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით, არამედ კერძო პირის კანონისმიერი ვალდებულების შესასრულებლად. საქმიანობის ნორმატიული რეგულირება, კონკრეტული პროცედურების დადგენა, იმთავითვე არ ნიშნავს ამ საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ქმედებების საჯარო-სამართლებრივ ხასიათს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას ითხოვს მონაცემთა არასათანადო მიზნით დამუშავების საფუძვლით, თუმცა სახელშეკრულებო ვალდებულების და არა ნორმატიული დანაწესის დარღვევის გამო. ამასთან, ვინაიდან ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივია, მისგან გამომდინარე ვალ-

დებულებათა შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით აღძრული სარჩელიც სამოქალაქო წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემები, რომლებიც ექვემდებარებიან ავტომატიზირებულ დამუშავებას შენახული უნდა იქნეს ზუსტად განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის და არ უნდა იყოს გამოყენებული მათთან შეუთავსებელი მიზნით. პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის არასათანადო მიზნით მოძიება და დამუშავება სამართალდარღვევაა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის შეგროვება, ჩანერა, ფოტოზე აღბეჭდვა, ორგანიზება, შენახვა, გამოთხოვა, გამოყენება, დაჯგუფება, კომბინაცია და სხვ.. ამავ კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაწესებულება უფლებამოსილია შეაგროვოს ის პირადი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია მის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად, დამუშავების ფარგლები შესაძლოა განისაზღვროს კანონით ან ხელშეკრულებით (16.2 მუხ.). დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მონაცემების დამუშავება არის მონაცემთა დამუშავების დასაშვებობის ერთ-ერთი საფუძველი („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). ის გარემოება, რომ არასათანადო მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სახელშეკრულებო აკრძალვა ნორმატიულ აკრძალვას ემთხვევა, არ ცვლის განსჯადობის წესს, რადგან განსხვავებულია ქმედებისათვის სამოქალაქო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები. სამოქალაქო პასუხისმგებლობა თანასწორ პირთა ურთიერთპასუხისმგებლობაში ვლინდება, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისას პირი პასუხს აგებს საჯარო უფლებამოსილების განმამორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წინაშე, კანონით დადგენილი წესით და მის საფუძველზე. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილი მონაცემთა დამუშავების პრინციპების (მე-4 მუხ.), მონაცემთა დამუშავების ფარგლების დაცვის საჭიროების მოთხოვნების (მე-16 მუხ.) ადრესატია მონაცემების დამმუშავებელი ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც შეიძლება იყოს არა მხოლოდ საჯარო დაწესებუ-

ლება, არამედ აგრეთვე ფიზიკური ან იურიდიული პირი (მე-2 მუხ. „ი“ ქვ.პ.). ამავე კანონით დადგენილია მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევისათვის სახდელის დაკისრების შესაძლებლობა (44.1 მუხ.), სახდელის დადების უფლება აქვს ინსპექტორს, რომელიც ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, ოქმის შედგენა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა ხდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით (55-ე მუხ.). ამდენად, მონაცემთა არამიზნობრივად დამუშავების შემთხვევაში შესაძლოა წარმოიშვას როგორც სახელმეკრულებო – კერძო-სამართლებრივი, ასევე კანონისმიერი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთანავე, მხარეთა შორის 02.03.2016წ. დადებული ხელშეკრულების თანახმად, კერძო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ერთმანეთს, ხელშეკრულების 13.8 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის (პირგასამტეხლოს) გამოყენება არ გამორიცხავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სხვა ზომის გამოყენების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს სს „...ისათვის“ კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების და არა ნორმატიული მოწესრიგების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც დავის კერძო-სამართლებრივ კატეგორიისადმი მიკუთვნებას ადასტურებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სარჩელი მოპასუხე სს „...ის“ მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქარქო-სამართლებრივი სასჯელშეკრულებო
ურთიერთობიდან გამომდინარე დავის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სასჯელით**

№ბს-905(გ-19)

17 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „112-მა“ 02.11.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ო. ნ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ავტომანქანის სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი საფასურის სრულად ანაზღაურების დავალება ავტომანქანის გაყვანის დღისთვის დარიცხული თანხის ოდენობით, რომელიც 02.11.2018წ. მდგომარეობით შეადგენს 4622 ლარს. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სსიპ „112-ის“ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ სპეციალური სადგომიდან (მის.: ქ. თბილისი, გახოკიძის ქუჩა) ავტომანქანის (სახ. ნომრით: ...) საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გაყვანის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის მაისიდან ახორციელებს ევაკუატორით მომსახურების სერვისს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციასთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანას და მათ შენახვას სპეციალურ დაცულ სადგომზე. 23.05.2015წ. ო. ნ-ს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ საქართველოს ად-

მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121.3 მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება. ავტომანქანა სსიპ „112-ის“ მიერ გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც განთავსებულია დღემდე. სარჩელის შეტანის მომენტიდან არსებული მდგომარეობით სატრანსპორტო საშუალებას სსიპ „112-ის“ მიმართ ერიცხება მომსახურების დავალიანება 4622 ლარი, რომელიც განგარიშებულია საქართველოს მთავრობის 27.12.2011წ. №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ დადგენილი განაკვეთების შესაბამისად. მოსარჩელემ მიუთითა, რომ სატრანსპორტო საშუალების მიმართ დასრულებულია ყველა საჭირო პროცედურა, რის გამოც არ არსებობს მისი სპეციალურ სადგომზე დატოვების საჭიროება. ამასთანავე, სპეციალური სადგომის ტერიტორია სსიპ „112-ს“ კანონიერ სარგებლობაში გადაცემული აქვს მესაკუთრე სახელმწიფოსაგან კონკრეტული მიზნით. საჭიროების გასვლის შემდეგ ავტომანქანის სადგომზე დგომა უარყოფითად აისახება სსიპ „112-ის“ სერვისზე, რადგან იზღუდება სადგომის ფაქტობრივი გამოყენების რესურსი. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 161-ე, 172-ე მუხლებიდან გამომდინარე სსიპ „112-ს“, როგორც სადგომის მართლზომიერ მფლობელს, შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. რაც შეეხება, ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებას, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სკ-ის 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით ვალდებულია შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან, განსახილველ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანისა და შენახვის ხარჯების მოპასუხის მიერ გადახდის ვალდებულია კანონისმიერია და წარმოიშობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშნიდან, რომელიც განუვლი ხარჯის ანაზღაურებას დამრღვევს აკისრებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.03.2019წ. განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილი უნდა იყოს საჯარო, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებ-

ლობიდან. მოსარჩელე სსიპ „112“ ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 20.02.2018წ. №18 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული დებულების შესაბამისად. დებულების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „112-ის“ ფუნქციაა სპეციალურად დაცული (საჯარიმო) სადგომის მოწყობა-ორგანიზება საქართველოს ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით სამინისტროს კომპეტენციისათვის მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე გადაყვანის და დგომის უზრუნველსაყოფად. საჯარიმო სადგომზე განთავსებული ავტომობილის გაყვანას ესაჭიროება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური უწყების ნებართვა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ „112-ის“ მიერ აღძრული სარჩელის დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო კანონმდებლობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.06.2019წ. განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია განსახილველი საქმის ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების დადგენა და აღნიშნა, რომ მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნაა ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის ავტოსადგომიდან სატრანსპორტო საშუალების გაყვანის დავალება. მართალია, სსიპ „112“ ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა დავაში მისი მონაწილეობა იმთავითვე არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციულ ხასიათს, განსჯადობის საკითხზე მსჯელობისას გადამწყვეტია სადავო სამართალურთიერთობის ხასიათი და დავის საგანი. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთაზე აღძრული სარჩელი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით მონესრიგებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს, სამოქალაქო სამართლის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით აღძრული სარჩელი სამოქალაქო დავაა, რადგან სწორედ სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მფლობელობის და საკუთრების უფლების საკითხებს. სამოქალაქო კანონმდებლობაც განსჯადობის განსაზღვრის პრინციპად არა დავის სუბიექტებს, არამედ სამართლებრივ ურთიერთობას აღიარებს. ამასთანავე, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხისათვის მომსახურების ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა არ არის დამოუკიდებ-

ლი სასარჩელო მოთხოვნა და იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც ხელშეშლის აღკვეთის თანმდევი შედეგი. დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას არ ადასტურებს მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ სსიპ „112-ის“ მომსახურების ტარიფი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.05.2019წ. №ბს-431(გ-19) განჩინებაზე, რომლის მიხედვით მოცემული კატეგორიის საქმე სამოქალაქო წესით განხილვას დაექვემდებარა. პალატამ აღნიშნა, რომ მართალია, სასარჩელო მოთხოვნები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დავის საგანს არ შეადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები. სასარჩელო მოთხოვნა ეხება თანხის დაკისრებას და სადგომის გამოთავისუფლების დავალებას. აღნიშნულ მოთხოვნებზე მსჯელობისას, საკითხის არსებითად განმხილველ სასამართლოს სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენება, დგომის საჭიროების გასვლის შემდეგ წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობების შეფასება მოუწევს, ამდენად, დავის ძირითადი კომპონენტი კერძოსამართლებრივია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს არსებული სამართლებრივი ურთიერ-

თობის ხასიათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ დავის ბუნებას და არა სუბიექტურ შემადგენლობას ენიჭება. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები სკ-ის 8.2 მუხლის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობით წესრიგდება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სსიპ „112“, რომელიც სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოა, მოპასუხე ფიზიკური პირისაგან ითხოვს მომსახურების საფასურის ანაზღაურებას და სპეციალური სადგომიდან ავტომანქანის გაყვანის დავალებას. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოებები, რომ 23.05.2015წ. ო. ნ-ს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მუშაკის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121.3 მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მგლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება. სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც დღემდეა განთავსებული, საჭიროების გასვლის მიუხედავად. სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა მოიცავს ევაკუატორის გამოძახების ღირებულებას (30 ლ.), სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების საფასურსა (24 ლ.) და საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულებას (4 568ლ.).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121.1 მუხლი სამართალდარღვევად მიიჩნევს სატრანსპორტო საშუალების მართვას პირის მიერ, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის და აღნიშნული გადაცდომის შემთხვევაში ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ამასთან, ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით (მე-3 ნაწ.). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის 1-ლი შენიშვნის მიხედვით, ამ კოდექსის 121-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მართვის მოწმობის ან სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში დამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება და მას გადაიყვანენ სპე-

ციალურ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომის შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს. აღნიშნულ დარღვევაზე სამართალდარღვევის შედგენისა და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებს, პოლიციელს (კოდექსის 209.1, 250.1¹ მუხ.). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება სისპ „112-ის“ მიმართ საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარე საფუძვლიდან წარმოიშობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმების განსხვავებული შინაარსის მიუხედავად, მათი სტრუქტურა ერთნაირია, სამართლის ნორმის სტრუქტურა შედგება ფაქტობრივი შემადგენლობისა და იურიდიული შედეგისაგან, ფაქტობრივი შემადგენლობა განსაზღვრავს ნებადართულ ან აკრძალულ ქმედებას, იურიდიული შედეგი დგება ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის დადგომის შემთხვევაში. იურიდიული შედეგი, ხშირად სანქციის ფორმით არის გამოხატული, რომელიც იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის გათვალისწინებული სანქცია არის სახელმწიფო იძულების მექანიზმით გარანტირებული იურიდიული პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს ფულადი სახით, თავისი უფლების აღკვეთით, პირისათვის გარკვეული ქმედების დავალებითა თუ აკრძალვით და სხვ.. სანქციის შეფარდებას ახორციელებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – განსახილველ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც გამოავლენს სამართალდარღვევას, ახდენს მასზე რეაგირებას და იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიულად განსაზღვრულ ფარგლებში დამრღვევისთვის სანქციის კონკრეტული ზომის შეფარდებასთან დაკავშირებით (სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №993 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ 6.1 მუხ. „გ“ და „ე“ ქვ.პ.). განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ო. ნ-ის მიერ სატრანსპორტო სამართალდარღვევის ჩადენა, რაც სადავო არ გამხდარა და შესაბამისად არ არის მოცემული დავის საგანი. ო. ნ-ი პატრულ-ინსპექტორის მიერ დაჯარიმდა სამართალდარღვევათა კოდექსის 121.3 მუხლის საფუძველზე 1000 ლარით და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის შესახებ, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება საჭიროება და აღსრულებას, რადგან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღუსრულებლობა აზრს უკარგავს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, კონკრეტული დარღვევის გამოვლენასა და

მასზე რეაგირებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს (სზაკ-ის 162.1 მუხ.), თუმცა დაიშვება აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირება (სზაკ-ის 162.3 მუხ.). დელეგირებისას კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოვალეობებს გადასცემს მესამე პირს, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც კერძო პირი, ასევე ადმინისტრაციული ორგანო. დელეგირების შედეგად სუბიექტი აღიჭურვება კონკრეტულ სფეროში საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით და მოქმედებს მინიჭებული უფლებამოვალეობების ფარგლებში. ამასთანავე, დელეგირებული უფლებამოსილებების მოცულობა, ვადა და სუბიექტი განისაზღვრება შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის მატარებელი ორგანოს მიერ. დელეგირება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე ფუნქციის მიმღებ სუბიექტთან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებით ან მათი ერთობლივი გამოყენებით.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 28.12.2011წ. ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით სსიპ „112-ის“ ფუნქციებს შორის მითითებული იყო სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურად დაცული სადგომის მონყობა-ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების უზრუნველყოფის ფუნქცია (ასეთივე მონესრიგებას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 20.02.2018წ. №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების 2.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), რომელიც სსიპ-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილებისათვის, სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომებზე სატრანსპორტო საშუალებათა განთავსება/შენახვისათვის სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი დებულებით გათვალისწინებული იყო სსიპ „112-ის“ სტრუქტურაში სპეციალური სტრუქტურული ერთეული (დებულების 9.7 მუხ.), ასეთივე მონესრიგებას ითვალისწინებს აგრეთვე „112-ის“ ამჟამად

მოქმედი დებულების 11.2 მუხლი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის გადანყვეტილების საფუძველზე დამრღვევის ავტომანქანის ე.წ. „საჯარიმო“ სადგომზე გადაყვანა სწორედ სსიპ „112-მა“ განახორციელა. სასარჩელო განცხადებაში სსიპ „112“ აღნიშნავს, რომ სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის 15.05.2014წ. დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულება დაიდო სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დეპარტამენტის შეტყობინების შედეგად სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის, შენახვისა და დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით (2.2 პუნქტი). აღნიშნული ქმედებების განხორციელება ფაქტობრივად წარმოადგენს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის გამო სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის შესახებ გადანყვეტილების აღსრულებას, ანუ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების მიზნით მისთვის საჯარო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზების შედეგად მიღებული გადანყვეტილების აღსრულებას, რისი უფლებაც ამ გადანყვეტილების მიმღებ ორგანოსვე ჰქონდა მინიჭებული (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119.1 მუხ., 250.1¹ მუხ.). ამდენად, დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის უფლებამოსილების სსიპ „112-თვის“ გადაცემით, ეს უკანასკნელი აღჭურვა აქტის აღსრულების უფლებამოსილებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სახელწოდებას, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეე-

ბის მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დასტურდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და მოსარჩელეს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციული ხასიათი, რადგან ხელშეკრულებით განხორციელდა სსიპ „112-ის“ ისეთი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციით აღჭურვა, რომელიც ნორმატიულად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება. ამდენად, სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას, დაცვასა და შენახვას სსიპ „112“ ახორციელებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დებულების საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ფუნქციის განხორციელებისას პირთან წარმოშობილი სამართალურთიერთობები საჯარო ხასიათისაა.

ხელშეკრულება ითვალისწინებს აღსრულების უფლებამოსილების დელეგირებას და არა აღსრულების პროცესში ტექნიკურ დახმარებას, რადგან სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანასთან და დგომასთან დაკავშირებული პროცესის განხორციელება სრულად სსიპ-თვის არის გადაცემული. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად, ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ეკისრება დამრღვევს, აღნიშნული ხარჯი ფაქტობრივად აღსრულების ღირებულებაა, რომლის მიღების უფლებაც ხელშეკრულებით ასევე სსიპ „112-ს“ აქვს გადაცემული, ხოლო ანაზღაურების განაკვეთები განსაზღვრულია ნორმატიულად – საქართველოს მთავრობის 27.12.2011წ. №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ (მე-4 მუხ.). ამდენად, შსს-ს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ფარგლებში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა და შენახვა შესაბამისი საჭიროების გასვლამდე წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას, რადგან ხორციელდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი იღებს გადანყვებილებას დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მფლობელისათვის დაბრუნებაზე, რის შესახებაც აცნობებს სსიპ „112-ს“ (3.1.4 პუნქტი), ხოლო სსიპ „112“ ვალდებულია დაუბრუნოს მესაკუთრეს (მფლობელს) სატრანსპორტო საშუალება დეპარტამენტის აღნიშნული ნებართვის საფუძველზე (3.2.12 პუნქტი). ამდენად, სსიპ „112-ის“ მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება სრულდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიზნებისათვის სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დგომის საჭიროების ამონურვით, თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საჭიროების არარსებობის მიუხედავად მესაკუთრე (მფლობელი) არ ახდენს სატრანსპორტო საშუალების სადგომიდან გაყვანას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დასტურდება საჭიროების გასვლის შემდეგ დამრღვევის მიერ სატრანსპორტო საშუალების სსიპ „112-ის“ ავტოსადგომზე დატოვება. ამდენად, ერთი მხრივ, ფაქტობრივი უმოქმედობით მფლობელმა გამოხატა სსიპ-ის ავტოსადგომზე სატრანსპორტო საშუალების დგომის ნება, ხოლო მეორე მხრივ, ქმედითი წინააღმდეგობის გაუნეგლობით, დუმილით სსიპ „112“ კონკლუდენტურად დაეთანხმა სატრანსპორტო საშუალების მის სადგომზე დატოვებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, კერძოდ: მიბარება, უკეთუ დასტურდება სსიპ-ის პასუხისმგებლობა ქონების შენახვასთან, მოვლასთან და დაცვასთან დაკავშირებით, ან სადგომის კონკრეტული ადგილის დამრღვევის მიერ დაქირავება, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებას არ მოჰყვება გამქირავებელი მხარისათვის ნივთის შენახვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. სსიპ „112-სა“ და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მიხედვით, საჭიროების გასვლის შემდეგ ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები არ ვრცელდება „112-ის“ და დამრღვევ მძღოლთან (სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან) ურთიერთობაზე, ამდენად, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება სსიპ „112-ის“ ვალდებულება საჭიროების გასვლის შემდეგ სადგომზე განთავსებული სატრანსპორტო საშუალების დაცვის შესახებ, თუმცა მეორე მხრივ ავტოსადგომი არაერთგზის მოიხსენიება დაცულ ავტოსადგომად. ამდენად, საქმის მასალებით არ იკვეთება სადგომზე განთავსებული ავტომანქანის მიმართ სსიპ „112-

ის“ უფლება-მოვალეობების ფარგლები, რაც ამ ეტაპზე გამორიცხავს ხელშეკრულების კონკრეტული სახის დადგენის შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული არ ქმნის დაბრკოლებას განსჯადობის წესის განსაზღვრისათვის, რადგან განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ხელშეკრულების ბუნება და არა – ხელშეკრულების კონკრეტული სახე, ამ უკანასკნელი საკითხის განსაზღვრა დავის არსებითად განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს. ხელშეკრულების კონკრეტული სახის მიუხედავად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ურთიერთობის ამ ნაწილის ბუნება კერძო-სამართლებრივია, აღნიშნულზე მითითებას ახდენს აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, საჭიროების გავსლის შემდეგ „112-სა“ და დამრღვევ მძღოლს (სატრანსპორტო საშუალების მფლობელს) შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით (ხელშეკრულების 8.2 პუნქტი). ამდენად, მითითებულ ნაწილში არსებული ურთიერთობა კერძო-სამართლებრივია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება გამოძახების, გადაყვანის და შენახვის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნას საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ხოლო შენახვის საჭიროების შემდეგ სადგომის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოება სასამართლო დავის გადაწყვეტისას უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. დავის კომპლექსური ხასიათი, გამოსაყენებელი ნორმების სიმრავლე, ნორმატიული აქტის მიერ როგორც საჯარო-სამართლებრივი ისე კერძო-სამართლებრივი ხასიათის რეგულირება, სადავო ურთიერთობების ნახევარტონალობა ართულებს საჯარო და კერძო-სამართლებრივ საკითხებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლებას, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს დავის მთავარი კომპონენტის დადგენას, მისი განსჯადობის განსაზღვრისას მთავარი საკითხის გადამწყვეტ სასამართლოს აქვს უფლება გადაწყვიტოს დავის ყველა კომპონენტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, სასარჩელო მოთხოვნები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ და-

ვის საგანს არ შეადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები: ევაკუაციონის გამოძახება, სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანა, სადგომზე გაჩერება. სასარჩელო მოთხოვნა ეხება თანხის დაკისრებას და სადგომის გამოთავისუფლების დავალებას, მოსარჩელის ინტერესი მომსახურების, სადგომზე დგომის ღირებულების ანაზღაურება და უძრავი ნივთით სათანადოდ სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთაა. სკ-ის 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით, ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. მოცემულ შემთხვევაში სსიპ „112-სა“ და ფიზიკურ პირს შორის დავა არ ეხება შსს-ს და სსიპ-ს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებას, სსიპ-თვის დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას, მოცემულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობა ეხება უკვე გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას. აღნიშნულ მოთხოვნებზე მსჯელობისას, საკითხის არსებითად განმხილველ სასამართლოს ძირითადად სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენება, დგომის საჭიროების გასვლის შემდეგ წარმოშობილი კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასება, მისგან გამომდინარე ვალდებულებებზე მსჯელობა მოუწევს. ამდენად, დავის ძირითადი კომპონენტი კერძო-სამართლებრივია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავა განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ „112-ის“ სარჩელი მოპასუხე ო. ნ-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქარქო-სამართლებრივი სასჯელშეკრულებო
ურთიერთობიდან გამომდინარე დავის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სასჯელით**

№ბს-933(გ-19)

17 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „112-მა“ 14.09.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე მ. ა-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ავტომანქანის სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი საფასურის სრულად ანაზღაურების დავალება ავტომანქანის გაყვანის დღისთვის დარიცხული თანხის ოდენობით, რომელიც 13.09.2018წ. მდგომარეობით შეადგენს 4222 ლარს. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სსიპ „112-ის“ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ სპეციალური სადგომიდან (მის.: ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა) ავტომანქანის (სახ. ნომრი: ...) საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გაყვანის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის მაისიდან ახორციელებს ევაკუატორით მომსახურების სერვისს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციასთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანას და მათ შენახვას სპეციალურ სადგომზე.

09.11.2015წ. მ. ა-ეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4³ მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება და დაჯარიმდა. სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც განთავსებულია დღემდე. სარჩელის შეტანის მომენტიდან არსებული მდგომარეობით სატრანსპორტო საშუალებას სსიპ „112-ის“ მიმართ ერიცხება მომსახურების დავალიანება 4222 ლარი, რომელიც გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 27.12.2011წ. №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ დადგენილი განაკვეთების შესაბამისად. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხის სატრანსპორტო საშუალების მიმართ დასრულებულია ყველა საჭირო პროცედურა, რის გამოც არ არსებობს მისი სპეციალურ სადგომზე დატოვების საჭიროება. ამასთანავე, სპეციალური სადგომის ტერიტორია სსიპ „112-ს“ კანონიერ სარგებლობაში გადაცემული აქვს მესაკუთრე სახელმწიფოსაგან კონკრეტული მიზნით. საჭიროების გასვლის შემდეგ ავტომანქანის სადგომზე დგომა უარყოფითად აისახება სსიპ „112-ის“ სერვისზე, რადგან იზღუდება სადგომის ფაქტობრივი გამოყენების რესურსი. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 161-ე, 172-ე მუხლებიდან გამომდინარე სსიპ „112-ს“, როგორც სადგომის მართლობიერ მფლობელს, შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. რაც შეეხება, ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებას, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სკის 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან, განსახილველ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანისა და შენახვის ხარჯების მოპასუხის მიერ გადახდის ვალდებულება კანონისმიერია და წარმოიშობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნიდან, რომელიც განუვლი ხარჯის ანაზღაურებას დამრღვევს აკისრებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.03.2019წ. განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ

ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილი უნდა იყოს საჯარო, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოსარჩელე სსიპ „112“ ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 20.02.2018წ. №18 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული დებულების შესაბამისად. დებულების მე-2 მუხლის „ი“ ქვეუნიქტის თანახმად, „112-ის“ ფუნქციაა სპეციალურად დაცული (საჯარიმო) სადგომის მოწყობა-ორგანიზება საქართველოს ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით სამინისტროს კომპეტენციისათვის მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე გადაყვანის და დგომის უზრუნველსაყოფად. საჯარიმო სადგომზე განთავსებული ავტომობილის გაყვანას ესაჭიროება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური უწყების ნებართვა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ „112-ის“ მიერ აღძრული სარჩელის დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო კანონმდებლობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.06.2019წ. განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია განსახილველი საქმის ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების დადგენა და აღნიშნა, რომ მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნაა ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის ავტოსადგომიდან სატრანსპორტო საშუალების გაყვანის დავალება. მართალია, სსიპ „112“ ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა დავაში მისი მონაწილეობა იმთავითვე არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციულ ხასიათს, განსჯადობის საკითხზე მსჯელობისას გადამწყვეტია სადავო სამართალურთიერთობის ხასიათი და დავის საგანი. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთაზე აღძრული სარჩელი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს, სამოქალაქო სამართლის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით აღძრული სარჩელი სამოქალაქო დავაა, რადგან სწორედ სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მფლობელობის და საკუთრების უფლების საკითხებს. სამოქალაქო კანონმდებლობაც განსჯადობის განსაზღვრის პრინციპად არა დავის სუბიექტებს, არამედ სამართლებრივ ურთიერთობას აღიარებს. ამას-

თანავე, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხისათვის მომსახურების ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა არ არის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა და იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც ხელშეშლის აღკვეთის თანმდევი შედეგი. დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას არ ადასტურებს მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ სსიპ „112-ის“ მომსახურების ტარიფი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.05.2019წ. №ზს-431(გ-19) განჩინებაზე, რომლის მიხედვით მოცემული კატეგორიის საქმე სამოქალაქო წესით განხილვას დაექვემდებარა. პალატამ აღნიშნა, რომ მართალია, სასარჩელო მოთხოვნები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დავის საგანს არ შეადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები. სასარჩელო მოთხოვნა ეხება თანხის დაკისრებას და სადგომის გამოთავისუფლების დავალებას. აღნიშნულ მოთხოვნებზე მსჯელობისას, საკითხის არსებითად განმხილველ სასამართლოს სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენება, დგომის საჭიროების გასვლის შემდეგ წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობების შეფასება მოუწევს, ამდენად, დავის ძირითადი კომპონენტი კერძოსამართლებრივია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. განსახილ-

ველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ დავის ბუნებას და არა სუბიექტურ შემადგენლობას ენიჭება. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები სკ-ის 8.2 მუხლის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობით წესრიგდება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სსიპ „112“, რომელიც სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოა, მოპასუხე ფიზიკური პირისაგან ითხოვს მომსახურების საფასურის ანაზღაურებას და სპეციალური სადგომიდან ავტომანქანის გაყვანის დავალებას. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოებები, რომ 09.11.2015წ. მ. ა-ეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მუშაკის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4³ მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება და დაჯარიმდა. სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც დღემდეა განთავსებული, საჭიროების გასვლის მიუხედავად. სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა მოიცავს ევაკუატორის გამოძახების ღირებულებას (30 ლ.), სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების საფასურსა (12 ლ.) და საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულებას (4180 ლ.).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.1 მუხლი სამართალდარღვევად მიიჩნევს სატრანსპორტო საშუალების მართვას ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ან ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემონმებისათვის თავის არიდებას და აღნიშნული გადაცდომის შემთხვევაში სანქციის სახით ითვალისწინებს დამრღვევისათვის მართვის უფლების შეჩერებას. ამასთან, უკეთუ დამრღვევს არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს, დამატებით გათვალისწინებულია ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით (4² ნაწ.), ხოლო დარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში – 1500 ლარის ოდენობით (4³ ნაწ.). განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ მ. ა-ე დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4³ მუხლის საფუძველზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის 1-ლი პენიშენის მიხედვით, ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მარ-

თვის მოწმობის ან სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში დამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება და მას გადაიყვანენ სპეციალურ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომის შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს. აღნიშნულ დარღვევაზე სამართალდარღვევის შედგენისა და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებს, პოლიციელს (კოდექსის 209.1, 250.1¹ მუხ.). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება სსიპ „112-ის“ მიმართ საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარე საფუძვლიდან წარმოიშობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმების განსხვავებული შინაარსის მიუხედავად, მათი სტრუქტურა ერთნაირია, სამართლის ნორმის სტრუქტურა შედგება ფაქტობრივი შემადგენლობისა და იურიდიული შედეგისაგან, ფაქტობრივი შემადგენლობა განსაზღვრავს ნებადართულ ან აკრძალულ ქმედებას, იურიდიული შედეგი დგება ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის დადგომის შემთხვევაში. იურიდიული შედეგი, ხშირად სანქციის ფორმით არის გამოხატული, რომელიც იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის გათვალისწინებული სანქცია არის სახელმწიფო იძულების მექანიზმით გარანტირებული იურიდიული პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს ფულადი სახით, თავისუფლების აღკვეთით, პირისათვის გარკვეული ქმედების დავალებითა თუ აკრძალვით და სხვ. სანქციის შეფარდებას ახორციელებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – განსახილველ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც გამოავლენს სამართალდარღვევას, ახდენს მასზე რეაგირებას და იღებს გადანყვეტილებას ნორმატიულად განსაზღვრულ ფარგლებში დამრღვევისთვის სანქციის კონკრეტული ზომის შეფარდებასთან დაკავშირებით (სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №993 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ 6.1 მუხ. „გ“ და „ე“ ქვ.პ.). განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მ. ა-ის მიერ სატრანსპორტო სამართალდარღვევის ჩადენა, რაც სადავო არ გამხდარა და შესაბამისად არ არის მოცემული დავის საგანი. მ. ა-ე პატრულ-ინსპექტორის მიერ დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4³ მუხლის საფუძველზე 1500 ლარით და მიღებულ იქნა გადანყვეტილება სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის შესახებ, თუმცა აღნიშნული გადანყვეტილება საჭიროებდა აღსრულებას, რადგან საჯარო უფლებამოსილი-

ბის განხორციელების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებლობა აზრს უკარგავს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, კონკრეტული დარღვევის გამოვლენასა და მასზე რეაგირებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს (სზაკ-ის 162.1 მუხ.), თუმცა დაიშვება აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირება (სზაკ-ის 162.3 მუხ.). დელეგირებისას კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოვალეობებს გადასცემს მესამე პირს, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც კერძო პირი, ასევე ადმინისტრაციული ორგანო. დელეგირების შედეგად სუბიექტი აღიჭურვება კონკრეტულ სფეროში საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით და მოქმედებს მინიჭებული უფლებამოვალეობების ფარგლებში. ამასთანავე, დელეგირებული უფლებამოსილებების მოცულობა, ვადა და სუბიექტი განისაზღვრება შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის მატარებელი ორგანოს მიერ. დელეგირება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე ფუნქციის მიმღებ სუბიექტთან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებით ან მათი ერთობლივი გამოყენებით.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 28.12.2011წ. ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით სსიპ „112-ის“ ფუნქციებს შორის მითითებული იყო სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურად დაცული სადგომის მოწყობა-ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების უზრუნველყოფის ფუნქცია (ასეთივე მოწესრიგებას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 20.02.2018წ. №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების 2.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), რომელიც სსიპ-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილებისათვის, სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომებზე სატრანსპორტო საშუალებათა განთავსება/შენახვისათვის სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმე-

დი დებულებით გათვალისწინებული იყო სსიპ „112-ის“ სტრუქტურაში სპეციალური სტრუქტურული ერთეული (დებულების 9.7 მუხ.), ასეთივე მონესრიგებას ითვალისწინებს აგრეთვე ამჟამად მოქმედი დებულების 11.2 მუხლი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის გადანყვეტილების საფუძველზე დამრღვევის ავტომანქანის ე.წ. „საჯარიმო“ სადგომზე გადაყვანა სწორედ სსიპ „112-მა“ განახორციელა. სასარჩელო განცხადებაში სსიპ „112“ აღნიშნავს, რომ სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის 15.05.2014წ. დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულება დაიდო სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დეპარტამენტის შეტყობინების შედეგად სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის, შენახვისა და დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით (2.2 პუნქტი). აღნიშნული ქმედებების განხორციელება ფაქტობრივად წარმოადგენს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის გამო სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის შესახებ გადანყვეტილების აღსრულებას, ანუ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების მიზნით მისთვის საჯარო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზების შედეგად მიღებული გადანყვეტილების აღსრულებას, რისი უფლებაც ამ გადანყვეტილების მიმღებ ორგანოსვე ჰქონდა მინიჭებული (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119.1 მუხ., 250.1¹ მუხ.). ამდენად, დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის უფლებამოსილების სსიპ „112-თვის“ გადაცემით, ეს უკანასკნელი აღჭურვა აქტის აღსრულების უფლებამოსილებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების, გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სახელწოდებას, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულებით

ბის დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დასტურდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და მოსარჩელეს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციული ხასიათი, რადგან ხელშეკრულებით განხორციელდა სსიპ „112-ის“ ისეთი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციით აღჭურვა, რომელიც ნორმატიულად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება. ამდენად, სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას, დაცვასა და შენახვას სსიპ „112“ ახორციელებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დებულების საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ფუნქციის განხორციელებისას პირთან წარმოშობილი სამართალურთიერთობები საჯარო ხასიათისაა.

ხელშეკრულება ითვალისწინებს აღსრულების უფლებამოსილების დელეგირებას და არა აღსრულების პროცესში ტექნიკურ დახმარებას, რადგან სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანასთან და დგომასთან დაკავშირებული პროცესის განხორციელება სრულად სსიპ-თვის არის გადაცემული. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად, ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ეკისრება დამრღვევს, აღნიშნული ხარჯი ფაქტობრივად აღსრულების ღირებულებაა, რომლის მიღების უფლებაც ხელშეკრულებით ასევე სსიპ „112-ს“ აქვს გადაცემული, ხოლო ანაზღაურების განაკვეთები განსაზღვრულია ნორმატიულად – საქართველოს მთავრობის 27.12.2011წ. №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ (მე-4 მუხ.). ამდენად, შსს-ს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ფარგლებში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა და შენახვა შესაბამისი საჭიროების გასვლამდე წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას, რადგან ხორციელ-

დება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მფლობელისათვის დაბრუნებაზე, რის შესახებაც აცნობებს სსიპ „112-ს“ (3.1.4 პუნქტი), ხოლო სსიპ „112“ ვალდებულია დაუბრუნოს მესაკუთრეს (მფლობელს) სატრანსპორტო საშუალება დეპარტამენტის აღნიშნული ნებართვის საფუძველზე (3.2.12 პუნქტი). ამდენად, სსიპ „112-ის“ მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება სრულდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიზნებისათვის სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დგომის საჭიროების ამონურვით, თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საჭიროების არარსებობის მიუხედავად მესაკუთრე (მფლობელი) არ ახდენს სატრანსპორტო საშუალების სადგომიდან გაყვანას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დასტურდება საჭიროების გასვლის შემდეგ დამრღვევის მიერ სატრანსპორტო საშუალების სსიპ „112-ის“ ავტოსადგომზე დატოვება. ამდენად, ერთი მხრივ, ფაქტობრივი უმოქმედობით მფლობელმა გამოხატა სსიპ-ის ავტოსადგომზე სატრანსპორტო საშუალების დგომის ნება, ხოლო მეორე მხრივ, ქმედითი წინააღმდეგობის გაუწევლობით, დუმილით სსიპ „112“ კონკლუდენტურად დაეთანხმა სატრანსპორტო საშუალების მის სადგომზე დატოვებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, კერძოდ: მიბარება, უკეთუ დასტურდება სსიპ-ის პასუხისმგებლობა ქონების შენახვასთან, მოვლასთან და დაცვასთან დაკავშირებით, ან სადგომის კონკრეტული ადგილის დამრღვევის მიერ დაქირავება, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებას არ მოჰყვება გამქირავებელი მხარისათვის ნივთის შენახვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. სსიპ „112-სა“ და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მიხედვით, საჭიროების გასვლის შემდეგ ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები არ ვრცელდება „112-ის“ და დამრღვევ მძღოლთან (სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან) ურთიერთობაზე, ამდენად, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება სსიპ „112-ის“ ვალდებულება საჭიროების გასვლის შემდეგ სადგომზე განთავსებული სატრანსპორტო საშუალების დაცვის შე-

სახებ, თუმცა მეორე მხრივ ავტოსადგომი არაერთგზის მოიხსენიება დაცულ ავტოსადგომად. ამდენად, საქმის მასალებით არ იკვეთება სადგომზე განთავსებული ავტომანქანის მიმართ სსიპ „112-ის“ უფლება-მოვალეობების ფარგლები, რაც ამ ეტაპზე გამორიცხავს ხელშეკრულების კონკრეტული სახის დადგენის შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული არ ქმნის დაბრკოლებას განსჯადობის წესის განსაზღვრისათვის, რადგან განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ხელშეკრულების ბუნება და არა – ხელშეკრულების კონკრეტული სახე, ამ უკანასკნელი საკითხის განსაზღვრა დავის არსებითად განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს. ხელშეკრულების კონკრეტული სახის მიუხედავად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ურთიერთობის ამ ნაწილის ბუნება კერძო-სამართლებრივია, აღნიშნულზე მითითებას ახდენს აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, საჭიროების გასვლის შემდეგ „112-სა“ და დამრღვევ მძღოლს (სატრანსპორტო საშუალების მფლობელს) შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით (ხელშეკრულების 8.2 პუნქტი). ამდენად, მითითებულ ნაწილში არსებულ ურთიერთობა კერძო-სამართლებრივია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება გამოძახების, გადაყვანის და შენახვის ანაზღაურების მოთხოვნას საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ხოლო შენახვის საჭიროების შემდეგ სადგომის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოება სასამართლო დავის გადაწყვეტისას უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. დავის კომპლექსური ხასიათი, გამოსაყენებელი ნორმების სიმრავლე, ნორმატიული აქტის მიერ როგორც საჯარო-სამართლებრივი ისე კერძო-სამართლებრივი ხასიათის რეგულირება, სადავო ურთიერთობების ნახევარტონალობა ართულებს საჯარო და კერძო-სამართლებრივ საკითხებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლენას, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს დავის მთავარი კომპონენტის დადგენას, მისი განსჯადობის განსაზღვრისას მთავარი საკითხის გადამწყვეტ სასამართლოს აქვს უფლება გადაწყვიტოს დავის ყველა კომპონენტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, სასარჩელო

მოთხოვნები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დავის საგანს არ შეადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები: ევაკუატორის გამოძახება, სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანა, სადგომზე გაჩერება. სასარჩელო მოთხოვნა ეხება თანხის დაკისრებას და სადგომის გამოთავისუფლების დავალებას, მოსარჩელის ინტერესი მომსახურების, სადგომზე დგომის ღირებულების ანაზღაურება და უძრავი ნივთით სათანადოდ სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთა. სკ-ის 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით, ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. მოცემულ შემთხვევაში სსიპ „112-სა“ და ფიზიკურ პირს შორის დავა არ ეხება შსს-ს და სსიპ-ს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებას, სსიპ-თვის დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას, მოცემულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობა ეხება უკვე განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას. აღნიშნულ მოთხოვნებზე მსჯელობისას, საკითხის არსებითად განმხილველ სასამართლოს ძირითადად სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენება, დგომის საჭიროების გასვლის შემდეგ წარმოშობილი კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასება, მისგან გამომდინარე ვალდებულებებზე მსჯელობა მოუწევს. ამდენად, დავის ძირითადი კომპონენტი კერძო-სამართლებრივია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავა განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ „112-ის“ სარჩელი მოპასუხე მ. ა-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქარქო-სამართლებრივი სასჯელშეკრულებო
ურთიერთობიდან გამომდინარე დავის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სასჯელით**

№ბს-958(გ-19)

17 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „112-მა“ 07.09.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე რ. ბ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ავტომანქანის სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი საფასურის სრულად ანაზღაურების დავალება ავტომანქანის გაყვანის დღისთვის დარიცხული თანხის ოდენობით, რომელიც 07.09.2018წ. მდგომარეობით შეადგენს 4685 ლარს. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სსიპ „112-ის“ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ სპეციალური სადგომიდან (მის.: ქ. თბილისი, დიღმის საცდელი მეურნეობა) ავტომანქანის (სახ. ნომრი: ...) საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გაყვანის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის მაისიდან ახორციელებს ევაკუატორით მომსახურების სერვისს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციასთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანას და მათ შენახვას სპეციალურ სადგომზე.

09.08.2014წ. რ. ბ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4² მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება. სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც განთავსებულია დღემდე. სარჩელის შეტანის მომენტიდან არსებული მდგომარეობით სატრანსპორტო საშუალებას სსიპ „112-ის“ მიმართ ერიცხება მომსახურების დავალიანება 4685 ლარი, რომელიც გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 27.12.2011წ. №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ დადგენილი განაკვეთების შესაბამისად. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხის სატრანსპორტო საშუალების მიმართ დასრულებულია ყველა საჭირო პროცედურა, რის გამოც არ არსებობს მისი სპეციალურ სადგომზე დატოვების საჭიროება. ამასთანავე, სპეციალური სადგომის ტერიტორია სსიპ „112-ს“ კანონიერ სარგებლობაში გადაცემული აქვს მესაკუთრე სახელმწიფოსაგან კონკრეტული მიზნით. საჭიროების გასვლის შემდეგ ავტომანქანის სადგომზე დგომა უარყოფითად აისახება სსიპ „112-ის“ სერვისზე, რადგან იზღუდება სადგომის ფაქტობრივი გამოყენების რესურსი. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 161-ე, 172-ე მუხლებიდან გამომდინარე სსიპ „112-ს“, როგორც სადგომის მართლზომიერ მფლობელს, შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. რაც შეეხება, ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებას, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სკ-ის 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან, განსახილველ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანისა და შენახვის ხარჯების მოპასუხის მიერ გადახდის ვალდებულება კანონისმიერია და წარმოიშობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნიდან, რომელიც განეული ხარჯის ანაზღაურებას დამრღვევს აკისრებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 29.11.2018წ. განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხისათვის თანხის დაკისრება მოთხოვნილია საქართველოს მთავრობის 27.12.2011წ. №489

დადგენილებით დამტკიცებული „ნესის“ და არა კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დებულებების საფუძველზე. სწორედ მითითებული „ნესის“ მე-4 მუხლი ეხება საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა „112-ის“ სპეციალურად დაცულ სადგომზე ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების მიზნით, „112-ის“ მომსახურების საფასურებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მეორე სასარჩელო მოთხოვნა – მოპასუხისათვის ავტომანქანის საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გაყვანის ვალდებულების დაკისრების შესახებ აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 20.02.2018წ. №18 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ „112-ის“ დებულების“ 2.2 „ი“ ქვეპუნქტის დანაწესიდან. ამდენად, დავა წარმოშობილია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, რაც მას ადმინისტრაციული კატეგორიის დავად აქცევს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.06.2019წ. განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია განსახილველი საქმის ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების დადგენა და აღნიშნა, რომ მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნაა ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის ავტოსადგომიდან სატრანსპორტო საშუალების გაყვანის დავალება. მართალია, სსიპ „112“ ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა დავაში მისი მონაწილეობა იმთავითვე არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციულ ხასიათს, განსჯადობის საკითხზე მსჯელობისას გადამწყვეტია სადავო სამართალურთიერთობის ხასიათი და დავის საგანი. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთაზე აღძრული სარჩელი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს, სამოქალაქო სამართლის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით აღძრული სარჩელი სამოქალაქო დავაა, რადგან სწორედ სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მფლობელობის და საკუთრების უფლების საკითხებს. სამოქალაქო კანონმდებლობაც განსჯადობის განსაზღვრის პრინციპად არა დავის სუ-

ბიექტებს, არამედ სამართლებრივ ურთიერთობას აღიარებს. ამასთანავე, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხისათვის მომსახურების ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა არ არის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა და იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც ხელშეშლის აღკვეთის თანმდევი შედეგი. დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას არ ადასტურებს მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ სსიპ „112-ის“ მომსახურების ტარიფი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.05.2019წ. №ზს-431(გ-19) განჩინებაზე, რომლის მიხედვით მოცემული კატეგორიის საქმე სამოქალაქო წესით განხილვას დაექვემდებარა. პალატამ აღნიშნა, რომ მართალია, სასარჩელო მოთხოვნები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დავის საგანს არ შეადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები. სასარჩელო მოთხოვნა ეხება თანხის დაკისრებას და სადგომის გამოთავისუფლების დავალებას. აღნიშნულ მოთხოვნებზე მსჯელობისას, საკითხის არსებითად განმხილველ სასამართლოს სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენება, დგომის საჭიროების გასვლის შემდეგ წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობების შეფასება მოუწევს, ამდენად, დავის ძირითადი კომპონენტი კერძოსამართლებრივია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სას.კ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სა-

მართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ დავის ბუნებას და არა სუბიექტურ შემადგენლობას ენიჭება. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები სკ-ის 8.2 მუხლის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობით წესრიგდება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები .

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სსიპ „112“, რომელიც სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოა, მოპასუხე ფიზიკური პირისაგან ითხოვს მომსახურების საფასურის ანაზღაურებას და სპეციალური სადგომიდან ავტომანქანის გაყვანის დავალებას. სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მითითებულია ის გარემოებები, რომ 09.08.2014წ. რ. ბ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მუშაკის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4² მუხლის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება და დაჯარიმდა. სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც დღემდე განთავსებული, საჭიროების გასვლის მიუხედავად. სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა მოიცავს ევაკუატორის გამოძახების ღირებულებას (30 ლ.), სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების საფასურსა (25 ლ.) და საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულებას (4631 ლ.).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.1 მუხლი სამართალდარღვევად მიიჩნევს სატრანსპორტო საშუალების მართვას ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ან ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემონმებისათვის თავის არიდებას და სახდელის სახით ითვალისწინებს დამრღვევისათვის მართვის უფლების შეჩერებას. ამასთან, უკეთუ დამრღვევს არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს, დამატებით გათვალისწინებულია ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით (4² ნაწ.). განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ რ. ბ-ი დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4² მუხლის საფუძველზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის 1-ლი შენიშვნის მიხედვით, ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მართვის მოწმობის ან სატრანსპორტო საშუალების

სარეგისტრაციო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში დამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება და მას გადაიყვანენ სპეციალურ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომის შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს. აღნიშნულ დარღვევაზე სამართალდარღვევის შედგენისა და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებს, პოლიციელს (კოდექსის 209.1, 250.1¹ მუხ.). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება სსიპ „112-ის“ მიმართ საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარე საფუძვლიდან წარმოიშობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმების განსხვავებული შინაარსის მიუხედავად, მათი სტრუქტურა ერთნაირია, სამართლის ნორმის სტრუქტურა შედგება ფაქტობრივი შემადგენლობისა და იურიდიული შედეგისაგან, ფაქტობრივი შემადგენლობა განსაზღვრავს ნებადართულ ან აკრძალულ ქმედებას, იურიდიული შედეგი დგება ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის დადგომის შემთხვევაში. იურიდიული შედეგი, ხშირად სანქციის ფორმით არის გამოხატული, რომელიც იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის გათვალისწინებული სანქცია არის სახელმწიფო იძულების მექანიზმით გარანტირებული იურიდიული პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს ფულადი სახით, თავისუფლების აღკვეთით, პირისათვის გარკვეული ქმედების დავალებითა თუ აკრძალვით და სხვ.. სანქციის შეფარდებას ახორციელებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – განსახილველ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც გამოავლენს სამართალდარღვევას, ახდენს მასზე რეაგირებას და იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიულად განსაზღვრულ ფარგლებში დამრღვევისთვის სანქციის კონკრეტული ზომის შეფარდებასთან დაკავშირებით (სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №993 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ 6.1 მუხ. „გ“ და „ე“ ქვ.პ.). განსახილველ შემთხვევაში სახეზეა რ. ბ-ის მიერ სატრანსპორტო სამართალდარღვევის ჩადენა, რაც სადავო არ გამხდარა და შესაბამისად არ არის მოცემული დავის საგანი. რ. ბ-ი პატრულ-ინსპექტორის მიერ დაჯარიმდა სამართალდარღვევათა კოდექსის 116.4² მუხლის საფუძველზე 1000 ლარით და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის შესახებ, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება საჭიროება და აღსრულებას, რადგან საჯარო უფლებამოსილების განხორცი-

ლების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღუსრულებლობა აზრს უკარგავს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, კონკრეტული დარღვევის გამოვლენასა და მასზე რეაგირებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს (სზაკ-ის 162.1 მუხ.), თუმცა დაიშვება აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირება (სზაკ-ის 162.3 მუხ.). დელეგირებისას კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოვალეობებს გადასცემს მესამე პირს, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც კერძო პირი, ასევე ადმინისტრაციული ორგანო. დელეგირების შედეგად სუბიექტი აღიჭურვება კონკრეტულ სფეროში საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით და მოქმედებს მინიჭებული უფლებამოვალეობების ფარგლებში. ამასთანავე, დელეგირებული უფლებამოსილებების მოცულობა, ვადა და სუბიექტი განისაზღვრება შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის მატარებელი ორგანოს მიერ. დელეგირება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე ფუნქციის მიმღებ სუბიექტთან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებით ან მათი ერთობლივი გამოყენებით.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 28.12.2011წ. ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით სსიპ „112-ის“ ფუნქციებს შორის მითითებული იყო სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურად დაცული სადგომის მოწყობა-ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების უზრუნველყოფის ფუნქცია (ასეთივე მოწესრიგებას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 20.02.2018წ. №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების 2.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), რომელიც სსიპ-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილებისათვის, სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომებზე სატრანსპორტო საშუალებათა განთავსება/შენახვისათვის სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმე-

დი დებულებით გათვალისწინებული იყო სსიპ „112-ის“ სტრუქტურაში სპეციალური სტრუქტურული ერთეული (დებულების 9.7 მუხ.), ასეთივე მონესრიგებას ითვალისწინებს აგრეთვე ამჟამად მოქმედი დებულების 11.2 მუხლი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის გადანყვეტილების საფუძველზე დამრღვევის ავტომანქანის ე.წ. „საჯარიმო“ სადგომზე გადაყვანა სწორედ სსიპ „112-მა“ განახორციელა. სასარჩელო განცხადებაში სსიპ „112“ აღნიშნავს, რომ სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის 15.05.2014წ. დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულება დაიდო სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დეპარტამენტის შეტყობინების შედეგად სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის, შენახვისა და დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით (2.2 პუნქტი). აღნიშნული ქმედებების განხორციელება ფაქტობრივად წარმოადგენს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის გამო სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის შესახებ გადანყვეტილების აღსრულებას, ანუ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების მიზნით მისთვის საჯარო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზების შედეგად მიღებული გადანყვეტილების აღსრულებას, რისი უფლებაც ამ გადანყვეტილების მიმღებ ორგანოსვე ჰქონდა მინიჭებული (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119.1 მუხ., 250.1¹ მუხ.). ამდენად, დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის უფლებამოსილების სსიპ „112-თვის“ გადაცემით, ეს უკანასკნელი აღჭურვა აქტის აღსრულების უფლებამოსილებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სახელწოდებას, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულებით

ბის დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დასტურდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და მოსარჩელეს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციული ხასიათი, რადგან ხელშეკრულებით განხორციელდა სსიპ „112-ის“ ისეთი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციით აღჭურვა, რომელიც ნორმატიულად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება. ამდენად, სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას, დაცვასა და შენახვას სსიპ „112“ ახორციელებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დებულების საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ფუნქციის განხორციელებებისას პირთან წარმოშობილი სამართალურთიერთობები საჯარო ხასიათისაა.

ხელშეკრულება ითვალისწინებს აღსრულების უფლებამოსილების დელეგირებას და არა აღსრულების პროცესში ტექნიკურ დახმარებას, რადგან სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანასთან და დგომასთან დაკავშირებული პროცესის განხორციელება სრულად სსიპ-თვის არის გადაცემული. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად, ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ეკისრება დამრღვევს, აღნიშნული ხარჯი ფაქტობრივად აღსრულების ღირებულებაა, რომლის მიღების უფლებაც ხელშეკრულებით ასევე სსიპ „112-ს“ აქვს გადაცემული, ხოლო ანაზღაურების განაკვეთები განსაზღვრულია ნორმატიულად – საქართველოს მთავრობის 27.12.2016წ. №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ (მე-4 მუხ.). ამდენად, შსს-ს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ფარგლებში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა და შენახვა შესაბამისი საჭიროების გასვლამდე წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას, რადგან ხორციელ-

დება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მფლობელისათვის დაბრუნებაზე, რის შესახებაც აცნობებს სსიპ „112-ს“ (3.1.4 პუნქტი), ხოლო სსიპ „112“ ვალდებულია დაუბრუნოს მესაკუთრეს (მფლობელს) სატრანსპორტო საშუალება დეპარტამენტის აღნიშნული ნებართვის საფუძველზე (3.2.12 პუნქტი). ამდენად, სსიპ „112-ის“ მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება სრულდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიზნებისათვის სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დგომის საჭიროების ამონურვით, თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საჭიროების არარსებობის მიუხედავად მესაკუთრე (მფლობელი) არ ახდენს სატრანსპორტო საშუალების სადგომიდან გაყვანას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დასტურდება საჭიროების გასვლის შემდეგ დამრღვევის მიერ სატრანსპორტო საშუალების სსიპ „112-ის“ ავტოსადგომზე დატოვება. ამდენად, ერთი მხრივ, ფაქტობრივი უმოქმედობით მფლობელმა გამოხატა სსიპ-ის ავტოსადგომზე სატრანსპორტო საშუალების დგომის ნება, ხოლო მეორე მხრივ, ქმედითი წინააღმდეგობის გაუწევლობით, დუმილით სსიპ „112“ კონკლუდენტურად დაეთანხმა სატრანსპორტო საშუალების მის სადგომზე დატოვებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, კერძოდ: მიბარება, უკეთუ დასტურდება სსიპ-ის პასუხისმგებლობა ქონების შენახვასთან, მოვლასთან და დაცვასთან დაკავშირებით, ან სადგომის კონკრეტული ადგილის დამრღვევის მიერ დაქირავება, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებას არ მოჰყვება გამქირავებელი მხარისათვის ნივთის შენახვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. სსიპ „112-სა“ და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მიხედვით, საჭიროების გასვლის შემდეგ ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები არ ვრცელდება „112-ის“ და დამრღვევ მძღოლთან (სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან) ურთიერთობაზე, ამდენად, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება სსიპ „112-ის“ ვალდებულება საჭიროების გასვლის შემდეგ სადგომზე განთავსებული სატრანსპორტო საშუალების დაცვის შე-

სახეზე, თუმცა მეორე მხრივ, ავტოსადგომი არაერთგზის მოიხსენიება დაცულ ავტოსადგომად. ამდენად, საქმის მასალებით არ იკვეთება სადგომზე განთავსებული ავტომანქანის მიმართ სსიპ „112-ის“ უფლება-მოვალეობების ფარგლები, რაც ამ ეტაპზე გამორიცხავს ხელშეკრულების კონკრეტული სახის დადგენის შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული არ ქმნის დაბრკოლებას განსჯადობის წესის განსაზღვრისათვის, რადგან განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ხელშეკრულების ბუნება და არა – ხელშეკრულების კონკრეტული სახე, ამ უკანასკნელი საკითხის განსაზღვრა დავის არსებითად განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს. ხელშეკრულების კონკრეტული სახის მიუხედავად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ურთიერთობის ამ ნაწილის ბუნება კერძო-სამართლებრივია, აღნიშნულზე მითითებას ახდენს აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, საჭიროების გასვლის შემდეგ „112-სა“ და დამრღვევ მძღოლს (სატრანსპორტო საშუალების მფლობელს) შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით (ხელშეკრულების 8.2 პუნქტი). ამდენად, მითითებულ ნაწილში არსებულ ურთიერთობა კერძო-სამართლებრივია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება გამოძახების, გადაყვანის და შენახვის ანაზღაურების მოთხოვნას საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ხოლო შენახვის საჭიროების შემდეგ სადგომის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოება სასამართლო დავის გადაწყვეტისას უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. დავის კომპლექსური ხასიათი, გამოსაყენებელი ნორმების სიმრავლე, ნორმატიული აქტის მიერ როგორც საჯარო-სამართლებრივი ისე კერძო-სამართლებრივი ხასიათის რეგულირება, სადავო ურთიერთობების ნახევარტონალობა ართულებს საჯარო და კერძო-სამართლებრივ საკითხებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლებას, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს დავის მთავარი კომპონენტის დადგენას, მისი განსჯადობის განსაზღვრისას მთავარი საკითხის გადამწყვეტ სასამართლოს აქვს უფლება გადაწყვიტოს დავის ყველა კომპონენტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, სასარჩელო

მოთხოვნები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დავის საგანს არ შეადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები: ევაკუატორის გამოძახება, სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანა, სადგომზე გაჩერება. სასარჩელო მოთხოვნა ეხება თანხის დაკისრებას და სადგომის გამოთავისუფლების დავალებას, მოსარჩელის ინტერესი მომსახურების, სადგომზე დგომის ღირებულების ანაზღაურება და უძრავი ნივთით სათანადოდ სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთაა. სკ-ის 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით, ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. მოცემულ შემთხვევაში სსიპ „112-სა“ და ფიზიკურ პირს შორის დავა არ ეხება შსს-ს და სსიპ-ს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებას, სსიპ-თვის დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას, მოცემულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობა ეხება უკვე განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას. აღნიშნულ მოთხოვნებზე მსჯელობისას, საკითხის არსებითად განმხილველ სასამართლოს ძირითადად სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენება, დგომის საჭიროების გასვლის შემდეგ წარმოშობილი კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასება, მისგან გამომდინარე ვალდებულებებზე მსჯელობა მოუწევს. ამდენად, დავის ძირითადი კომპონენტი კერძო-სამართლებრივია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავა განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ „112-ის“ სარჩელი მოპასუხე რ. ბ-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქერქომ-სამართლებრივი სსხელშეკრულებომ
ურთიერთობიდან გამომდინარე დავის განსჯადობა**

**განჩინება
საქართველოს სსხელით**

№ბს-779(გ-19)

14 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 19 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – გ. ს-ის მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი მომსახურების საფასურის – 1938 (ათას ცხრაას ოცდათვრამეტი) ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდის დაკისრება, სსიპ „112-ის“ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ სპეციალური დაცული სადგომიდან (მის: ქ. თბილისი, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობა) ავტომანქანის სახ. ნორმით ... საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გადაყვანის დავალება და მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელის შეტანისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 220 (ორას ოცი) ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 ნოემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი, მოპასუხე გ. ს-ის მიმართ, თანხის დაკისრებისა და უკანონო ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს იმ საქმეთა კატეგორიას, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი კი განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება იყოს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის კანონმდებლობიდან.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ მოთხოვნა თავისი შინაარსის გათვალისწინებით, გამომდინარეობდა არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე იურიდიული ასპექტი, კერძოდ, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის საჯარო-სამართლებრივი ხასიათი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელის თანახმად, გ. ს-ის კუთვნილი ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე განთავსების საფუძველს წარმოადგენდა არა მხარეთა ნების ავტონომიის პირობებში დადებული კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი, სანქციონების ფორმატში განხორ-

ციელებული მოქმედებები. ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარიმო სადგომზე ავტომანქანის გადაყვანა, როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვის ფორმა, ცალსახად საჯარო-სამართლებრივი მიზნებით იყო განპირობებული. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ ინდივიდუალური შეთანხმების საგანს, ასევე, არ წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ღირებულება, რომელიც რეგულირებულია 2011 წლის 27 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №489 დადგენილებით.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ მოთხოვნის იურიდიული დასაბუთების შეფასებისათვის, პირველ რიგში, შესამოწმებელი იყო საჯარიმო სადგომზე ავტომანქანის განთავსების ლეგიტიმურობა და ეს საფუძველი, სასამართლოს აღნიშვნით, გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ამასთან, მოთხოვნილი ღირებულების მოცულობა, რომელიც ასევე ეყრდნობოდა საქართველოს მთავრობის №489 დადგენილებას.

შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ მოთხოვნის ნორმატიული წინაპირობების განსაზღვრისას, ვალდებულების არსებობის ნაწილში სასამართლო ვალდებული იყო, ეხელმძღვანელა აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით და შეეფასებინა ვალდებულების შინაარსი ყველა სპეციფიკური ასპექტის გათვალისწინებით. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელის შეფასება ექვემდებარებოდა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საპროცესო ეკონომიის თვალსაზრისით, აგრეთვე, იმისათვის, რომ უკეთ ყოფილიყო უზრუნველყოფილი პირის უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე, რაც მოიცავდა ასევე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უფლებას, მიზანშეწონილი იყო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის (სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის საფუძველი, რომლის თანახმადაც საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის) განმარტებულიყო იმგვარად, რომ მისი შინაარსი არ გავრცელებულიყო საგნობრივ განსჯადობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი საქმების განსჯად სასამართლოში გადაგზავნას, თუმცა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს

გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი კი ადგენს, რომ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

სასამართლოს მითითებით, საგულისხმო იყო, რომ საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის დაწყების საკითხსაც არ აწესრიგებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (ამ კოდექსის 24-ე მუხლის მეორე წინადადებაში ასახული განსჯადობის შესახებ დავის აკრძალვა ეხება 23-ე მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებს ტერიტორიული განსჯადობით საქმის გადაცემის თაობაზე). ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სასამართლოებს შორის დავა განსჯადობაზე დასაშვებია და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ მისთვის განსჯადობით გადაგზავნილი საქმე არ არის სამოქალაქო წესით განსახილველი, მას შეუძლია, დაიწყოს დავა განსჯადობაზე და საქმე გადაუგზავნოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად. დავის დაწყებისას სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის აღნიშვნით, იქიდან გამომდინარე, რომ კანონი უშვებს სასამართლოებს შორის დავას განსჯადობის თაობაზე, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან მიღების ეტაპის გადალახვის შემდეგ ამავე საფუძვლით სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, შესაძლებელია, ჯერ მხარემ გახადოს სადავოდ განსჯადობის საკითხი განჩინების გასაჩივრებით, შემდეგ კი ამისგან დამოუკიდებლად სასამართლოებს შორის დაიწყოს დავა განსჯადობაზე. ამგვარად, სასამართლომ მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ განსჯადობის საკითხზე დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, საქმის საგნობრივი განსჯადობის საკითხი ხდება არაერთგზის განხილვისა და შეფასების საგანი, რაშიც მონაწილეობს არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს ორი სხვადასხვა კოლეგია, არამედ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაც. ამგვარად, მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მსგავსად, სამოქალაქო საქმის განმხილველმა სასამართლომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, საგნობრივად არაგანსჯადი საქმეები თავად გადაუგზავნოს ადმინისტრაციული საქმის განმხილველ სასამართლოს, რითაც უკეთ იქნება უზრუნველყო-

ფილი მხარის უფლება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების გზით დავის გადაწყვეტაზე და ასევე თავიდან იქნება აცილებული დამატებით კიდევ ერთი სასამართლო ინსტანციის – სააპელაციო სასამართლოს მონაწილეობა განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაში მაშინ, როდესაც კანონით დაშვებულია სასამართლოთა შორის დავის დაწყება განსჯადობის თაობაზე და დადგენილია ამ დავის გადაწყვეტაზე უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების წინაპირობები, რისი გათვალისწინებითაც საქმე განსჯადობით უნდა გადაგზავნოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 მაისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი მოპასუხე გ. ს-ის მიმართ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი იძლევა კომპეტენციის გამიჯვნის პოზიტიური ტაქსაციის მეთოდის გამოყენებით ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. ამასთანავე, კომპეტენციის განსაზღვრის ზოგადი ნიშნის გამოყენებით (ენუმერაციის მეთოდი) კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის იმ სამართალურთიერთობიდან წარმოშობა, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.09.2014წ. განჩინება საქმეზე №350-316(გ-14)). ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ენიჭებოდა სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმასა და საფუძვლებს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მნიშვნელოვნად მიიჩნია დადგენილიყო მოცემული საქმის ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნება და შეფასებულიყო, გამომდინარეობდა თუ არა დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ითხოვდა მის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით, სპეციალური დაცული სადგომიდან ავტომანქანის საკუ-

თარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გაყვანის მოპასუხისათვის დავა-
ლებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მოსარჩელეს საქართვე-
ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“ წარმოადგენდა, მაგრამ საქმეში მისი მონაწილეობა სარჩელს ადმინისტრაციული
დავის ხასიათს არ სძენდა, ვინაიდან დავაში ადმინისტრაციული
ორგანოს მონაწილეობა მის სამართლებრივ ბუნებას არ განსაზ-
ღვრავდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერ-
თობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭებოდა, რომელიც ადმინის-
ტრაციული კანონმდებლობიდან უნდა ყოფილიყო წარმოშობილი.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ განსახილ-
ველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საკუთ-
რების უფლების ხელშეშლის აღკვეთა და თანხის ანაზღაურება,
რაც არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული კატეგორიის დავას,
რამდენადაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-
დექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო სასა-
მართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განი-
ხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გა-
მომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ და-
ვებს. სასამართლოს აღნიშვნით, საქართველოს ადმინისტრაციუ-
ლი საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კი კიდევ უფ-
რო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრა-
ციული დავის საგანს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ კა-
ნონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის
განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რო-
მელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც
საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონ-
მდებლობითაა მოწესრიგებული.

სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების უფლების ხელშეშ-
ლის აღკვეთაზე აღძრული სარჩელი წარმოადგენს სამოქალაქო კო-
დექსით მოწესრიგებულ კლასიკურ სამოქალაქო-სამართლებრივ
ინსტიტუტს, ისტორიულად, სანივთო სამართლის შემადგენელ ნა-
წილს და არის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. საკუთრების უფლე-
ბის ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე აღძრული სარჩელი სამოქა-
ლაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა,
რადგან სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მფლობელობის და სა-
კუთრების უფლების საკითხებს.

ამასთან, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმე-
თა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არა-

მედ სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ საქმეებს სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის №431(გ-19) განჩინებაზე, რომლის თანახმად, სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელს არ გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი არც ერთი ელემენტი, რის გამოც არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

ამას გარდა, სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა სსიპ „112-ის“ სპეციალურად დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი მომსახურების საფასურის დაკისრების თაობაზე, წარმოადგენდა არა ძირითადი მოთხოვნისაგან დამოუკიდებელ საგანს, არამედ მოსარჩელის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის თანმდევ შედეგს. სასამართლომ, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელი იყო არა ავტომანქანის საჯარო-სადგომზე გადაყვანის კანონიერება, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების საფასური. სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილების მე-4 მუხლის სათაურზეც, რომლის 3¹ პუნქტით განსაზღვრულია მოთხოვნილი საფასურის ოდენობაც. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოთხოვნილი თანხის დაანგარიშების წესი განსაზღვრულია ნორმატიული აქტით, მოცემულ დავას არ სძენს ადმინისტრაციულ ხასიათს და ვერ იქნება განხილული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი თანდართული მასალებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას უნდა გადასცემოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი, მოპასუხე გ. ს-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე აღამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული წესით სასამართლოთა განსჯად საქმეებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ორ სხვადასხვა კოლეგიას შორის დავა საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებით არის წარმოშობილი. ამდენად, დასადგენია, მოცემული საქმე წარმოადგენს ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ დავის ბუნებას და არა სუბიექტურ შემადგენლობას ენიჭება. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობით წესრიგდება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე – სსიპ „112“, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოა, მოპასუხე ფიზიკური პირისაგან ითხოვს მომსახურების საფასურის ანაზღაურებას და სპეციალური სადგომიდან ავტომანქანის გაყვანის დავალებას. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოებები, რომ 2017 წლის 8 აგვისტოს გ. ს-ეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მუშაკის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სა-

მართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 4² ნაწილისა და 125-ე მუხლის 9² ნაწილის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება. სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც დღემდე განთავსებული. სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა მოიცავს ევაკუატორის გამოძახების ღირებულებას (30 ლარი), სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების საფასურსა (24 ლარი) და საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულებას (1884 ლარი).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი სამართალდარღვევად მიიჩნევს სატრანსპორტო საშუალების მართვას ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში და აღნიშნული გადაცდომის შემთხვევაში ითვალისწინებს დამრღვევისათვის მართვის უფლების შეჩერებას. ამასთან, თუკი დამრღვევს არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს, დამატებით გათვალისწინებულია ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით (4² ნაწ.), ხოლო დარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში – 1500 ლარის ოდენობით (4³ ნაწ.). განსახილველ შემთხვევაში, დასტურდება, რომ გ. ს-ე დაჯარიმდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 4² ნაწილისა და 125-ე მუხლის 9² ნაწილის საფუძველზე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის მიხედვით, ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მართვის მონაშობის ან სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში დამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება და მას გადაიყვანენ სპეციალურ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომის შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს. აღნიშნულ დარღვევაზე სამართალდარღვევის შედგენისა და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებს, პოლიციელს (კოდექსის 209.13, 250.1¹ მუხ.). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება სსიპ „112-ის“ მიმართ საჯარო კანონმდებლობიდან წარმოშობილი საფუძვლიდან წარმოიშობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმების განსხვავებული შინაარსის მიუხედავად, მათი სტრუქტურა ერთნაირია, სამართლის ნორმის სტრუქტურა შედგება ფაქტობრივი შემადგენლობისა და იურიდიული შედეგისაგან, ფაქტობრივი შემადგენლობა განსაზღვრავს ნებადართულ ან აკრძალულ ქმედებას,

იურიდიული შედეგი დგება ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის დადგომის შემთხვევაში. იურიდიული შედეგი, ხშირად სანქციის ფორმით არის გამოხატული, რომელიც იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის გათვალისწინებული სანქცია არის სახელმწიფო იძულების მექანიზმით გარანტირებული იურიდიული პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს ფულადი სახით, თავისუფლების აღკვეთით, პირისათვის გარკვეული ქმედების დავალებითა თუ აკრძალვით და სხვ.. სანქციის შეფარდებას ახორციელებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც გამოავლენს სამართალდარღვევას, ახდენს მასზე რეაგირებას და იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიულად განსაზღვრულ ფარგლებში დამრღვევისთვის სანქციის კონკრეტული ზომის შეფარდებასთან დაკავშირებით (სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №993 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები).

განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა გ. ს-ის მიერ სატრანსპორტო სამართალდარღვევის ჩადენა, რაც სადავო არ გამხდარა და შესაბამისად არ არის მოცემული დავის საგანი. გ. ს-ე პატრულ-ინსპექტორის მიერ დაჯარიმდა სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 4² ნაწილისა და 125-ე მუხლის 9² ნაწილის საფუძველზე 1000 ლარით და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის შესახებ, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება საჭიროებდა აღსრულებას, რადგან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებლობა აზრს უკარგავს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, კონკრეტული დარღვევის გამოვლენასა და მასზე რეაგირებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილი), თუმცა დაიშვება აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირება (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 162-ე მუხლის მე-3 ნაწილი). დელეგირებისას კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოვალეობებს გადასცემს მესამე პირს, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც კერძო პირი, ასევე ადმინისტრაციული ორგანო. დელეგი-

რების შედეგად სუბიექტი აღიჭურვება კონკრეტულ სფეროში საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით და მოქმედებს მიწიჭებული უფლება-მოვალეობების ფარგლებში. ამასთანავე, დელეგირებული უფლებამოსილებების მოცულობა, ვადა და სუბიექტი განისაზღვრება შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის მატარებელი ორგანოს მიერ. დელეგირება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე ფუნქციის მიმღებ სუბიექტთან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებით ან მათი ერთობლივი გამოყენებით.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით სსიპ „112-ის“ ფუნქციებს შორის მითითებული იყო სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურად დაცული სადგომის მოწყობა-ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების უზრუნველყოფის ფუნქცია (ასეთივე მოწესრიგებას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების 2.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), რომელიც სსიპ-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილებისათვის, სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომებზე სატრანსპორტო საშუალებათა განთავსება/შენახვისათვის სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი დებულებით გათვალისწინებული იყო სსიპ „112-ის“ სტრუქტურაში სპეციალური სტრუქტურული ერთეული (დებულების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი), ასეთ მოწესრიგებას ითვალისწინებს აგრეთვე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ შექმნის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე ამჟამად მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საპატრულო პოლიციის

დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე დამრღვევის ავტომატური ე.წ. „საჯარიმო“ სადგომზე გადაყვანა სწორედ სსიპ „112-მა“ განახორციელა. სასარჩელო განცხადებაში სსიპ „112“ აღნიშნავს, რომ სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის 2014 წლის 15 მაისს დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულება დაიდო სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დეპარტამენტის შეტყობინების შედეგად სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის, შენახვისა და დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით (2.2 პუნქტი). აღნიშნული ქმედებების განხორციელება ფაქტობრივად წარმოადგენს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის გამო სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას, ანუ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების მიზნით მისთვის საჯარო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, რისი უფლებაც ამ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსვე ჰქონდა მინიჭებული (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილი, 250-ე მუხლის 1^ა ნაწილი). ამდენად, დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის უფლებამოსილების სსიპ „112-ისთვის“ გადაცემით, ეს უკანასკნელი აღჭურვა აქტის აღსრულების უფლებამოსილებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25^ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სახელწოდებას, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვე-

პუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დასტურდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და მოსარჩელეს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციული ხასიათი, რადგან ხელშეკრულებით განხორციელდა სსიპ „112-ის“ ისეთი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციით აღჭურვა, რომელიც ნორმატიულად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება. ამდენად, სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანას, დაცვასა და შენახვას სსიპ „112“ ახორციელებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დებულების საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ფუნქციის განხორციელებებისას პირთან წარმოშობილი სამართალურთიერთობები საჯარო ხასიათისაა.

საკვსაცხო სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს აღსრულების უფლებამოსილების დელეგირებას და არა აღსრულების პროცესში ტექნიკურ დახმარებას, რადგან სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანასთან და დგომასთან დაკავშირებული პროცესის განხორციელება სრულად სსიპ-ისთვის არის გადაცემული. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად, ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ეკისრება დამრღვევს, აღნიშნული ხარჯი ფაქტობრივად აღსრულების ღირებულებაა, რომლის მიღების უფლებაც ხელშეკრულებით ასევე სსიპ „112-ს“ აქვს გადაცემული, ხოლო ანაზღაურების განაკვეთები განსაზღვრულია ნორმატიულად – საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესის“ მე-4 მუხლით. ამდენად, შსს-ს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ფარგლებში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გა-

დაყვანა და შენახვა შესაბამისი საჭიროების გასვლამდე წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას, რადგან ხორციელდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სსიპ „112-ს“ შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიხედვით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მფლობელისათვის დაბრუნებაზე, რის შესახებაც აცნობებს სსიპ „112-ს“ (3.1.4 პუნქტი), ხოლო სსიპ „112“ ვალდებულია დაუბრუნოს მესაკუთრეს (მფლობელს) სატრანსპორტო საშუალება დეპარტამენტის აღნიშნული ნებართვის საფუძველზე (3.2.12 პუნქტი). ამდენად, სსიპ „112-ის“ მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება სრულდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიზნებისათვის სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დგომის საჭიროების ამონურვით, თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საჭიროების არარსებობის მიუხედავად მესაკუთრე (მფლობელი) არ ახდენს სატრანსპორტო საშუალების სადგომიდან გაყვანას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დასტურდება საჭიროების გასვლის შემდეგ დამრღვევის მიერ სატრანსპორტო საშუალების სსიპ „112-ის“ ავტოსადგომზე დატოვება. ამდენად, ერთი მხრივ, ფაქტობრივი უმოქმედობით მფლობელმა გამოხატა სსიპ-ის ავტოსადგომზე სატრანსპორტო საშუალების დგომის ნება, ხოლო, მეორე მხრივ, ქმედითი წინააღმდეგობის გაუნეწობით, დუმილით სსიპ „112“ კონკლუდენტურად დაეთანხმა სატრანსპორტო საშუალების მის სადგომზე დატოვებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, კერძოდ, მიზარება, უკეთუ დასტურდება სსიპ-ის პასუხისმგებლობა ქონების შენახვასთან, მოვლასთან და დაცვასთან დაკავშირებით, ან სადგომის კონკრეტული ადგილის დამრღვევის მიერ დაქირავება, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებას არ მოჰყვება გამქირავებელი მხარისათვის ნივთის შენახვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. სსიპ „112-სა“ და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მიხედვით, საჭიროების გასვლის შემდეგ ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები არ ვრცელდება „112-ის“ და დამრღვევ მძღოლთან (სატრანსპორტო საშუალების მფლო-

ბელთან) ურთიერთობაზე, ამდენად, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება სსიპ „112-ის“ ვალდებულება საჭიროების გასვლის შემდეგ სადგომზე განთავსებული სატრანსპორტო საშუალების დაცვის შესახებ, თუმცა, მეორე მხრივ, ავტოსადგომი არაერთგზის მოიხსენიება დაცულ ავტოსადგომად. ამდენად, საქმის მასალებით არ იკვეთება სადგომზე განთავსებული ავტომანქანის მიმართ სსიპ „112-ის“ უფლება-მოვალეობების ფარგლები, რაც ამ ეტაპზე გამორიცხავს ხელშეკრულების კონკრეტული სახის დადგენის შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული არ ქმნის დაბრკოლებას განსჯადობის ნესის განსაზღვრისათვის, რადგან განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ხელშეკრულების ბუნება და არა – ხელშეკრულების კონკრეტული სახე, ამ უკანასკნელი საკითხის განსაზღვრა დავის არსებითად განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს.

ხელშეკრულების კონკრეტული სახის მიუხედავად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ურთიერთობის ამ ნაწილის ბუნება კერძო-სამართლებრივია, აღნიშნულზე მითითებას ახდენს, აგრეთვე, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, საჭიროების გასვლის შემდეგ „112-სა“ და დამრღვევ მძღოლს (სატრანსპორტო საშუალების მფლობელს) შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით (ხელშეკრულების 8.2 პუნქტი). ამდენად, მითითებულ ნაწილში არსებული ურთიერთობა კერძო-სამართლებრივია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება გამოძახების, გადაყვანის და შენახვის ანაზღაურების მოთხოვნას საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო შენახვის საჭიროების შემდეგ სადგომის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოება სასამართლო დავის გადაწყვეტისას უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. დავის კომპლექსური ხასიათი, გამოსაყენებელი ნორმების სიმრავლე, ნორმატიული აქტის მიერ როგორც საჯარო-სამართლებრივი ისე კერძო-სამართლებრივი ხასიათის რეგულირება, სადავო ურთიერთობების ნახევარტონალობა ართულებს საჯარო და კერძო-სამართლებრივ საკით-

ხებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლენას, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს დავის მთავარი კომპონენტის დადგენას, მისი განსჯადობის განსაზღვრისას, მთავარი საკითხის გადამწყვეტ სასამართლოს აქვს უფლება გადაწყვიტოს დავის ყველა კომპონენტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, სასარჩელო მოთხოვნები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დავის საგანს არ შეადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები: ევაკუაციონის გამოძახება, სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანა, სადგომზე გაჩერება. სასარჩელო მოთხოვნა ეხება თანხის დაკისრებას და სადგომის გამოთავისუფლების დავალებას, მოსარჩელის ინტერესი მომსახურების, სადგომზე დგომის ღირებულების ანაზღაურება და უძრავი ნივთით სათანადოდ სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების თანახმად, ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. მოცემულ შემთხვევაში სსიპ „112-სა“ და ფიზიკურ პირს შორის დავა ეხება არა შსს-სა და სსიპ-ს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებას, სსიპ-ისთვის დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას, არამედ უკვე განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას. აღნიშნულ მოთხოვნებზე მსჯელობისას, საკითხის არსებითად განმხილველ სასამართლოს ძირითადად სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენება, დგომის საჭიროების გასვლის შემდეგ წარმოშობილი კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასება, მისგან გამომდინარე ვალდებულებებზე მსჯელობა მოუწევს. ამდენად, დავის ძირითადი კომპონენტი კერძო-სამართლებრივია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დაადგინა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სარჩელი, მოპასუხე გ. ს-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების თაობაზე ღირსების განსჯადობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-912(გ-18)

20 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ქ. ცინცაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სარჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10.07.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ვ. დ-ის მიმართ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასარგებლოდ 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის 16 ივნისიდან 2015 წლის 12 იანვრამდე შსს ყოფილი სპეციალური და საგანგებო ღონისძიე-

ბების ცენტრის შეიარაღების სამმართველოს თანამშრომლების მიერ ამავე ცენტრის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტში ჩატარებულ იქნა შეიარაღების, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დანაკლისის სახით გამოვლენილ იქნა სხვადასხვა სახის შეიარაღება და აღჭურვილობა, მათ შორის ერთი ცალი ღამის ხედვის მონყობილობა „ზაგემი“ — №... აღნიშნული მონყობილობა ერიცხებოდა შსს ყოფილი სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის შტაბის (მთავარი სამმართველო) — 4 ლოჯისტიკური უზრუნველყოფის განყოფილების შეიარაღების ქვეგანყოფილებას, რომლის ხელმძღვანელი და მატერიალურად პასუხისმგებელი პირი იყო ვ. დ-ი. ვ. დ-ის მიერ 25.08.2006წ. №157 გასავლის ზედდებულით აღნიშნული მონყობილობა დროებითი სარგებლობის მიზნით გადაეცა შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს ი. ქ-ეს, თუმცა აღნიშნული ფაქტის შესახებ არ ეცნობა შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შეიარაღების სამმართველოს, რათა არ მომხდარიყო მისი სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის შტაბის (მთავარი სამმართველო) — 4 ლოჯისტიკური უზრუნველყოფის განყოფილების ბალანსიდან მოხსნა და შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე გადაწერა. ი. ქ-ე 2012 წლის 1 ნოემბრიდან დათხოვნილ იქნა შს სამინისტროდან და მის სახელზე გაიცა შემოვლის ფურცელი №929, რომლის მიხედვითაც ი. ქ-ეს სამინისტროს მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, შეიარაღების სამმართველოს მიერ შემოვლის ფურცელზე დავალიანების არ არსებობა დადასტურებულ იქნა ისე, რომ ცნობილი არ იყო 2006 წელს ი. ქ-ისათვის ღამის ხედვის მონყობილობის დროებით სარგებლობაში გადაცემის ფაქტის შესახებ. შსს გენერალური ინსპექციის დასკვნის მიხედვით შს სამინისტროს ბალანსზე რიცხული ღამის ხედვის მონყობილობის „ზაგემი“ №...დაკარგვაზე ბრალეულ პირად ცნობილ იქნა ვ. დ-ი, შესაბამისად, მას უნდა დაეკისროს ქონებრივი ზიანის ანაზღაურება 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.07.2018წ. განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ სასკ-ის 2.1 და 26.1 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. სასკ-ის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე.

მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ადრესატია არა ადმინისტრაციული ორგანო, არამედ – ფიზიკური პირი, ხოლო დავის საგანს წარმოადგენს ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისის გამო ვ. დ-ისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება. მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებს. ამდენად, მოცემული სადავო სამართალურთიერთობა სსსკ-ის 11.1 მუხლის და სსსკ-ის 25' მუხლის შესაბამისად სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 23.07.2018წ. განჩინებით განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წესით დავის გადასაწყვეტად აუცილებელია ერთდროულად ორი კომპონენტის არსებობა: 1. დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს; 2. ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო. მოცემულ დავაში ერთ-ერთი მხარე (კერძოდ, მოსარჩელე) არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას. სსსკ-ის 2.3 მუხლის თანახმად, საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. სასამართლომ მიუთითა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 31.12.2013წ. №989 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინურ წესდებაზე“, ასევე საქართველოს მთავრობის 13.12.2013წ. №337 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებაზე“ და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, თუმცა დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ვ. დ-ის მხრიდან შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დარღვევა, რაც გამოიხატა შს სამინისტროს ცენტრალურ შეიარაღებაში შესაბამისი ინფორმაციის წარუდგენლობაში და სადავო მონყობილობის შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე ახალ მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე მიუბარებლობაში. ამდენად, შესაფასებელია მოქმედებდა თუ არა ვ. დ-ი კანონიერად საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დროს და არსებობდა თუ არა მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველები. შესაბამისად, დადგენას საჭიროებს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველების არსებობა

და მხოლოდ შემდგომში ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს არა კერძო-სამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული, საჯარო კანონმდებლობიდან და მისი განხილვა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა ემყარება საჯარო კანონმდებლობას, დავა განსახილველად ექვემდებარება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება

სადავო სამართალურთიერთობების ბუნებას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შინაარსს, დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოპასუხე ფიზიკური პირისაგან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის ნორმებით არის მოწესრიგებული. სასკ-ის 2.1 „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე. მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადრესატი არის არა ადმინისტრაციული ორგანო, არამედ – ფიზიკური პირი, ვ. დ-ი. ამდენად, სახეზე არ არის სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დავის საგანი, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნება. ის, რომ მოცემული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი არის დისციპლინური გადაცდომა, რომელიც მოწესრიგებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობით, ვერ აქცევს მოცემულ დავას ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადად. განსახილველი საქმის დავის საგანი ეხება არა დისციპლინურ წარმოებას, მოპასუხის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას (საქმის მასალების მიხედვით მოპასუხე – ვ. დ-ი 2015 წლის აგვისტოდან დათხოვნილია შს სამინისტროდან, რაც გამორიცხავს მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას), არამედ ზიანის ანაზღაურებას. დავის საგნობრივი განსჯადობის საკითხს არ ცვლის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მითითება შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნაზე, ვინაიდან ვ. დ-ი დათხოვნილია შს სამინისტროდან და მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები გამოყენებული ვერ იქნება. განსახილველ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის საფუძველს, რომელსაც სკ-ის შესაბამისი ნორმები წარმოადგენს. მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად უთითებს კერძო-სამართლებრივ კანონმდებლობას, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 412-ე, 408-ე, 409-ე მუხლებს. ამდენად, დავის ძირითადი კომპონენტი კერძო-სამართლებრივია. ვინაიდან დავა არ ეხება დისციპლინურ დევნას, საფუძველს არის მოკ-

ლებული და დავის საგნობრივ განსჯადობას არ ცვლის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მითითება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებაზე, შს მინისტრის 31.12.13წ. №989 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინურ წესდებაზე“.

მოცემულ შემთხვევაში იკვეთება ადმინისტრაციული ორგანოს კერძო ინტერესი – მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება. საქმის მასალების მიხედვით შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ 27.01.2015წ. №184559 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დაიწყო სამსახურებრივი შემონმება და სამსახურებრივი შემონმების შედეგად მიიჩნია, რომ ვ. დ-მა ჩაიდინა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ (სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება), „ბ“ (სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება) და „გ“ (ქონებრივი ზიანის მიყენება) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატა ლამის ხედვის მონყობილობა „ზაგემი“-ს №... დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ შეიარაღებაში შესაბამისი ინფორმაციის წარუდგენლობაში, ი. ქ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან დათხოვნის შემდეგ 2013 წლის ინვენტარიზაციისას აღნიშნული მონყობილობის შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე ახალ მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე მიუბარებლობაში, რის შედეგადაც მონყობილობა დაიკარგა, რითაც შს სამინისტროს მიაღდა ქონებრივი ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საგნობრივი განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს უშუალოდ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველებს. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველები და შესაბამისად ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებს ეფუძნება, ხოლო ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობების არსებობა, კერძოდ, მოპასუხის ქმედების შედეგად ზიანის მიყენების, ზიანსა და ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის, ქმედების მართლწინააღმდეგობის, ბრალის კუმულატიურად არსებობის დადგენა შეადგენს არა განსჯადობის, არამედ დავის არსებითი განხილვის საგანს. ის გარემოება, რომ დავის გადაწყვეტა საჭიროებს მოპასუხის ვ. დ-ის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მარ-

თღობიერების გარკვევას, არ განაპირობებს დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას. თავისთავად დელიქტური პასუხისმგებლობა, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა, რომლის სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ბრალი. შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და შედეგს შორის, ანუ მოვალის მოქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო, არამედ ზიანი უნდა იყოს ამ ქმედებით გამოწვეული უშუალო შედეგი. რაც შეეხება დავის განხილვის პროცესში სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებთან ერთად საჯარო-სამართლებრივი ნორმების გამოყენების შესაძლო საჭიროების შექმნას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოება სასამართლო დავის განწყვეტისას უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად.

შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავა განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სარჩელი ვ. დის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ტერიტორიული განსჯადობა

განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ბს-934(გ-18)

22 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 31 ივლისს ა(ა)იპ „...მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ ა(ა)იპ „...სა“ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №1090 განკარგულების შესაბამისი ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ქ. ზუგდიდში, ... ქუჩაზე (ს/კ...), ასევე ქ. წალენჯიხაში, ... (ს/კ...) და ქ. რუსთავში, ... ქ. №7-ში (ს/კ...) მდებარე უძრავ ქონებებზე მესაკუთრის (სახელმწიფო) მხრიდან ნებისმიერი გასხვისების/აკრძალვის თაობაზე იშუამდგომლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 აგვისტოს განჩინებით ა(ა)იპ „...ს“ სარჩელი გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლზე და აღნიშნა, რომ განსაკუთრებული განსჯადობით ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების ადგილის მიხედვით ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულ

ლიყო. სასამართლომ მიუთითა 18.1 მუხლზე, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანება რუსთავში, ზუგდიდსა და წალენჯიხაში მდებარე უძრავ ქონებებზე უზუფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. ამდენად, სარჩელი განსაკუთრებული განსჯადობით ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით და ნივთობრივი განსჯადობით უძრავი ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაც მოიცავს რუსთავს ან ზუგდიდსა და წალენჯიხას. სასამართლოს მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა, სავარაუდოა, რომ მისთვის მისაღებია თბილისთან ახლოს მდებარე სასამართლოს მიერ საქმის განხილვა. ამდენად, საქმე უნდა დაექვემდებაროს სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაც მოიცავს რუსთავს.

სასამართლომ მიუთითა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 33.2 მუხლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 აგვისტოს განჩინებით ა(ა)იპ „... ს“ სარჩელი მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის მოთხოვნით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხედ ასახელებს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ხოლო მოთხოვნას წარმოადგენს ა(ა)იპ „... სა“ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №1090 განკარგულების შესაბამისი ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

სასამართლოს განმარტებით, ა(ა)იპ „... ს“ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, რა დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტი და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ, აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

ვინაიდან გასაჩივრებულა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული

ნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანება, რომლითაც შეწყდა ა(ა)იპ „... სა“ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფერუქტის ხელშეკრულება, სასამართლომ მიიჩნია, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი, ჭანტურიას №12) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგია.

სასამართლოს მითითებით, იგი დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 7 აპრილის №ბს-141-140(გ-16) განჩინებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებსა და განმარტებებს, კერძოდ, სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული აქტის კანონიერება. მოსარჩელეს მოპასუხედ დასახელებული ჰყავს ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, რომლის ადგილსამყოფელია ქ.თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12. ამდენად, დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, რა დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება აქტი და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით მოსარჩელეს უსასყიდლოდ გადაეცა ქ. რუსთავეში, ... ქ. №7-ში (ს/კ...), ქ. ნალენჯიხაში, ... ქუჩაზე (ს/კ...), ქ. ფოთში, ... ქ. №1 (ს/კ...) და ქ. ზუგდიდში, ... ქუჩაზე (ს/კ ...) არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანებით შეწყდა და სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტს დაევალა ქონების დაბრუნებისა და საჯარო რეესტრის შესაბამის ჩანაწერ-

ში ცვლილებებთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის №ბს-219-217(გ-17) განჩინებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ განსაზღვროს უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ განჩინებაში საკასაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა ერთიანმა ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით განსაზღვრულ სასამართლოში დავების კონცენტრაცია. აღნიშნულით განხორციელდება ერთგვაროვან საქმეთა თბილისის საქალაქო სასამართლოში თავმოყრა და რაიონული სასამართლოებისათვის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შემცირება, რითაც დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი, რომლის დარღვევა გამოიწვევს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლზე, რომლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის მიხედვით, მართალია, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს, მაგრამ სასამართლომ მიიჩნია, რომ

რუსთავის საქალაქო სასამართლო არ არის განსჯადი სასამართლო. სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლზე, რომლის შესაბამისად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ამდენად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლებამოსილი იყო წამოეწყო დავა მოცემულ საქმეზე განსჯადობის შესახებ და საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ „...ს“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე – ა(ა)იპ „...“ მოპასუხედ ასახელებს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ა(ა)იპ „...ს“ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №1090 განკარგულების შესაბამისი ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთიანად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ა(ა)იპ „... სა“ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, კერძოდ, მხარეთა შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებულია უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომელსაც საფუძვლად დაედო საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის – ... სთვის უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №1090 განკარგულება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ა(ა)იპ „... სა“ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 24 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება დაედო საფუძვლად სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანების გამოცემას. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სადავო ბრძანება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომლის გარეშეც მისი კანონიერების შემონახვა შეუძლებელია.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 19 ივლისის №1/1-1697 ბრძანებით შეწყდა მხარეთა შორის 2014 წლის 24 ივნისის ხელშეკრულება (ხელშეკრულები).

ბის საგანი: ქ. რუსთავში, ... ქ. №7-ში მდებარე 13199 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№6 შენობა-ნაგებობები (ს/კ...), ქ. წალენჯიხაში, ... ქუჩაზე მდებარე 7825 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№5 შენობა-ნაგებობები (ს/კ...), ქ. ზუგდიდში, ... ქუჩაზე მდებარე 2260 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№3 შენობა ნაგებობები (ს/კ...) და სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტს დაევალა ქონების დაბრუნებისა და საჯარო რეესტრის შესაბამის ჩანაწერში ცვლილებებთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, რა დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. საკასაციო სასამართლოს მიუთითებთ, ვინაიდან გასაჩივრებულია ქ. რუსთავში, ქ. ზუგდიდსა და ქ. წალენჯიხაში მდებარე უძრავ ქონებებზე უზუფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანება, სარჩელი განსაკუთრებული განსჯადობით ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით უნდა განიხილოს შესაბამისმა სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაც მოიცავს რუსთავს ან ზუგდიდსა და წალენჯიხას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლზე და აღნიშნავს, რომ ხსენებული მუხლი განსჯადი სასამართლოს მოსარჩელის მიერ არჩევის შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის შესახებ დავა წარმოშობილია თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა, სავარაუდოა, რომ მისთვის მისაღებია საქმე განიხილოს იმ სასამართლომ, რომელიც თბილისთან უფრო ახლოს მდებარეობს. ამასთან,

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის რეგისტრირებული მისამართია ქ. თბილისი, ... ქ. №6. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ საქმე უნდა დაქვემდებარებოდა იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაც მოიცავს ქალაქ რუსთავს.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 33.2 მუხლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ ვინაიდან მოცემული დავის განხილვაზე უფლებამოსილია იმ სასამართლოთაგან ერთ-ერთი, რომელიც მდებარეობს ქ. რუსთავის, ქ. ნალეჯიხის ან ქ. ზუგდიდის ტერიტორიაზე, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის რუსთავის საქალაქო სასამართლოსათვის გადაგზავნის შემდეგ მოსარჩელეს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით მინიჭებული უფლება.

საკასაციო სასამართლო რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 7 აპრილის №ბს-141-140(გ-16) განჩინებაზე მითითებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ წინამდებარე განჩინება მოცემულ შემთხვევაში არარელევანტურია, ვინაიდან მითითებულ საქმეზე სადავო იყო „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების კანონიერება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა ეხებოდა უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით გამოცემულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას, რის გამოც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი დაუქვემდებარა სასამართლოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში

კი, გასაჩივრებულია მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №ბს-219-217(გ-17) განჩინებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული განჩინების გამოყენებაც არ არის კავშირში მოცემულ საქმესთან, ვინაიდან წინამდებარე საქმეში გასაჩივრებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აქტები და უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, იმ მოტივით, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი სარჩელის განჯად სასამართლოს განსაზღვრა მოხდა სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით და არა სადავო აქტების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით. ამასთანავე, მოცემულ განჩინებაში ხაზგასმულია, რომ ეს წესი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩეულებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ა(ა)იპ „...ს“ სარჩელი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ „...ს“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ბანსჯადობა ხელშეკრულების შესრულების
აღბილის მიხედვით**

**ბანჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-427(გ-19)

29 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და სამტრედიის რაიონულ სასამართლოს შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 07.09.2018წ. სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ლ. ფ-ის მიმართ მოპასუხისათვის საჯარიმო თანხის – 3 000 ლარის ანაზღაურების დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მოსამსახურე ლ. ფ-ს შორის 19.06.2017წ. გაფორმდა სამხედრო მოსამსახურის გავლის თაობაზე ხელშეკრულება, რომლითაც სამხედრო მოსამსახურე იღებდა ვალდებულებას 4 წლის ვადით კეთილსინდისიერად ემსახურა თავდაცვის სამინისტროში. გენერალური შტაბის უფროსის 10.08.2018წ. №4744 ბრძანების საფუძველზე ლ. ფ-ი გათავისუფლდა თანამდებობიდან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ (სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისთვის) და „თ“ (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 18.03.14წ №238 დადგენილებით დამტკიცებული „სამხედრო მოსამსახურის გავლის შესახებ“ დებულების XVI თავის მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 25.07.17წ. №54 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

ნისტროს გენერალური შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის „ბ“ (ჩადენილი უღირსი საქციელის გამომწვევების და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა მართვის ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 04.09.17წ. №737 ბრძანების პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. კონტრაქტის მიხედვით, მისი ვადამდე შეწყვეტა იწვევდა სამხედრო მოსამსახურის დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით, რაც ლ. ფ-ს თავდაცვის სამინისტროსთვის სარჩელის შეტანის დღემდე არ აუნაზღაურებია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 07.09.18წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს. სსკ-ის მე-15 მუხლის საფუძველზე სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მოპასუხე ლ. ფ-ის მისამართია სამტრედიის რაიონი, სოფ. ტოლები. სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია სამტრედიის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ამასთანავე, სსკ-ის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს. როგორც აღინიშნა, მოპასუხის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს სამტრედიის რაიონი, სოფელი ტოლები, დავის საგნის ფასი არ აღემატება 5000 ლარს, ამდენად, სარჩელი წარედგენილი უნდა ყოფილიყო სამტრედიის რაიონულ სასამართლოში.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 18.03.2019წ. განჩინებით, განსჯადობის საკითხზე დავის გადაწყვეტის მიზნით, ადმინისტრაციული საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსჯადობის საერთო წესების თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსკ-ის 15.1 მუხ.), თუმცა სსკ-ის მე-16 მუხლში ასახული განსაკუთრებული განსჯადობის წესის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. განსახილველ შემთხვევაში მოთხოვნა სწორედ მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარეობს. მართალია, მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით დაადგინონ კონკრეტული საქმის ტერიტორიული განსჯადობა, თუმცა გამონაკლისია სსკ-ის მე-16 მუხლით დადგენილი განსაკუთრებული

განსჯადობის წესები. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ლ. ფ-ი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 19.06.17წ. ბრძანების საფუძველზე, სამსახურებრივ ვალდებულებას ასრულებდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეით ბრიგადაში, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზ. 1 შესახ.-ში. შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქ. ქუთაისი. სასამართლოს მიაჩნია, რომ განსჯადობის სპეციალური წესის არსებობისას დაუშვებელია საერთო განსჯადობის გამოყენება, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დავის განსჯადობით გადაგზავნა, ამდენად, სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის საქალაქო სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და სამტრედიის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სსკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 26 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, კონკრეტული დავის თავისებურებები. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით

სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც არის საქმეზე მოპასუხედ დასახელებული ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, თუმცა საპროცესო კანონმდებლობა, გარკვეული კატეგორიის დავების თავისებურებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს განსჯადობის არაერთ სპეციალურ წესს.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის მოპასუხისათვის დაკისრება. ადმინისტრაციული საქმეების ტერიტორიული განსჯადობა წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, სასკ-ის 15-24-ე მუხლებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ცალკე არ აწესრიგებს ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების ტერიტორიულ განსჯადობას. საერთო წესის თანახმად, ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. ამდენად, ტერიტორიული განსჯადობა უმეტესად წყდება მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. სსკ-ის მე-16-19¹ მუხლებით დადგენილია განსჯადობის სპეციალური წესები, რომელიც ამავე კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობასთან მიმართებით ექსკლუზიური (გამომრიცხავი) ხასიათისაა, რაც გულისხმობს სპეციალური წესის დამდგენი ნორმების უპირატესობის მინიჭებით განსჯადობის საერთო წესების გამორიცხვას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით. სწორედ ასეთ სპეციალურ წესს ადგენს სსკ-ის მე-16 მუხლი, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. ხელშეკრულების შესრულების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების, ანუ იმ ვალდებულების შესრულების ადგილით, რომლის შესრულების მიზნითაც დაიდო ხელშეკრულება. ვალდებულების შესრულების ადგილი შესაძლოა განისაზღვროს კონკრეტულად (ნორმატიულად ან მხარეთა შეთანხმებით) ან დარჩეს განუსაზღვრელი. უკანასკნელ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ადგილი ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე დგინდება, თუმცა ზოგ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების კონკრეტული ადგილი ხელშეკრულებით ან ნორმატიულად არ არის განსაზღვრული და არც ვალ-

დებულების ბუნებიდან იკვეთება აშკარად. ასეთ შემთხვევაში შესრულების ადგილის დადგენა ხელშეკრულების მხარეთა ნების ახსნა-განმარტების გზით ხდება, რა დროსაც მხედველობაში მიიღება შესასრულებელი ვალდებულების ბუნება, მსგავს ურთიერთობებში დამკვიდრებული წესები, კონკრეტული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და სხვ.. შრომითი ხელშეკრულების დროს ვალდებულების შესრულების ადგილი შესაძლოა განსახორციელებელი სამუშაოს სპეციფიკაზე იყოს დამოკიდებული. როგორც წესი ასეთ დროს დასაქმებულის მიერ მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულება ხდება დასაქმებულის მიერ განსაზღვრულ ადგილას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ 19.06.2017წ. ერთი მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მეორე მხრივ, ლ. ფ-ს შორის დაიდო „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ კონტრაქტი, რომლის მიხედვით სამხედრო მოსამსახურემ იკისრა ვალდებულება სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ კეთილსინდისიერად ემსახურა სამინისტროს სამხედრო სამსახურში (კონტრაქტის 1.1 პუნქტი). კონტრაქტის შემდგომი პუნქტებით განისაზღვრა ხელშეკრულების მიზნებისათვის „სამხედრო სამსახურის“ შინაარსი, მხარეთა მიერ გაცემული გარანტიები, სამხედრო სამსახურის გავლის ვადა და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი, შრომის ანაზღაურების წესი და ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებები. კონტრაქტის შინაარსიდან დგინდება, რომ ხელშეკრულება დადებულია პირის სამხედრო სამსახურში დასაქმების მიზნით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დებულებები კი გამომდინარეობს სწორედ აღნიშნული ძირითადი ვალდებულების სათანადოდ შესრულების ინტერესიდან. ამდენად, დავის მხარეებს შორის არსებული 19.06.2017წ. ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულ უნდა იქნეს დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულების – სამხედრო სამსახურის გავლის ადგილი.

სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახე, რომელიც მოიცავს სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო სამსახურებს, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურს სამხედრო შეკრებებისა და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში („სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის 31.1 მუხ.). სამხედრო სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს თავის ვალდებულებათა შესრულება შესაძლოა

დაეკისროს როგორც ქვეყნის შიგნით ნებისმიერ ტერიტორიაზე, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მხარეთა შორის დადებული კონტრაქტით არ არის განსაზღვრული დასაქმებულის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულების კონკრეტული ადგილი, ასეთი ადგილი ვერ დგინდება აგრეთვე შესასრულებელი შრომითი ვალდებულების შინაარსიდან, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ირკვევა დასაქმებულის – ლ. ფ-ის მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების ადგილი. „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 10.08.18წ. ბრძანებიდან დგინდება, რომ ლ. ფ-ი თავის სამსახურებრივ მოვალეობებს ახორციელებდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე ქვეითი ბატალიონის ერთ-ერთ დანაყოფში. ლ. ფ-ის ფინანსური პასუხისმგებლობის განსაზღვრის შესახებ 13.08.2018წ. ცნობის ბლანკის მიხედვით ბატალიონის მისამართი არის ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ., შესახ. 1. საქმეში არ ხდება მითითება ვალდებულების შესრულების განსხვავებულ ადგილზე. ამდენად, დგინდება, რომ კონტრაქტის ძალაში ყოფნის დროს მისი შესრულება ხდებოდა ქ. ქუთაისში. საქმის მასალებიდან არ იკვეთება, რომ შემდგომ პერიოდში ლ. ფ-ის მიერ სამხედრო სამსახურის გავლა იგეგმებოდა სხვა ტერიტორიაზე.

საქმის მასალების მიხედვით მხარეებს შორის სამსახურებრივი ურთიერთობა შეწყდა გენერალური შტაბის უფროსის 10.08.18წ. №4744 ბრძანების საფუძველზე. მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მიიჩნევს, რომ კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის გამო ლ. ფ-ს უნდა დაეკისროს კონტრაქტის 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა – 3000 ლარი. ამდენად, დავის საგანია შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო კონტრაქტის შეწყვეტისას მოსამსახურისათვის სანქციის დაკისრება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ჯარიმის გადახდის ადგილად აგრეთვე მიჩნეულ უნდა იქნეს ქ. ქუთაისი, რადგან სწორედ ქ. ქუთაისში უნდა შესრულებულიყო კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულება. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი სანქციის ანაზღაურების ადგილი ის ადგილია, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, რადგან აღნიშნული დამატებითი ვალდებულება ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობით არის გამოწვეული. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელობა არ ენიჭება ხელშეკრულების სავარაუდო დამრღვევის ადგილსამყოფელს, ამდენად, არ არის გასაზიარებელი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება მოპასუხის საცხოვრებ-

ლი ადგილის მიხედვით განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის შესახებ. სახელშეკრულებო დავის არსებობის პირობებში, როდესაც საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია განსჯადობის განსაკუთრებული წესი (16.2 მუხ.), საფუძველს მოკლებულია საერთო განსჯადობის წესის (15.1 მუხ.) გამოყენება.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. გადაწყვეტილების 43-ე მუხლის მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი სსკ-ის 16.2 მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული განსჯადობის წესების დაცვით, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რადგან მხარეთა შორის 19.06.2017წ. კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულების ადგილია ქ. ქუთაისი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამხედრო სამსახურის სპეციფიკის გამო, შესაძლებელია სამსახურის ადგილმდებარეობის ხშირი ცვლევადობა, ასეთ შემთხვევაში სასამართლო განსჯადობისათვის განმსაზღვრელი იქნება მოპასუხის სამსახურის ბოლო ადგილი, სადაც ის ასრულებდა კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ადგილი ცალსახად დგინდება (ქ. ქუთაისი), ასეთ შემთხვევაში განსჯადობა უნდა გადაწყდეს განსაკუთრებული განსჯადობის წესების მიხედვით. ორდინალური წესით ტერიტორიული განსჯადობის გადაწყვეტა (მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხ.)) შესაძლებელია მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის საზღვარგარეთ გავლის შემთხვევაში.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინის-

ტრაციული საქმე. ამასთან, ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემაღენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) არ დაიშვება, მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დადგენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს. ამდენად, მხარეთა შორის 19.06.2017წ. გაფორმებულ კონტრაქტში დავის წარმოშობის შემთხვევაში, განსჯადი სასამართლოს დადგენის წესის განსაზღვრა (8.4 მუხ.), განსჯადობის საკითხის გადანყვეტისთვის არ არის რელევანტური. განსჯადობის შესახებ წერილობითი შეთანხმება დაიშვება მხოლოდ სამოქალაქო სასამართლო წარმოებაში, არ არის გამორიცხული მაგ. ალტერნატიულ განსჯადობაზე შეთანხმება, მაგრამ მხარეებს არ აქვთ განსაკუთრებული და გვარეობითი განსჯადობის შეცვლის უფლება ურთიერთშეთანხმებით, ვინაიდან განსჯადობის ეს სახეები კანონით პირდაპირ და უპირობოდაა განსაზღვრული, ამასთანავე სამოქალაქო სამართალწარმოებაში შეთანხმება განსჯადობაზე დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო და მოპასუხეს განემარტება სასამართლოს არაგანსჯადობის თანმდევი შედეგები (სსკ-ის 21-ე მუხ.). სასკ-ის 1.2 მუხლის ჩანაწერი, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები, არ გულისხმობს ადმინისტრაციული დავების განხილვისას სსკ-ის 21-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას, რადგან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით საკითხი სხვაგვარად არ არის მოწესრიგებული. განსახილველ შემთხვევაში სასკ-ის 26.1 მუხლით ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი დავის განსჯადი სასამართლოს მიერ განხილვის საჭიროება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით და

დაადგინა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე ლ. ფ-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა უკრაინის ნივთისა და სადავო აქტის მიმდებარე მორბანოს აღბილმდებარე მოხელის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-753-753(გ-18)

21 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მოქალაქე ა. თ-ას სარჩელთან დაკავშირებული დავა განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მცხეთის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. თ-ამ 07.05.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის უფროსის 06.12.2017წ. №11/63821 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ასევე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 05.04.2017წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მასსა და მცხეთის რაიონის გამგეობას შორის 19.07.2004წ. დადებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 49 წლის ვადით იჯარით გადაეცა მცხეთის რაიონის სოფ. ...ში მდებარე 5,35 ჰა სახნავი და 19,9 ჰა საძოვარი მიწის ნაკვეთი, აღნიშნული ხელშეკრულებით საიჯარო ქირად განისაზღვრა წელიწადში 340 (სამას ორმოცი) ლარი. ამავე უძრავ ქონებაზე გაცემულია „მიწისა და სხვა უძრავი ქონების შექენის დამადასტურებელი ოქმი“ №100, რის საფუძველზეც მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა 5.35 ჰა მიწის ნაკვეთი. 20.02.2018წ. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოსარჩელეს ჩააბარა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის უფროსის 06.12.2017წ. №11/63821 წერილი, რომლის მიხედვით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა მოთხოვნა 19.9 ჰა საძოვარზე (საკადასტრო კოდები: ..., ..., ...) საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილების საფუძველზე „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის (28.12.2005-08.12.2006წ. მოქმედი რედაქცია) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, „თუ საიჯარო მიწის ფართობი შედგებოდა რამდენიმე ერთმანეთისაგან სივრცობრივად/გეოგრაფიულად დამოუკიდებელი მიწის ნაკვეთებისაგან, მოიჯარეს უფლება ჰქონდა გამოესყიდა სასურველი მიწის ნაკვეთი (ნაკვეთები). საიჯარო მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევაში, დარჩენილ საიჯარო ნაკვეთზე (ნაკვეთებზე) უქმდებოდა საიჯარო ხელშეკრულება“. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის უფროსის 06.12.2017წ. №11/63821 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 05.04.2017წ. გადაწყვეტილება უკანონოა, არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველები, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის 2.3, 9.4 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მხარემ მოითხოვა აგრეთვე სასამართლოში დავის განხილვის დასრულებამდე მოპასუხისათვის სადავო მიწის ნაკვეთების განკარგვის,

გასხვისების, პრივატიზების, იჯარით გაცემისა და სხვა ფორმით უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.05.2018წ. განჩინებით ა. თ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42.2, სსკ-ის მე-18 და სასკ-ის 26-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. განსაკუთრებული განსჯადობის წესის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით. აღნიშნულის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელე სადავოდ ხდის მცხეთის მუნიციპალიტეტში მდებარე უძრავ ნივთთან დაკავშირებით მიღებული აქტების კანონიერების საკითხს, სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება. მოცემულ შემთხვევაში ასეთ სასამართლოს წარმოადგენს მცხეთის რაიონული სასამართლო. გარდა აღნიშნულისა, დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია საჭირო გახდეს ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულება, როგორცაა – ადგილზე დათვალიერება. რაც შეეხება სარჩელზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხს, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა იმსჯელოს სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილმა სასამართლომ.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.05.2018წ. განჩინებით სარჩელი მიღებული იქნა წარმოებაში, ა. თ-ას შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.06.2018წ. განჩინებით ა. თ-ას სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სასამართლოს განმარტებით, სსსკ-ის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის

მიხედვით, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს, რაც ეხება აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე სარჩელებს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტი-სათვის. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სსკ-ის მე-18 მუხლით განსაზღვრული ნივთობრივი განსჯადობის ნორმა იმდაგვარადაა ფორმულირებული, რომ მხარეს მინიჭებული აქვს სასამართლოს არჩევის უფლება, შეიტანოს სარჩელი მოპასუხის ან უძრავი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-20 მუხლი განსაზღვრავს, რომ თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს. მოსარჩელის მიერ სარჩელში დასახელებული ორივე მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იურიდიული ადგილსამყოფელი არის ქ. თბილისი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა დაადგინოს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა განისაზღვროს განსჯადობის საკითხი. ამდენად, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის შესაბამისად განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მცხეთის რაიონულ სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობას, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები.

ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურ-თიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი), განსახილველ შემთხვევაში ძირითადი სადავო აქტი გამოცემულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის მიერ, რომლის ადგილსამყოფელი განსაზღვრულია ქ. მცხეთაში. ამასთანავე, ნივთობრივი განსჯადობის წესების, კერძოდ, სსკ-ის 18.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული

სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული მოსარჩელის ინტერესი, მის მიერ დავის ფარგლებში მისალწვე მიზანი და შესაბამისად, განსჯადობის საკითხი სწორედ ზემოხსენებულ პირობათა გამოკვლევის შემდგომ უნდა გადაწყდეს. სარჩელის მიზნის, სარჩელის წარმოებაში მიმღები სასამართლოს გათვალისწინებით, საკითხი სსკ-ის 18.1 მუხლით გათვალისწინებული წესით უნდა გადაწყდეს, რომლის თანახმად, განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, რაც თანხვედრაშია ძირითადი სადავო აქტის გამომცემი ორგანოს ადგილსამყოფელთან. განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ სადავო უძრავი ნივთი, რომლის თაობაზე მიღებულია სადავო აქტები (კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის 06.12.2017წ. №11/63821 წერილი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 05.04.2018წ. ბრძანება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ) მდებარეობს მცხეთის რაიონის სოფ. ...ში, აგრეთვე ქ. მცხეთაში მდებარეობს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 01.05.2013წ. №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრების დებულების“ თანახმად, ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას სამინისტროსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში (1.4 მუხ.; მე-2 მუხ.), ცენტრი თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულების დროს წარმოადგენს სააგენტოს (1.3 მუხ.) მცხეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოქმედებს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრი, რომლის მიერ იქნა გამოცემული გასაჩივრებული აქტი (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის უფროსის 06.12.2017წ. №11/63821 მიმართვა), ხსენებული აქტით, მცხეთის რაიონში მდებარე 19.9 ჰა საძოვარზე საიჯარო ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაუქმებულად ჩაითვალა. რაც შეეხება ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის 05.04.18წ. ბრძანებას, აღნიშნული ბრძანებით საკითხი არსებითად არ გადაწყვეტილა, ადმინისტრაციული საჩივ-

რის ავტორს ბრძანებით უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე.

დავის ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოსარჩელეს სასარჩელო განცხადება ორჯერ (21.03.18წ., 24.04.18წ.) მცხეთის რაიონულ სასამართლოში ჰქონდა შეტანილი. ორივეჯერ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე, მოსარჩელეს განემარტა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისადმი მიმართვა. ამდენად, მცხეთის რაიონული სასამართლოს 07.06.18წ. განჩინებაში მითითება იმაზე, რომ მოსარჩელემ თავდაპირველად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, არის უსაფუძვლო. მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის წესის მართებულობას არ ადასტურებს აგრეთვე განჩინებაში მითითებული ალტერნატიული განსჯადობის წესები (სსკ-ის მე-18, მე-29 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის მცხეთის რაიონული სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას არ გამოორიცხავს მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინებაში მითითება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მისამართზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.07.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები. აღნიშნული გადაწყვეტილების 30-ე მუხლით მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – მცხეთის, მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ამდენად, ვინაიდან როგორც უძრავი ნივთი, ისე ძირითადი სადავო აქტის მიმღები ორგანოს ადგილსამყოფელია მცხეთის რაიონული სასამართლოს განსჯად ტერიტორიაზე, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სასკ-ის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, სსსკ-ის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. თ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდე-

ბაროს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა უპრაპი ნივთისა და სადავო აქტის მიმღები ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-591-591(გ-18)

9 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. ვაჩაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მ. გ-ის სარჩელთან დაკავშირებული დავა განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-მა 15.03.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიმართ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის 15.02.2018წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 22.07.2003წ. ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა გარდაბანში, სატყეო უბანში მდებარე ... კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დარეგისტრირდა 31.01.2018წ. №... გადაწყვეტილებით. აღნიშ-

ნული გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის 15.02.2018წ. №... გადაწყვეტილებით, რაც მიაჩნია უკანონოდ, ვინაიდან საჯარო რეესტრის 31.01.2018წ. №... გადაწყვეტილების მიმართ გააჩნდა კანონიერი ნდობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.03.2018წ. განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 31-ე მუხლზე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლებზე და აღნიშნა, რომ საქმის განსჯადობა არ არის დამოკიდებული მოსარჩელის ნება-სურვილზე, ვინაიდან კონკრეტული დავის თავისებურება მოქმედებს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაზე. ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული საქმეების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება სადავო უძრავი ნივთი. განსახილველ შემთხვევაში სადავო ნივთი მდებარეობს გარდაბნის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის-რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავის გადაწყვეტაზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 14.05.2018წ. განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის მიზნით გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო უძრავი ქონების ადგილმდებარეობა განსაზღვრული იყო გარდაბანში, ხოლო საქართველოს პარლამენტის 27.12.2006წ. დადგენილებით შეიცვალა ქ. თბილისის, გარდაბნის და მცხეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრები, რის შედეგადაც სადავო მიწის ნაკვეთის მისამართი ნაცვლად გარდაბნისა განისაზღვრა ქ. თბილისის, წყნეთის სატყეო უბნით. ამდენად, სსკ-ის მე-18 მუხლზე მითითებით რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა ნივთობრივი განსჯადობის წესების შესაბამისად განსახილველად ექვემდებარება

არა რუსთავის საქალაქო, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები.

მინის ნაკვეთზე საკუთრების რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემაზე უფლებამოსილი ორგანო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს უშუალოდ, ტერიტორიული სამსახურების ან ავტორიზებული პირების მეშვეობით („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხ.). სადავო აქტი გამოცემულია სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ (6.1. მუხ.). კანონის 1.8 მუხლის თანახმად, სააგენტოს იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. გ-ი ითხოვს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის 15.02.2018წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბაგებში, სატყეო უბანში მდებარე მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობას.

სსკ-ის 18.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრების უფლების, ქო-

ნების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილება და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. სარჩელის მიზნის გათვალისწინებით, განსჯადი სასამართლო მოცემულ შემთხვევაში განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში, დავა შეეხება უძრავ ნივთს, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში და მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლის გამოცემი ორგანოს ადგილსამყოფელი აგრეთვე ქ. თბილისშია. მოსარჩელის დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებობა დასტურება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების – რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უბნებად დაყოფის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.12.2014წ. №16-35 დადგენილებით, რომლის თანახმად, ბაგების ტერიტორია შევიდა ვაკის უბნის შემადგენლობაში (უბანი №5). ამასთანავე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.12.2014წ. №20-90 დადგენილებით სხვა რაიონებთან ერთად განისაზღვრა ვაკის რაიონის წყნეთის უბანსა და ვაკის რაიონის ბაგების უბანში არსებული მიწის ნაკვეთის გადასახადის წლიური განაკვეთი (დანართი №2). ამდენად, სადავო უძრავი ნივთი მოქცეულია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვარში. „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილების მე-20 მუხლის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით. შესაბამისად, საერთო განსჯადობის წესების გათვალისწინებით, აგრეთვე განსაკუთრებული ნივთობრივი განსჯადობის წესების თანახმად, უფლებამოსილი განსჯადი სასამართლო არის თბილისის საქალაქო სასამართლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. გ-ის სარჩელი არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სადავო ქონების აღბრუნებაში
მიხედვით**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-96 (გ-19)

9 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მ. ბ-ის სარჩელთან დაკავშირებული დავა განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-ემ 21.12.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 14.11.2018წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მის დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთი, მდებარე გარდაბნის რაიონის სოფ. კუმისში, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 14.11.2018წ. №... გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა ტ. კ-ის საკუთრების უფლებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით შეილახა მ. ბ-ის უფლება, რომელსაც აგრეთვე სურდა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება მოეპოვებინა და შესაბამისი განცხადებაც წარდგენილი ჰქონდა მარეგისტრირებელ ორგანოში. მოპასუხის უკანონო გადაწყვეტილებით უპირატესობა მიენიჭა იგივე უძრავ ნივთზე ტ. კ-ის მიერ შეტანილ განცხადებას, რაც მოსარჩელეს არასწორად მიაჩნია და ითხოვს გასაჩივრებელი აქტის ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.12.2018წ. განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, მე-18 მუხლებზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლზე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლებზე და აღნიშნა, რომ ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, უძრავ ქონებასთან და მასთან მიბმულ უფლებასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს უძრავი ნივთი. ვინაიდან გასაჩივრებელი აქტი ეხება გარდაბანში, სოფ. კუმისში მდებარე მიწის ნაკვეთს, ხოლო აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით დავის განხილვის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს რუსთავის საქალაქო სასამართლოს, დავა განსჯადობის წესის შესაბამისად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 31.12.2018წ. განჩინებით საქმე განსჯადობის თაობაზე დავის გადაწყვეტის მიზნით გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს. რუსთავის საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითება სადავო უძრავი ნივთის ადგილმდებარეობის შესახებ, სასამართლომ მიუთითა „ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის განხილვის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 27.12.2006წ. №4173-რს დადგენილებაზე და აღნიშნა, რომ მითითებული დადგენილებით სოფ. კუმისი შევიდა ქ. თბილისის ადმი-

ნისტრაციულ საზღვრებში. აღნიშნულ გარემოებაზე მითითებით რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის გადანყვეტის უფლებამოსილება გააჩნდა არა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაცენო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადანყვეტოს დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავიებურებები.

მიწის ნაკვეთზე საკუთრების რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემაზე უფლებამოსილი ორგანო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს უშუალოდ, ტერიტორიული სამსახურების ან ავტორიზებული პირების მეშვეობით („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ბ-ე ითხოვს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადანყვეტილების ბათილად ცნობას, რომელიც ეხება გარდაბანში, სოფ. კუმისში მდებარე მიწის ნაკვეთზე ტ. კ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის განხილვის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 27.12.2006წ. №4173-რს დადგენილებით და „ქ. თბი-

ლისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების – რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.12.2014წ. №16-41 დადგენილებით არ დასტურდება სოფ. კუმისის ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებობა. ამასთანავე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.04.2018წ. №21 დადგენილებით დამტკიცებული „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით“ დადგინდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულია კუმისის ადმინისტრაციული ერთეული, სამოქმედო ტერიტორიად განსაზღვრულია სოფლები: კუმისი, ახალი კუმისი და დასახლებები: კუმისის აგარაკები, კოჯრისხევის აგარაკები (მე-11 მუხ.). ამდენად, არ დასტურდება რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება სადავო მიწის ნაკვეთის ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვარში მდებარეობის შესახებ.

სსკ-ის 18.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. სარჩელის მიზნის გათვალისწინებით, განსჯადი სასამართლო მოცემულ შემთხვევაში განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში დავა ეხება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმებას, რომელიც მდებარეობს გარდაბანში, სოფ. კუმისში. „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილების 33-ე მუხლის მიხედვით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. შესაბამისად, ნივთობრივი განსჯადობის ნესების თანახმად, დავის გადაწყვეტაზე უფლებამოსილი განსჯადი სასამართლო არის რუსთავის საქალაქო სასამართლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. ბ-ის სარჩელი არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით,

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა სადავო ქონების აღკვეთის საკანონმდებლო აქტის მიხედვით

განჩინება საქართველოს სასამართლო

№ბს-1(გ-19)

20 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მოქალაქე გ. ტ-ის სარჩელთან დაკავშირებული დავა განსჯადობის თაობაზე მცხეთის რაიონულ სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ტ-მა 12.10.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ მოპასუხის 23.06.2008წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 27.11.2006წ. დაუზუსტებელი მონა-

ცემებით დარეგისტრირდა 1000 მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ (მდებარე: მცხეთა, სოფელი ... (ს.კ. ...)). 2017 წელს მოსარჩელემ გადანყვიტა მონაცემების დაზუსტება, თუმცა გ. ტ-ისთვის 11.09.2017წ. №...-22 გადანყვიტებით ცნობილი გახდა, რომ მის მიერ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით ფიქსირდებოდა ზედდება №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან (მესაკუთრედ. ო-ე). მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დ. ო-ემ საჯარო რეესტრში უფლების დამდგენ დოკუმენტად წარადგინა 1993 წლის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც თან არ ერთვოდა ნაკვეთის კონფიგურაციული ნახაზი, გეგმა ან ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი სხვა დოკუმენტი. შესაბამისად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ დარეგისტრირების დროს დ. ო-ემ წარადგინა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი. ზემოაღნიშნულის თაობაზე მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი და მოითხოვა დ. ო-ის სასარგებლოდ განხორციელებული რეგისტრაციის შესახებ №... გადანყვიტებების ბათილად ცნობა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 22.09.2017წ. გადანყვიტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 29.3 მუხლის თანახმად, გ. ტ-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.10.2017წ. განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის, ასევე „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 3.2 მუხლის მიხედვით, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სსსკ-ის 15.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის 18.1 მუხლის მიხედვით, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებას, შესაძლოა სარჩელის შეტანა სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე უძრავი ქონების დ. ო-ის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადანყვიტება. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ სარჩელი ნივთობრივი გან-

სჯადობით უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარეობს. სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოთა არათანაბარ დატვირთვას განაპირობებს ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემის ორგანიზების გამო დავეების ცენტრალური ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით სასამართლოში კონცენტრაცია, რის გამოც არ უნდა იქნეს დაშვებული ნივთობრივ განსჯადობას მიკუთვნებული დავეების მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით სასამართლოს მიერ განხილვა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.10.2017წ. განჩინებით მოსარჩელე გ. ტ-ის სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და საქმეში სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე მესამე პირად ჩაბმულ იქნა დ. ო-ე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.10.2017წ. განჩინებით გ. ტ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აკრძალა სადავო უძრავ ქონებაზე, მდებარე: მცხეთის რაიონი, სოფელი ...ი, საკადასტრო კოდი ..., ნებისმიერი ცვლილების განხორციელება, დაზუსტება რეგისტრირებული მონაცემების, ჩუქების, ნასყიდობის, იპოთეკის დარეგისტრირება ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

26.12.2018წ. მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა იშუამდგომლა განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად სარჩელის საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაგზავნის შესახებ და სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულება (სიტუაციური ნახაზი), რომლის მიხედვითაც სადავო მიწის ნაკვეთი მოქცეული იყო თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 26.12.2018წ. განჩინებით გ. ტ-ის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 15.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის 18.1 მუხლის მიხედვით, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას, შეიძლება სარჩელი შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. სსსკ-ის მე-20 მუხლის მიხედვით კი, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ახალი მდგომარეობით, სადა-

ვო უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს ქ. თბილისის ტერიტორიულ საზღვრებში. შესაბამისად, აღნიშნული დავა უნდა განიხილოს განსჯადმა – თბილისის საქალაქო სასამართლომ უძრავი ნივთის მდებარეობის მიხედვით. სასამართლომ მიუთითა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სარჩელი, ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე უნდა იქნეს გამოყენებული სსსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები. შესაბამისად, ვინაიდან სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარეობს ქ. თბილისში და მოქცეულია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში, გ. ტ-ის სარჩელი უნდა განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკო-

ნომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამ პრინციპიდან განდგომა გამოინაკლისის წესით, სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან და საჯარო რეესტრის ორგანიზაციული მოწყობიდან გამომდინარე, დაშვებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რომელთა მიმართ გამოიყენება ნივთობრივი განსჯადობის წესები.

მინის ნაკვეთზე საკუთრების რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემაზე უფლებამოსილი ორგანო – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს უშუალოდ, ტერიტორიული სამსახურების ან ავტორიზებული პირების მეშვეობით („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტი გამოცემულია მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ. მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის №... გადაწყვეტილებით 985 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მდებარე – მცხეთა, სოფელი ...) საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა დ. ო-ის სახელზე. მოსარჩელე გ. ტ-ი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით არსებითად შეილახა მისი საკუთრების უფლება, ვინაიდან №... გადაწყვეტილებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან (ს.კ. ...) ზედდების გამო ვერ განახორციელა თავის საკუთრებაში დაუზუსტებელი მონაცემებით აღრიცხული მიწის ნაკვეთის (ს.კ. ...) დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრაცია. შესაბამისად, სარჩელის საბოლოო მიზანს შეადგენს მოსარჩელის სახელზე მიწის ნაკვეთის დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრაცია.

სსკ-ის 18.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილება და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ად-

გილსამყოფლის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტის გამომცემი ორგანო არის მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური, ვინაიდან სადავო აქტის გამომცემის დროს მინის ნაკვეთი მდებარეობდა მცხეთაში, სოფელ ...ში. მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის მიხედვით სადავო მინის ნაკვეთი ამჟამად მოქცეულია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. სარჩელის მიზნის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით (საქართველოს პარლამენტის 27.12.2006წ. №4173-რს დადგენილება „ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების – რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.12.2014წ. №16-41 დადგენილება). სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თავისი ფუნქციების განსახორციელებლად ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არ მოქმედებს ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით, სააგენტო ქ. თბილისის ტერიტორიაზე თავად ახორციელებს თავის ფუნქციებს, რეგიონალური ოფისების და ფილიალების ჩარევის გარეშე, აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 6.2 მუხლი, რომელიც სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს შორის არ ასახელებს ქ. თბილისში სააგენტოს უფლებამოსილებების განმახორციელებელ სპეციალურ ტერიტორიულ ორგანოს. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარეობს ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში, გ. ტ-ის სარჩელი უნდა განიხილოს სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ტ-ის სარჩელი არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ტ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა ძირითადი სადავო აქტის მიმღები ორბანოს ადგილმდებარეობის მიხედვით

**განჩინება
საქართველოს სასჯელით**

№ბს-341-341(გ-18)

9 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა რ/კ ... კოოპერატივის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

რ/კ ... კოოპერატივმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის მიმართ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 27.11.17წ. №1-1/512 ბრძანების, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის 04.04.17წ. №1/6-194 ბრძანების ბათილად ცნობის და მოსარჩელისთვის კუთვნილი ქონების დაბრუნების შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით. მოსარჩელემ აგრეთვე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადება სადავო უძრავ ქონებაზე, მდებარე გარდაბნის რაიონში, სოფელ ... (ს/კ ...; ს/კ ...; ს/კ ...), ... (ს/კ ...) და ... (ს/კ ...; ს/კ ...; ს/კ ...).

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ რ/კ ... კოოპერატივი ს/ნ ... გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ კანონმდებლობის შესაბამისად 31.03.1998წ. დარეგისტრირდა. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 12.01.1976წ. №41 დადგენილებით გამოიყო მიწის ნაკვეთი სოფ. ...ში სავაჭრო ცენტრის მშენებლობისათვის, რომელიც გადაეცა კოოპერატივს. მის სანესღებო კაპიტალში ირიცხებოდა აგრეთვე გარდაბნის რაიონის სოფ. ..., ... და ... მდებარე რამდენიმე უძრავი ქონება, რომლებიც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის 04.04.17წ. №1/6-194 ბრძანების საფუძველზე სახელმწიფოს სახელზე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, რითაც შეილახა მოსარჩელის საკუთრების უფლება. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. ხარვეზის შევსებისა და დაზუსტებული საჩივრის წარდგენის შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 27.11.17წ. №1-1/512 ბრძანებით, ადმინისტრაციული საჩივარი დარჩა განუხილველი საჩივრის ავტორის მიერ იურიდიული ინტერესის დაუსაბუთებლობის მოტივით. მოსარჩელე მიუთითებს სზაკ-ისა და „სამომხმარებლო კოოპერაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებზე და მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა სადავო გადაწყვეტილებები გამოსცეს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლის გარეშე, რითიც შეილახა სამომხმარებლო კოოპერატივის უფლებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.12.17წ. განჩინებით რ/კ ... კოოპერატივის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავოა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის ბრძანება, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა გარდაბნის რაიონში მდებარე რამდენიმე უძრავი ნივთი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 27.11.2017წ. № 1-1/512 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველი დარჩა. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს მოპასუხე ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით, რადგან მოსარჩელის ძირითადი პრეტენზია ამ ორგანოს საქმიანობას უკავშირდება. სხვა შემთხვევაში განსჯადობის საკითხი არსებითი გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს მიხედვით წყდება, რომელიც ამავდროულად ახალი აქტის გამოცემის მოთხოვნაზეცაა პასუხისმგებელი. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია სადავო აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოსა და ამ აქტით გათვალისწინებულ ქონებაზე უფლების მქონე პირის მიმართ და მისი ინტერესია შესაბამის უძრავ ქონებაზე უფლების დადასტურება. დასახელებული გარემოებები ცხადყოფს, რომ სარჩელი ნივთობრივი განსჯადობით უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთი. სასამართლო მიუთითებს „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. № 1/150-2007 გადაწყვეტილების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. სასამართლო თვლის, რომ მოცემული საქმე უნდა განიხილოს რუსთავის საქალაქო სასამართლომ, რითიც დაცული იქნება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობისა და ოპერატიულობის, საქმის სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის პრინციპები.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 08.01.18წ. განჩინებით რ/კ ... კოოპერატივს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 07.03.18წ. განჩინებით რ/კ ... კოოპერატივის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრების შექმნისა და ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 01.05.13წ. №1-1/107 ბრძანების პირველი მუხლის მესამე პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცენტრი თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულების დროს წარმოადგენს სააგენტოს. შესაბამისად, მოპასუხეს წარმოადგენს არა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი, არამედ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.09.17წ. №ბს-596-593(გ-17) განჩინებაზე, რომელშიც საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია ან სად მდებარეობს უძრავი ქონება, არამედ აქტების გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი. აქედან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე უნდა გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.03.18წ. განჩინებით სარჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 01.05.13წ. №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი მომსახურების ცენტრია ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სააგენტოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა). სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრი არის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეული (1.1 მუხ.), ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას სააგენტოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში (1.4 მუხ.). დებულების მე-2 მუხლით განსაზ-

ღვრული ცენტრის ფუნქციები, კერძოდ, ცენტრი თავისი ძირითადი უფლებამოსილების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში (მე-2 მუხ. „ზ“ ქვეპუნქ.). თბილისის საქალაქო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების სისტემის ერთიანობის მიუხედავად, სადავო სამართალურთიერთობის მოწესრიგება ხდება თავდაპირველი აქტით, რაც განაპირობებს დავის სასამართლო განსჯადობას ადმინისტრაციული ორგანოს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის, ადგილმდებარეობის მიხედვით რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ რ/კ ... კოოპერატივის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები.

ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს

ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი), განსახილველ შემთხვევაში ძირითადი სადავო აქტი გამოცემულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის მიერ, რომლის ადგილსამყოფელი განსაზღვრულია ქ. რუსთავეში. ამასთანავე, ნივთობრივი განსჯადობის წესების კერძოდ, სსკ-ის 18.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული მოსარჩელის ინტერესი, მის მიერ დავის ფარგლებში მისაღწევი მიზანი და შესაბამისად, განსჯადობის საკითხი სწორედ ზემოხსენებულ პირობათა გამოკვლევის შემდგომ უნდა გადაწყდეს. სსკ-ის 18.1 მუხლის თანახმად, განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, რაც თანხვედრაშია ძირითადი სადავო აქტის გამომცემი ორგანოს ადგილსამყოფელთან.

განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ სადავო უძრავი ნივთი, რომლის თაობაზე მიღებულია სადავო აქტები (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის 04.04.17წ. №1/6-194 ბრძანება და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 27.11.17წ. №1-1/512 ბრძანება), მდებარეობს გარდაბნის რაიონში. ამასთანავე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 01.05.2013წ. №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრების დებულების“ თანახმად ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას სამი-

ნისტროსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში (1.4 მუხ.; მე-2 მუხ.), ცენტრი თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულების დროს წარმოადგენს სააგენტოს (1.3 მუხ.), გარდაბნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოქმედებს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი, რომელიც მდებარეობს ქ. რუსთავში.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.07.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები. აღნიშნული გადაწყვეტილების 33-ე მუხლით რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

საქმის ტერიტორიულ განსჯადობას არ ცვლის ის გარემოება, რომ ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის 04.04.17წ. აქტთან ერთად გასაჩივრებულია აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 27.11.17წ. №1-1/512 ბრძანება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებული ბრძანებით სამომხმარებლო კოოპერატივის ადმინისტრაციული საჩივარი არსებითად არ განხილულა, საჩივარი დარჩა განუხილველად საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობისა და კანონიერი ინტერესის დაუდასტურებლობის გამო. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს არსებითი გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს – ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის ადგილმდებარეობის მიხედვით, ვინაიდან დავის საგანს შეადგენს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 04.04.17წ. №1/6-194 ბრძანება „უძრავ ნივთებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ“. ტერიტორიული განსჯადობის საკითხს არ ცვლის ის გარემოება, რომ ცენტრი წარმოადგენს სააგენტოს. ცენტრი, როგორც სააგენტოს ტერიტორიული ორგანო, სააგენტოს წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების დროს „სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 04.01.17წ. №1/1-10 ბრძანების თანახმად უფლებამოსილია განახორციელოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში განთავსებული სახელმწიფო ქონების განკარგვასთან, სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი.

„სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრის დებულების“ თანახმად ცენტრის უფროსი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე (3.2 მუხ. „ა“ ქვბ.). მოცემული დავის საგანს შეადგენს არა სააგენტოს, არამედ ცენტრის მიერ გამოცემული 04.04.17წ. №1/6-194 ბრძანება. საფუძველს არის მოკლებული რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში მითითება საკასაციო სასამართლოს 14.09.17წ. №ბს-596-593(გ-17) განჩინებით ტერიტორიული განსჯადობის გადაწყვეტაზე, რადგან ხსენებულ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენდა არა ცენტრის, არამედ სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამასთანავე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ტერიტორიული განსჯადობით საქმის განსახილველად რუსთავის სასამართლოსთვის გადაგზავნის შემდეგ, ამ უკანასკნელს, უკეთუ არ ეთანხმებოდა განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას, უნდა გადაეგზავნა საქმე არა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის, არამედ განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე საკასაციო სასამართლოსათვის უნდა გადაეგზავნა (სასკ-ის 26-ე მუხ. მე-3 ნაწ.).

ამდენად, როგორც ძირითადი სადავო აქტის მიმღები ორგანო მდებარეობს რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ტერიტორიაზე, ამდენად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სასკ-ის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, სსსკ-ის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რ/კ ... კოოპერატივის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სადავო ქონების აღბილმდებარეობის
მიხედვით**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-424(გ-19)

16 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ვ. ი-ის სასარჩელო განცხადების თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებები საქმის განსჯადობასთან დაკავშირებით.

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ი-მა 30.01.2019წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა პრივატიზაციაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის 27.09.2018წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის პრივატიზაციის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც ვ. ი-ს საკუთრებაში გადაეცემოდა მარნეულის რაიონში სოფ. ...ში (...) მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: ს/კ ..., №..., №..., №...; ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 25.01.2019წ. №1-1/43 ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი ხარჯების ანაზღაურების დავალება. მოსარჩელემ იშუამდგომლა ასევე მარნეულის რაიონში, სოფ. ...ში (...) მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ს/კ ..., №..., №..., №... ყადაღის დადება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.01.2019წ. განჩინებით ვ. ი-ის სარჩელი და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობა განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. განსახილველ შემთხვევაში ვ. ი-ის მიერ სარჩელი აღძრულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, მოსარჩელე ითხოვს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის 27.09.2018წ. №... გადაწყვეტილებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 25.01.2019წ. №1-1/43 ბრძანების ბათილად ცნობას. ვინაიდან ეს უკანასკნელი მიღებულია ვ. ი-ის მიერ წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, შესაბამისად, დავის საგნის შეფასება უნდა მოხდეს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის 27.09.18წ. №... გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებასთან ერთად. ამასთან უძრავი ქონება, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს მარნეულის რაიონში, სოფელ ...ში (...).

თბილისის საქალაქო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 01.05.2013წ. №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრის დებულებაზე, რომლის მიხედვითაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი წარმოადგენს სააგენტოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა). დებულების 1.1 მუხლის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრი არის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას სააგენტოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამარ-

თლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების სისტემის ერთიანობის მიუხედავად, სადავო სამართალურთიერთობის მოწესრიგება ხდება თავდაპირველი აქტით, რაც განაპირობებს დავის სასამართლო განსჯადობას თავდაპირველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის ადგილმდებარეობის (მისამართი: ქ. რუსთავი, ვახუშტის ქუჩა №8) მიხედვით. სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, მოპასუხეს წარმოადგენს არა მოსარჩელის მიერ სასარჩელო განცხადებაში მითითებული სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, არამედ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 193-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 04.02.2019წ. განჩინებით ვ. ი-ს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, რაც გასაჩივრდა ვ. ი-ის მიერ.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 07.03.2019წ. განჩინებით დაკმაყოფილდა ვ. ი-ის საჩივარი, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 04.02.2019წ. განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ და მოპასუხეებს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აეკრძალათ მარნეულის რაიონში, სოფ. ...ში (...) მდებარე №..., ..., №..., №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გასხვისება ან რაიმე სახით უფლებრივად დატვირთვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 11.03.2019წ. განჩინებით ვ. ი-ის სარჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

რუსთავის საქალაქო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის მე-18.1 მუხლზე, რომლის მიხედვითაც, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. საქმეზე თანდართული დოკუმენტაციით დგინდება,

რომ №..., ..., №..., №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მდებარეობს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში (...). მითითებული ტერიტორია არ წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ტერიტორიას.

სასამართლო მიუთითებს „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.07წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 33.2 მუხლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის-რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

რუსთავის საქალაქო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. აღნიშნული ეხება აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე სარჩელებს. საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სპეციალური წესით, სარჩელი საკუთრების უფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით (სუს 23.01.2015წ. №ბს-816-802(გ-14), 04.06.2015წ. №ბს-280-276(გ-15)). შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს უძრავი ქონება, მოცემულ შემთხვევაში ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს ბოლნისის რაიონული სასამართლო, ვინაიდან სადავოდ გამხდარი სამართლებრივი აქტები მიღებულია მარნეულის რაიონში, სოფელ ...ში (...) მდებარე №..., ..., №..., №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან მიმართებით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 25.03.2019წ. საჩივრით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ 07.03.2019წ. განჩინების გაუქმების მოთხოვნით. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.04.2019წ. განჩინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაუბრუნდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 19.07.2019წ. განჩინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.08.2019წ. განჩინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 07.03.2019წ. განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ საქმე ვ. ი-ის სარჩელის გამო უნდა დაუბრუნდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარედგინება მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). განსახილველ შემთხვევაში ძირითადი სადავო აქტი გამოცემულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის მიერ, რომლის ადგილსამყოფელი განსაზღვრულია ქ. რუსთავში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ უძრავი ნივთები, რომელთა თაობაზეც მიღებულია სადავო აქტები (სსიპ

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის 27.09.2018წ. №... გადაწყვეტილება და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 25.01.2019წ. №1-1/43 ბრძანება), მდებარეობს მარნეულის რაიონში, სოფელ ...ში.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები. აღნიშნული გადაწყვეტილების 33-ე მუხლით რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით, ხოლო მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები მოცულია ბოლნისის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიით (მუხ. 10).

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 01.05.13წ. №1-1/107 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მომსახურების ცენტრის დებულება, რომლის თანახმადაც ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი ადგილზე წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. მოცემულ შემთხვევაში ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი სააგენტოს წარმოადგენს რუსთავის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის ადმინისტრაციულ ერთეულებში. ხსენებული დებულების 1-ლი მუხლის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრი არის სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას სააგენტოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრი თავისი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში. ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის შესახებ დებულებებს, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. ხსენებული ნორმის მიხედვით სარჩელი წარედგინება მოპასუხის ადგილმდებარე-

რეობის მიხედვით. ადმინისტრაციულ ორგანოსთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება შესაძლოა არ ემთხვეოდეს სასამართლოს იურისდიქციას და ვრცელდებოდეს რამდენიმე რეგიონზე ან მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ასეთ შემთხვევაში დავის განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობისა და არა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების გავრცელების მასშტაბის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი მდებარეობს ქ. რუსთავში, რუსთავის საქალაქო სასამართლო არ აყენებს სარჩელის თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქციისადმი კუთვნილების საკითხს და უძრავი ქონების მარნეულის რაიონში ადგილმდებარეობის გამო თვლის, რომ დავა არ არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯადი. რუსთავის საქალაქო სასამართლო სსკ-ის მე-18 მუხლზე მითითებით თვლის, რომ დავა არ განეკუთვნება რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ტერიტორიას, ვინაიდან ..., ..., ..., ... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა პრივატიზაციასაც მოითხოვს მოსარჩელე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში (...) მდებარეობენ. სსკ-ის 18.1 მუხლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილმდებარეობის მიხედვით. ამდენად, ხსენებული ნორმა შეიცავს ადგილმდებარეობის მიხედვით დავის განხილვის მხოლოდ შესაძლებლობას, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს სარჩელი ბოლნისის რაიონულ სასამართლოში არ აღუძრავს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხ.). ამდენად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამ პრინციპიდან განდგომა გამოწაკლისის წესით, სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან გამომდინარე, დაშვებულია სასამართლო პრაქტიკის მიერ მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რომელთა მიმართ გამოიყენება სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წე-

სი, რომლის მიხედვით განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით (იხ. მაგ., სუს განჩინება 18.01.18წ., საქმე №ბს-629-625(გ-17); 24.05.18წ. განჩინება, საქმე №ბს-613-610(გ-17)).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში არ არის მოყვანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში განსჯადობასთან დაკავშირებით მოყვანილი არგუმენტაციის საინააღმდეგო მოსაზრებები, კერძოდ, განჩინება არ შეიცავს საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქციის გავრცელების საჭიროების მოსაზრებებს. შესაბამისად, სასამართლოებს შორის საქმის განსჯადობაზე დავა როგორც ასეთი არ არსებობს. რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში განსჯად სასამართლოდ მითითებული არა თბილისის საქალაქო სასამართლო, არამედ ბოლნისის რაიონული სასამართლო. სასკ-ის 26-ე მუხლის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს საქმის განხილვაზე განსჯადი სასამართლო სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე დავის არსებობის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის განსჯადობის საკითხზე დავა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმე განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, უკანასკნელი თვლის, რომ საქმის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო არის ბოლნისის რაიონული სასამართლო, თუმცა საქმე განსახილველად არ გადაეგზავნილა ბოლნისის რაიონული სასამართლოსთვის, რუსთავის საქალაქო სასამართლომ საქმე განსჯადობის საკითხზე დავის გადასაწყვეტად გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არის სახეზე განსჯადობის საკითხზე დავა. შესაბამისად, სასკ-ის 26-ე მუხლის თანახმად, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს საქმის განსჯადობის საკითხი (იხ. სუსგ 20.03.2003წ. №3გ/ად-6-გ-03; სუსგ 19.03.2007წ. №ბს-1099-1048(გ-06)). იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე არ არის სასამართლოებს შორის დავა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული საქმე უნდა დაუბრუნდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სასკ-ის 1.2, 2.1, 26.2

მუხლებით, სსსკ-ის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე ვ. ი-ის სარჩელის გამო დაუბრუნდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოქალაქის ადგილსამყოფლის მიხედვით

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-2(გ-20)

27 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე;
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ნ. ჩ-ის სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 29 დეკემბერს ნ. ჩ-მა სარჩელის აღძვრამდე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც მოითხოვა სს „...ას“ განცხადების საფუძველზე დაწყებული №A18172959 საალსრულებო საქმის წარმოების შეჩერება, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2020 წლის 3 იანვრის განჩინებით ნ. ჩ-ის განცხადება – სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 193-ე მუხლის შესაბამისად, განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებელი ითხოვდა სს „...ას“ განცხადების საფუძველზე დაწყებული №A18172959 სააღსრულებო საქმის წარმოების შეჩერებას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქმეში წარმოდგენილი აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2019 წლის 18 დეკემბრის №A18172959-026/004 წერილით ირკვევა, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 05.11.2018 წელს გაცემული №ბ/4465-18 აღსრულებას ქვემდებარე აქტი (სააღსრულებო წარმოება №A18172959). გარდა ამისა, იძულებით აღსრულება უნდა განხორციელდეს შპს „ფ...ის“ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქალაქი რუსთავი, ... ქ. №12; ს/კ ..., ხოლო ნ. ჩ-ის წარმოადგენს შპს შპს „ფ...ის“ 25% წილის მესაკუთრეს.

ამდენად, წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ №A18172959 სააღსრულებო წარმოება, რომლის შეჩერებასაც ითხოვს განმცხადებელი, მიმდინარეობს აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროში, მდებარე: ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. №7ა (რუსთავის იუსტიციის სახლი). გარდა ამისა, იძულებით აღსრულება უნდა განხორციელდეს შპს „ფ...ის“ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. რუსთავი, ... ქ. №12; ს/კ

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ჩ-ის განცხადება – სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველ-

ყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 6 იანვრის 2020 წლის განჩინებით ნ. ჩ-ის განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასანწყევტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. ამავე თავის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება (საჩივარი), ხოლო მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, მითითებული ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განსაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია, როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების“ მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და ახორციელებს სააღსრულებო საქმიანობას; ამავე დებულების თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და დებულებით; აღსრულების ეროვნული ბიურო საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და საკუთარი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ. ტერიტორიულ ორგანოებს საკუთარი სახელით სასამართლოში მოპასუხედ გამოსვლის უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობით არ გააჩნიათ. ამდენად, მოცემულ საქმეზე მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომლის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ, შესაბამისად, სახეზე არ არის განსაკუთრებული განსჯადობის შემთხვევა და ტერიტორიული განსჯადობა უნდა გადაწყდეს საერთო განსჯადობის წესების დაცვით, ანუ მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ადგილსამყოფლის მიხედვით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. სააღსრულებო ბიუროების სისტემას განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოს, შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს მიერ შესრულებული საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლო ვალდებულებების წარმოშობასთან დაკავშირებით, ადრესატს წარმოადგენს არა აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანო, არამედ თავად სსიპ აღსრულებ-

ბის ეროვნული ბიურო, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დადგინდეს იქნეს სამომავლო სარჩელის აღძვრის მიზანი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში დაკავშირებულია არა უძრავ ქონებასთან, არამედ საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ნაწარმოები სააღსრულებო წარმოებისას დაშვებული სავარაუდო დარღვევებთან მიმართებით. აღნიშნულის გათვალისწინებით კი, ცალსახაა, რომ მითითებულ საკითხზე სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე; ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტი გასაჩივრდება სასამართლოში (რომლის განმხილველ, უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო), რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიზანშეუწონლად მიაჩნია სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის განხილვა და შესაბამისი განწყვეტილების მიღება.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის №ბს-596-593(გ-17) განჩინებაზე და განმარტა, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობისა და ახალი აქტების გამოცემის დავალდებულების შესახებ განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლებიდან და ამასთანავე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო სასა-

მართლმომიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ნ. ჩ-ის განცხადების განმხილველ განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის, ასევე აქტის გამოცემის თუ ქმედების განხორციელების მოთხოვნით აღძრული სარჩელი ყველა შემთხვევაში მიემართება იმ ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ზემოაღნიშნული სამართალურთიერთობის გადაწყვეტა, სარჩელი, საერთო პრინციპის თანახმად, როგორც წესი შედის იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო.

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი მომდინარეობს სსსკ-ის მე-15 მუხლიდან და მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს სარ-

ჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, მითითებული მუხლის საფუძველზე, საერთო წესის მიხედვით, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო არ გამოორიცხავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დაშვებას იმის თაობაზე, რომ დავა ტერიტორიული იურისდიქციით მიემართოს ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს, რაზე მითითებასაც შეიცავს სსსკ-ის მე-18 მუხლი, თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ამავე მუხლის მე-2 ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს ნივთობრივ განსჯადობას მიკუთვნებული სარჩელების სახეებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ნორმა არ არის კატეგორიული და არ გამოორიცხავს სარჩელის აღძვრას საერთო განსჯადობის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, რა პირობებშიც განმსაზღვრელია მოსარჩელის არჩევანი (ალტერნატიული განსჯადობა).

სსსკ-ის მე-20 მუხლი ადგენს: სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ, რამდენადაც აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს მიერ შესრულებული საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლო ვალდებულების წარმოშობის ადრესატს წარმოადგენს არა აღსრულების ბიუროს ტერიტორიული ორგანო, არამედ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სააღსრულებო წარმოებისას დაშვებული დარღვევების თაობაზე აღძრული ყველა სარჩელი ექვემდებარება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ადგილსამყოფელ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააღსრულებო წარმოების სპეციფიკა და აღსრულების მრავალეტაპიანი პროცედურა, გამოორიცხავს სააღსრულებო წარმოებიდან გამომდინარე დავებთან მიმართებით ცალსახა მიდგომის განვითარების შესაძლებლობას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს დავის საგნიდან გამომდინარე, იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ რას ხდის მოსარჩელე სადავოდ.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 4.1. მუხლის შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შე-

მავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იმავე კანონის 5.1. მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით.

ერთიანი, ცენტრალიზებული მოწყობის მიუხედავად, სააღსრულებო წარმოება, კანონის საფუძველზე და კანონისავე შესაბამისად, ხორციელდება ცალკეულ ეტაპებად, რაც განაპირობებს ინდივიდუალურად აღმასრულებლის და აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილებათა დისტანცირებას და შესაძლებელს ხდის, აღსრულების მრავალსაფეხურიანი ციკლიდან, ერთ-ერთი მათგანი გამოიყოს ცალკე და დაექვემდებაროს დამოუკიდებელ სამართლებრივ კონტროლს. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც ადგენს კრედიტორისა და მოვალის უფლებას გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში;

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლი განსაზღვრავს ქვემდებარეობის საკითხს და ადგენს, რომ აღსრულებას ახორციელებს ის სააღსრულებო ბიურო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც იმყოფება უძრავი ქონება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მნიშვნელოვანია იმავე ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნა, რომელიც ადგენს, რომ სააღსრულებო წარმოებისას ქონების შემძენისათვის საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი გასაჩივრდება სასამართლოში. კანონის 75.3 მუხლის საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად გადახდის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ. ამდენად, აღმასრულებლის ცალკეული ქმედების მიღმა, საკუთრების უფლების მონაშობის გაცემა მიეკუთვნება უშუალოდ აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილებას, ისევე როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს და არა აღმასრულებლის კომპეტენციას იძულებითი აუქციონის ჩატარება (69-ე მ.), მათ შორის, კერძო აღმასრულებლის წარმოებაში არსებულ საქმეზე სააუქციონო მომსახურების განევა (14⁷-ე მ.).

იძულებითი აუქციონის ჩატარებას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს კომ-

პეტენციას მიაკუთვნებს ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული წესი, რომლის 1.1 მუხლი ადგენს: 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი აუქციონი ტარდება ელექტრონული (ინტერნეტაუქციონის) გზით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს აუქციონის ჩატარებას და განსაზღვრავს აუქციონზე გასატან ქონებას, საჭიროების შემთხვევაში ყოფს მას ლოტებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის სამართლებრივი ანალიზი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს განმარტოს: სასამართლოებმა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე დავების განსჯადობის განსაზღვრისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინონ თუ რას ხდის სადავოდ მოსარჩელე – აღმასრულებლის ქმედებას, თუ უშუალოდ იძულებით აუქციონს ან/და განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, რაც არსებითად ცვლის სასამართლოს განსჯადობას, რამეთუ პირველ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს აღმასრულებელი, რომლის ადგილსამყოფელი ემთხვევა ტერიტორიული ორგანოს ადგილსამყოფელს და მასზე ვრცელდება იმ სასამართლოს იურისდიქცია, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანო. მე-2 შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, რაც განაპირობებს აღნიშნული კატეგორიის დავების თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის დაქვემდებარების აუცილებლობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა განსჯადობაზე აღძრულია იმ პირობებში, როცა საქმეში წარმოდგენილი არ არის სარჩელი და მოთხოვნა შეეხება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო დავის გადაწყვეტის პროცესში ეყრდნობა იმ მოცემულობას, რაც საქმეში ამ ეტაპისთვისაა წარმოდგენილი. როგორც საქმის მასალებიდან დგინდება, უძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით დანიშნულია იძულებითი აუქციონი, რომლის შეჩერებასაც განმცხადებელი ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იძულებითი აუქციონის ჩატარებას უზრუნველყოფს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში

შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, შესაბამისად, მოთხოვნა ამ ეტაპისათვის მიემართება სწორედ აღნიშნული ორგანოსადმი, რაც განაპირობებს განსჯადობით საქმის მოპასუხის ადგილსამყოფელი სასამართლოსადმი, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის დაქვემდებარების საჭიროებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად, თავად სარჩელი დისპოზიციურია, რაც ნიშნავს იმას, რომ განმცხადებელი სარგებლობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით რეგლამენტირებული უფლებით და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, თავად ასახელებს მოპასუხე მხარეს. განმცხადებელი მოპასუხედ ამ შემთხვევაში ასახელებს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რაც უკვე ქმნის სარჩელის იმ სასამართლოსათვის განსჯადობით გადაგზავნის საფუძველს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე.

საკასაციო სასამართლო კვლავაც მიუთითებს სსსკ-ის მე-15 მუხლზე და აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 06.05.2014წ, №24 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების“ 2.7 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კილომეტრი, რაც იმავე მუხლის შესაბამისად, განაპირობებს განცხადების დაქვემდებარებას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ჩ-ის განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;
3. განჩინება განსჯადობის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 72 23
www.supremecourt.ge